ქართულ სპორტში კარგი მმართველობის განვითარების სამართლებრივი ასპექტები

ანატოლი კორეპანოვი

მონვეული ლექტორი, საქართველოს საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტი (GIIPA) და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
anatoli.korepanov@gmail.com

აბსტრაქტი: საქართველოში სპორტს განსაკუთრებული როლი ენიჭება: ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სპორტის განვითარებასა და მასში მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის ჩართულობაზე. ამისათვის, ცენტრალური და მუნიციპალურ დონეზე, სახელმწიფოს ორგანოები თანამშრომლობენ სპორტულ ორგანიზაციებთან, რომლებიც, სახელმწიფო დაფინანსების სანაცვლოდ, შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებენ. სპორტულ ორგანიზაციათა მიერ სახელმწიფო დაფინანსების მიზნობრივი და ეფექტიანი ხარჯვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენება. ამის დასტურია საერთაშორისო ორგანიზაციების, ეროვნული მთავრობებისა და სპორტული მოძრაობების მაღალი ინტერესი საკითხის მიმართ. დღეს არც ერთი სუბიექტი ეჭვქვეშ არ აყენებს კარგი მმართველობის აუცილებლობას სპორტში, რადგან მის უგულებელყოფას მოჰყვება მნიშვნელოვანი პრობლემები, მათ შორის: სახელმწიფო სახსრების არაეფექტიანი გამოყენება, კორუფცია, ინტერესთა შეუთავსებლობა, ნეპოტიზმი, ძალაუფლების მონოპოლიზაცია, ადამიანის უფლებათა ხელყოფა და სხვა. მოხსენებაში მიმოხილულია შემდეგი საკითხები: სპორტის განვითარების კონტექსტში კარგი მმართველობის არსი და მნიშვნელობა; ევროპის ქვეყნებში სპორტში კარგი მმართველობის ხელშემწყობი სისტემის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების მიმოხილვა; საქართველოში ეროვნული და რეგიონული სპორტული ორგანიზაციების მიერ კარგი მმართველობის გამოყენების პრაქტიკა; საქართველოში კარგი მმართველობის ხელშემწყობი სისტემის განვითარების შესაძლებლობები და გამოწვევები.

Keywords: კარგი მმართველობა, სპორტი, მართვის სისტემები, გამომწვევები.

Legal Aspects of Promoting Good Governance in Georgian Sports

Anatoli Korepanov

Visiting Lecturer, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

Georgian State University of Physical Education and Sports

anatoli.korepanov@gmail.com

Abstract: A special role is assigned to sports in Georgia: according to the country's constitution, the state must take care of the development of sports and the involvement of different segments of the population in it. For this, at the central and municipal level, state bodies cooperate with sports organizations, which, in return for state funding, implement relevant activities, e.g. organize and conduct sport competitions, set up national sport teams, ensure athletes development, engage population in mass sport, etc. One of the important prerequisites for targeted and effective spending of the public funds by sports organizations is the application of good governance principles. This is evidenced by the high interest of international organizations, national governments and sports movements in the issue. Today, not a single stakeholder questions the need for good governance in sports, because its neglect leads to significant problems, including: ineffective use of public funds, corruption, conflict of interests, nepotism, monopolization of power, violation of human rights, and others. The report reviewed the following issues: the essence and importance of good governance in the context of sports development; Review of the political and legal systems of the system promoting good governance in sports in European countries; Practice of good governance by national and regional sports organizations in Georgia; Opportunities and challenges for the development of the good governance system in Georgia.

Keywords: Good Governance, Sport, Systems of Governance, Challenges.

კონსტიტუციური კონტროლის შერეული მოდელის განხორციელების დასაშვებობა, ფარგლები და შედეგები

ანდუეი ჯაკიევიჩი

ასოცირებული პროფესორი, ბიალისტოკის უნივერსიტეტი

jackiewicz@uwb.edu.pl

აბსტრაქტი: პოლონეთის რესპუბლიკა იმყოფება სერიოზული და მრავალგანზომილებიანი საკონსტიტუციო კრიზისის მდგომარეობაში, რომელიც დაიწყო 2015 წელს საკონსტიტუციო ტრიბუნალზე თავდასხმით. იგი ყოველწლიურად ღრმავდება და მოქმედებს დემოკრატიული სახელმწიფოს თითქმის ყველა ინსტიტუტზე. პოლონეთში დემოკრატიული სისტემისათვის საფრთხის მდგომარეობა არსებობს მრავალ სფეროში, მაგრამ დემოკრატიის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სენსიტიურია კონსტიტუციის დაცვის სფერო. 1980-იან წლებში მიღებული კანონის კონსტიტუციურობის დაცვის მოდელი, რომელიც განმტკიცდა 1997 წელს კონსტიტუციის მიღებით, წარმოადგენს კონცენტრირებული კონტროლის მოდელს, რაც მოიაზრებს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობას. ამ უნიკალურ სამართლებრივ და კონსტიტუციურ სიტუაციაში პოლონურ იურიდიულ მეცნიერებაში განახლდა დისკუსია კანონის კონსტიტუციურობის შერეული მოდელის გამოყენების შესახებ არსებულ პოლიტიკურ პირობებში. ნაშრომში ავტორი განიხილავს პოლონეთში კანონის კონსტიტუციური შემოწმების შერეული მოდელის მექანიზმის დანერგვის კონსტიტუციურ საკითხს, ამ მექანიზმის დასაშვებობის ფარგლებსა და წინაპირობებს, ასევე მისი იმპლემენტაციის სამართლებრივ და პროცედურულ შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციური კონტროლის შერეული მოდელი, კონსტიტუციური კრიზისი, საიმპლემენტაციო მექანიზმი, დასაშვებობა, სამართლებრივი და პროცედურული საკითხები.

The Admissibility, Scope, and Consequences of the Implementation of the Model of Mixed Control of Constitutional Review

Andrzej Jackiewicz

Associate Professor, University of Białystok

jackiewicz@uwb.edu.pl

Abstract: The Republic of Poland is in a situation of a serious and multidimensional constitutional crisis, which, starting with the attack on the Constitutional Tribunal in 2015, has been deepening with each passing year, affecting successively almost all institutions of a democratic state. The situation of threat to the democratic system in Poland occurs in many areas, but a particularly important and particularly sensitive one from the point of view of democracy is the sphere of protection of the Constitution. The model of protection of the constitutionality of the law adopted in Poland in the 1980s, and confirmed by the Constitution adopted in 1997, is a model of concentrated control, thus assuming the existence of a constitutional court. In such a unique legal and constitutional situation, the discussion on the use of the model of dispersed control of constitutionality of law in Polish political conditions has returned in the Polish legal science. In the paper, the author will present the constitutional background of the implementation of the mechanism of mixed model of constitutional review of law in Poland, consider the scope and prerequisites for the admissibility of this mechanism, as well as the legal and procedural consequences of its possible application.

Keywords: Mixed Model of Constitutional Review, Constitutional Crisis, Implementation Mechanism, Admissibility, Legal and Procedural Issues.

სატელეფონო ლოკაციის მონაცემთა ანონიმიზაცია პანდემიის ნარატივში

გვანცა გოგსაძე

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ggogsadze.mglaw@gmail.com

აბსტრაქტი: სტატიაში, „სატელეფონო ლოკაციის მონაცემთა ანონიმიზაცია პანდემიის ნარატივში“, საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაგალითზე, კონსტიტუციურ სამართლებრივ ქრილში, განხილული და შეფასებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ისეთი შემთხვევა, როგორცაა არაანონიმიზირებული ადგილმდებარეობის მონაცემების მასობრივი შეგროვება სახელმწიფოების მიერ, როგორც კოვიდ პანდემიის გამოძახილი. ავტორის მიერ გამოკვეთილია გამოწვევები, რომლებიც აღნიშნული მონაცემების სახელმწიფოების მიერ არაანონიმიზირებულად დამუშავებას ახლავს თან არა მხოლოდ რეალურ დროში, არამედ მომავლის პერსპექტივაშიც. ის ყურადღებას ამახვილებს მასზე, რომ საგანგებო მდგომარეობა, როგორც განსაკუთრებული წესრიგი, სახელმწიფო ლეგიტიმაციას და შესაბამისად, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მონაცემთა მასობრივი დამუშავებისთვის, რაც თავის თავში მოიაზრებს მთავრობების მიერ მოსახლეობის სისტემურ თვალთვალსა და კონტროლს; და მიიჩნევს, რომ ამ რეჟიმის დასრულების შემდეგ თავს იჩენს ჯაჭვური პრობლემა, ხელისუფლებების ცდუნების სახით, ძალაში დატოვონ თვალთვალის პროტოკოლები. ავტორი შიშობს, რომ მიუხედავად კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოების სწორი ხედვისა, აღმასრულებელი ხელისუფლებების წარმომადგენლები ხშირად გვერდს უვლიან უზენაესი (საკონსტიტუციო) სასამართლოების მიერ ქვეყნის ძირითადი კანონის საფუძველზე დადგენილ კონსტიტუციურ წესრიგს, რის საილუსტრაციოდაც მოყვანილი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი. სტატიაში ასევე განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მწირი, თუმცა მნიშვნელოვანი და საინტერესო პრაქტიკა, ადგილმდებარეობის მონაცემების დამუშავების თაობაზე. ნაშრომში აგრეთვე გაანალიზებულია იმ აპლიკაციებიდან (განსაკუთრებით, კარანტინის წესების დაცვის უზრუნველსაყოფად შექმნილი სპეციალური აპლიკაციები) მომდინარე საფრთხე, რომლებიც ახდენენ ადამიანის ადგილმდებარეობის მონაცემების დამუშავებას. ამ ნაწილში გამოკვეთილი და გამოკვლეულია საქართველოში მოქმედი STOP COVID აპლიკაციის ლაფსუსები.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემები, სატელეფონო ლოკაციის მონაცემები, მონაცემთა ანონიმიზაცია, კოვიდ პანდემია, დამუშავების საფუძვლები, სასამართლო პრაქტიკა, საგანგებო მდგომარეობა.

Anonymization of Telephone Location Data in the Pandemic Narrative

Gvantsa Gogsadze

Master of Public Law and Policy, Ilia State University, Georgia

Ggogsadze.mglaw@gmail.com

Abstract: There is discussed and evaluated such a case of personal data processing as mass collection of non-anonymized location data by states as an echo of covid pandemic in the article “Anonymization of Telephone Location Data in the Pandemic Narrative”, using the example of Georgia and other countries, in constitutional-legal point of view. The author highlights the challenges associated with non-anonymized processing of the mentioned data by the states, not only in real time, but also in the future. She pays attention to the fact that the state of emergency, as a special order, creates state legitimation and therefore fertile ground for mass data processing, which includes systematic surveillance and control of the population by governments; And she believes that after the end of this regime, there will be a chain problem, in the form of a temptation for the authorities to leave the surveillance protocols in force. The author fears that despite the correct vision of the constitutional justice bodies, the representatives of the executive authorities often ignore the constitutional order established by the supreme (constitutional) courts based on the country's basic law, which is illustrated by the example of the United States of America There is also discussed the rare, but important and interesting practice of the Constitutional Court of Georgia regarding the processing of location data in this article. The paper also analyzes the threat from applications that process human location data. In this part, the mistakes of the STOP COVID application operating in Georgia are highlighted and investigated.

Keywords: Personal Data, Telephone Location Data, Data Anonymization, Covid Pandemic, Grounds for data processing, Case Law, State of Emergency.

ადვოკატის დასკვნითი სიტყვის ეთიკის საკითხები

გივი აბაშიძე

ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
givi.abashidze@bsu.edu.ge

ირაკლი აბაშიძე

ასისტენტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
irakli.abashidze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი: საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ყველა პირს და მათ შორის ბრალდებულს, გარანტირებული აქვს დაცვის უფლება და კვალიფიციური იურიდიული დახმარება. ამიტომ, საქმის სასამართლო განხილვაში ამ უფლების განსახორციელებლად ადვოკატის მონაწილეობა და მის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმა ძალიან მნიშვნელოვანია. დასკვნითი სიტყვის მიზანია მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგების შეჯამება და განსახილველ დანაშაულთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ საკუთარი ვერსიის მხარდაჭერა. საკონფერენციო მოხსენებაში განხილული იქნება საკითხები დამცველის დასკვნითი სიტყვის სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების შესახებ, რამდენადაც მისი მონაწილეობა სასამართლო კამათში ექვემდებარება გარკვეულ მორალურ და ზნეობრივ საწყისებს. ადვოკატი სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეებზე მეტად არის ვალდებული, დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი და კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას არ გასცდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, არ დაუშვას კოლეგისადმი უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა, გამოიჩინოს პატივისცემა და იმოქმედოს ღირსეულად მოწინააღმდეგე მხარისა და მისი წარმომადგენლის მიმართ, გაუფრთხილდეს მათ თავმოყვარეობას, გამოიყენოს მხოლოდ დაცვის კანონიერი მეთოდები და საშუალებები. გარდა ამისა, გადმოცემულია ადვოკატის მიმართ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომ ის ფლობდეს მოსმენის უნარს, რაც დამცველისათვის პროფესიული ვალდებულებაა. ადვოკატი, როგორც სასამართლო კამათის მონაწილე, ვერ შეასრულებს თავის მისიას, თუ მას არ შეუძლია კეთილსინდისიერად, გულწრფელი დაინტერესებით და პატივისცემით აღიქვას მოწინააღმდეგის აზრი. ადვოკატმა სიტყვა უნდა წარმოთქვას კორექტულად, ურთიერთპატივისცემის გარემოში და მის მიერ დასკვნითი სიტყვის ეთიკის ნორმების დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ნაშრომში გადმოცემულია დამცველის მხრიდან სამართლებრივი, ზნეობრივი, ეთიკური მოთხოვნების, საკუთარი, ბრალდებულისა და საქმეში მონაწილე სხვა პირების ღირსების დაცვის, სასამართლოსადმი პატივისცემის, დაცვის დროს სხვა უარყოფითი ზნეობრივი თვისებების დაუშვებლობის საკითხები.

Keywords: დასკვნითი სიტყვა, ზნეობა, სამართლიანობა, ეთიკურობა.

Ethical Issues of the Lawyer's Closing Speech

Givi Abashidze

Associated Professor, Batumi Shota Rustaveli State University

givi.abashidze@bsu.edu.ge

Irakli Abashidze

Assistant, Batumi Shota Rustaveli State University

irakli.abashidze@bsu.edu.ge

Abstract: As per the Constitution of Georgia and criminal procedural legislation, all individuals, including the accused, are entitled to the right to defense and access to qualified legal assistance. Hence, the involvement of an attorney and their concluding statement holds significant importance in ensuring the exercise of this right during the judicial review of a case. The purpose of the closing speech is to summarize the results of the examination of the evidence and to support the version of the lawyer regarding the crime under consideration. The conference paper will delve into the legal and moral standards governing the closing speech of defender, recognizing that their participation in litigation is bound by specific moral and ethical principles. They must refrain from engaging in rude or disrespectful behaviour towards their colleagues and demonstrate respect and dignity when dealing with the opposing party and its representative. It is imperative that they uphold their own self-respect and employ only legal methods and means in providing legal defence. It is imperative that they refrain from engaging in disrespectful or offensive behavior towards their colleagues, consistently demonstrating respect and dignity in their interactions with both the opposing party and its representative. Additionally, lawyers are responsible for safeguarding their own self-respect and must exclusively employ legal methods and means in providing legal defense. Furthermore, a fundamental requirement for a lawyer is the capacity to listen attentively, which constitutes a professional obligation for a defender. A lawyer, as an integral participant in a courtroom dispute, cannot effectively fulfil their role unless they genuinely and respectfully engage with the opposing party's perspective. The adversarial nature of court proceedings demands that disputes be grounded solely in conscience, justice, and the law. Therefore, lawyers must communicate with correctness and within an atmosphere of mutual respect, refraining from the use of offensive language. The present work delves into the multifaceted aspects of legal, moral, and ethical requirements for the defender, emphasizing the importance of safeguarding their own dignity, as well as that of the accused and other participants in the case. Furthermore, it underscores the significance of showing respect towards the court and highlights the imperative of avoiding any negative moral attributes during the defense process.

Keywords: Closing Speech, Morality, Justice, Ethics.

აბორტის უფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში, Roe-დან Dobbs-მდე

გივი ლუაშვილი

ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)
g.luashvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი: აბორტის საკითხი ის სამართლებრივი და სოციალური თემაა, რომლის გარშემოც ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაში არსებობს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა და პოლარიზაცია კი. ეს დაპირისპირება ასევე თავს იჩენს სამართლებრივ სივრცეშიც, რისი საბოლოო შედეგიცაა სადავო საკითხის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილვა, რომლის შედეგებიც ბუნებრივია ორივე მხარისთვის ერთნაირად მისაღები და გასაგები არ არის. აბორტის საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს პირველი ისტორიული გადაწყვეტილება დადგა საქმეზე Roe v. Wade სადაც სასამართლომ დაადგინა სტანდარტი, რომელიც შტატებს უზღუდავდა აბორტის აბსოლუტური მიხედულებისამებრ რეგულირებას, ასევე ამ საქმეზე განისაზღვრა აბორტის უფლების კონსტიტუციური სტანდარტი. ამ საქმის მერე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მეტნაკლებად თანმიმდევრულად ვითარდებოდა, მაგრამ 2022 წელს საქმეზე Dobbs v. Jackson Women Health Organization სასამართლოს გადაწყვეტილებამ თავდაყირა დააყენა აბორტის რეგულირების საკითხი და მისი სტანდარტი, მოცემული გადაწყვეტილებით დაიძლია Roe-ს გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაში და იურიდიულ წრეებში გამოიწვია დიდი შფოთვა და სამოქალაქო მღელვარება. მოცემული ეფექტი გასცდა ამერიკის საზღვრებს და ასევე საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი წრეებისათვის. მოცემული მოხსენების მიზანია საკითხით დაინტერესებულ პირებს გააცნოს აბორტის საკითხის გარშემო აშშ-ში არსებული ძირითადი სამართლებრივი ტენდენციები. ამისთვის მოხსენებაში მიმოხილული იქნება აბორტის სამართლებრივი მდგომარეობის ისტორიული მიმოხილვა, განხილული იქნება Roe-ს და Dobbs-ის საქმე, წარმოდგენილი იქნება ამ საქმის გარშემო მხარეების ძირითადი არგუმენტები და სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, ასევე მიმოხილული იქნება დასახელებულ საქმეებს შორის არსებული უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: აბორტის უფლება აშშ-ში, Roe v Wade-ის საქმე, Dobbs v Jackson Women Health organization-ის საქმე, აბორტის რეგულირების ახალი სტანდარტი.

Abortion rights in the US, From Roe to Dobbs

Givi Luashvili

Associate professor, Georgian National University (SEU)

g.luashvili@seu.edu.ge

Abstract: Abortion is a legal and social issue that revolves around America. In the United States, there is disagreement and polarization on this matter. This conflict is evident in the legal sphere as the Supreme Court considers the disputed subject, leading to outcomes that are not equally acceptable and understandable to both parties. In the landmark Roe v. Wade decision, the Supreme Court limited states' ability to regulate abortion on a discretionary basis, defined the constitutionality of the right to an abortion in that particular case, and established a standard for abortion. This marked the court's first ruling on abortion. Subsequent to this case, the Supreme Court's practice evolved more or less consistently. However, in the 2022 Dobbs v. Jackson Women's Health Organization case, the court's decision changed the practice and regulatory environment, overturning the precedent set in the Roe v. Wade case. This Supreme Court decision triggered significant concerns and protests in society and among lawyers. Its impact has extended beyond the borders of America and is also of interest to legal societies in different countries. The purpose of this report is to inform those interested in the issue of the main legal trends in the USA surrounding abortion. The report will analyze a historical overview of the legal status of abortion. The cases of Roe and Dobbs will be discussed, and centered around these cases, the main arguments of the parties, the standards established by the court, and the Supreme Court's practice will be reviewed.

Keywords: Abortion Rights in the US, Case Roe v Wade, Case Dobbs v Jackson Women Health organization, A New Standard for Abortion Regulation.

საქართველოს (არა) სახალხო კონსტიტუცია

გიორგი ალავერდაშვილი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

giorgialaverdashvili@gmail.com

აბსტრაქტი: ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში ხშირად საუბრობენ კონსტიტუციის სახალხო ლეგიტიმაციის თაობაზე. ზოგიერთები კონსტიტუციას მოიხსენიებენ როგორც სოციალური კონტრაქტი, ერთი მხრივ ხალხსა და მეორე მხრივ ხელისუფლებას შორის. დამფუძნებელი ძალაუფლების თეორიის მიხედვით, რომელსაც საფუძველი ემანუელ ჟოსეფ სიესმა ჩაუყარა, ხალხი უბოძებს კონსტიტუციას ხელისუფლებას. სწორედ ხალხია ის სუბიექტი, ვინც წარმოდგება კონსტიტუციის წყაროდ. თუმცა, ხალხი ზოგჯერ მისტიურ, მითოლოგიურ სუბიექტად არის წარმოდგენილი, რომლის რეალური გამოვლინების გზები საკმაოდ პრობლემურია. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია თითქმის სამი ათეული წლისაა, თუმცა მასში 36 ცვლილებაა შესული და ორი კონსტიტუციური კანონი დღეს პარლამენტში განხილვებს ელოდება. მოხსენების მთავარია მიზანია გასცეს კითხვას პასუხი, თუ რამდენად სახალხო დოკუმენტია საქართველოს კონსტიტუცია. ამისათვის 3 კონსტიტუციური მომენტი, აკერძანს რომ დავესახსოთ, იქნება გაანალიზებული. ერთი მხრივ, გამოსვლა შეეხება 1995 წელს კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პერიპეტიებს. აქცენტები დაისმება უშუალოდ სახალხო მონაწილეობის ხარისხზე როგორც უშუალოდ პროექტების შემუშავების, ისე საპარლამენტო განხილვების კუთხით. ამის შემდეგ, საინტერესოა 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც თავისი არსით უფრო რეფორმა იყო. მასთან მიმართებითაც აუცილებელია სახალხო ლეგიტიმაციის დონის განსაზღვრა. ამ წრილში მნიშვნელოვანია თავად საერთო სახალხო განხილვები რამდენად წარმოადგენს ხალხის აზრის გამომხატველ ფორუმს. მესამე კონსტიტუციური მომენტი არის 2017-18 წლების მასშტაბური საკონსტიტუციო რეფორმა, სადაც მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხია საინტერესო. მოხსენების ბოლოს ყურადღება გამახვილდება 2021 და 2022 წლებში დაინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე. მართალია თავისი არსით ისინი ნაკლებად მასშტაბურია, თუმცა შინაარსობრივად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვის მქონეა. ყურადღებას იქცევს საქართველოში საკონსტიტუციო რეფორმების ტენდენციაც. ყველა მნიშვნელოვანი რეფორმა შესაბამისი დროის ძირითადი პოლიტიკური პარტიის ვნებებს ასახავდა. ამიტომ, მოხსენებაში ასევე გამოიკვეთება საკონსტიტუციო ცვლილებათა კულტურის ტიპი საქართველოში. ამის ფონზე, ლეგიტიმურია კითხვა, თუ რამდენად სახალხოა საქართველოს კონსტიტუცია.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, საკონსტიტუციო რეფორმები, საკონსტიტუციო ცვლილებები, მონაწილეობა.

The (Non) Popular Constitution of Georgia

Giorgi Alaverdashvili

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

giorgialaverdashvili@gmail.com

Abstract: Georgian and foreign literature often talk about the popular legitimacy of the constitution. Some refer to a constitution as a social contract between the people on the one hand and the government on the other. According to the constituent power theory, devised by Emmanuel Joseph Sieyès, the people bestow the constitution on the government. It's the people who are the source of the constitution. However, people are sometimes presented as a mystical, mythological entity, whose ways of real manifestation are quite problematic. The current Constitution of Georgia is almost three decades old, though it has been amended 36 times and two constitutional laws are awaiting discussions in the Parliament today. The main goal of the report is to answer the question of how much of a popular document is the Constitution of Georgia. For this, 3 constitutional moments, to cite Ackerman, will be analyzed. On the one hand, the speech will touch on the development and adoption of the Constitution in 1995. Emphasis will be placed on the quality of public participation both directly in terms of draft development and parliamentary discussions. After that, the speech will discuss the constitutional amendment of February 6, 2004, which was more of a reform in its essence. In relation to it, it is necessary to determine the level of public legitimacy. In this regard, it is noteworthy that the general public discussions themselves represent a forum for expressing people's opinion. The third constitutional moment is the large-scale constitutional reform of 2017-18, where the degree of participation of the population is interesting. At the end of the report, attention will be focused on the constitutional changes initiated in 2021 and 2022. Although they are less large-scale in their essence, they have a significant political load in terms of content. Attention is also drawn to the trend of constitutional reforms in Georgia. All essential reforms reflected the passions of the major political parties of the time. Therefore, the speech also outlines the type of culture of constitutional amendments in Georgia. Against this background, it is legitimate to ask how popular the Constitution of Georgia is.

Keywords: Constitution, Constitutional Reforms, Constitutional Amendments, Participation.

**ევროკავშირის არანევრი ქვეყნების მოქალაქე სპორტსმენების
რეგისტრაციასთან დაკავშირებული შეზღუდვები ევროკავშირის ქვეყნებში**

გიორგი გაბუნია

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgigabunia22@gmail.com

აბსტრაქტი: საქართველოში, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, სპორტი, გარდა ჯანსაღი ცხოვრების წესის და სოციალური მოვლენისა, ამასთანავე, გახდა მულტი კულტურული, მულტი ნაციონალური და ეკონომიკური საქმიანობა. სპორტის სხვადასხვა სახეობების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ახალი რეგულაციების დაწესების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე კი სპორტის სამართალი ჩამოყალიბდა, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი. სპორტულ სამართლებრივ ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენს ცალკეული სახელმწიფოების ან/და სახელმწიფოთა გაერთიანებების მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმები. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა სპორტის სფეროში ყველაზე ცნობილი და გავრცელებული Bosman-ის ქეისი. ზოგიერთ სახელმწიფოში, სხვადასხვა სპორტის სახეობების მმართველი ეროვნული ფედერაციები და პროფესიონალური ლიგები აწესებენ შეზღუდვებს უცხოელი სპორტსმენებისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროფესიონალური კლუბებისათვის წინასწარ არის დადგენილი კვოტები თუ რამდენი უცხოელი სპორტსმენი შეიძლება დაარეგისტრირონ მათ კლუბებში. მიუხედავად წინასწარ მკაცრად დადგენილი კვოტებისა, ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური გამონაკლისი წესები. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი მოქმედებს ე.წ. ACP ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არიან Cotonou Agreement-ის მხარეები. ECJ-მა 2003 წელს დააკმაყოფილა სლოვაკი ხელბურთელის, მაროშ კოლპაკის, სარჩელი გერმანული ხელბურთის კლუბის TSV Ostringen წინააღმდეგ და დაადგინა, რომ გერმანიის ხელბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული კვოტები და გერმანული კლუბის გადამყვებილება, შეწყვიტა ხელშეკრულება სლოვაკ ხელბურთელთან, არღვევდა ევროკავშირსა და სლოვაკეთს შორის გაფორმებულ ასოცირების შესახებ შეთანხმებას. ეს გადამყვებილება ცნობილია კოლპაკის წესის სახელით (Kolpak Ruling). მხარეთა შორის ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებაც. კერძოდ, ხელშეკრულების 416-ე მუხლი ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას. შესაძლებელია საქართველომ, როგორც ასოცირების ხელშეკრულების მხარემ დაიწყოს ამ საკითხის ადვოკატირება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, რათა მოწინავე სახელმწიფოების სპორტულ ლიგებში საქართველოს მოქალაქე სპორტსმენები არ მოხვდნენ წინასწარ დადგენილ ლიმიტებში და არ შეეხოთ დაწესებული შეზღუდვები.

საკვანძო სიტყვები: სპორტის სამართალი, ბოსმანის საქმე, დისკრიმინაცია, კოლპაკის წესი, კვოტები, ასოცირების ხელშეკრულება, საქართველო.

Restrictions Related to the Registration of Sportsmen Who are Citizens of Non-EU Countries in the EU Countries

Giorgi Gabunia

PhD Student, Ivane Javakishvili Tbilisi State University

giorgigabunia22@gmail.com

Abstract: Over the past two decades, sport, in addition to being a healthy lifestyle and social activity, has also become a multicultural, multinational and economic activity. The rapid development of various sports has led to the need to establish new rules. Sports legal relations are greatly influenced by the legal norms established by individual states and/or associations of states, which establish general rules of behavior for society as a whole, and not specifically for people working in the field of sports. The most famous and widespread case of Bosman in the field of sports is a clear confirmation of this. It is rightly believed that after the Bosman case, sports, and primarily football, moved to a new stage of development. In some states, the governing national federations of various sports and professional leagues impose restrictions on foreign sportsmen, which results in professional clubs having predetermined quotas on the number of foreign sportsmen that can be registered with their clubs. Despite the quotas strictly established in advance, some countries have special exception rules. One such exception applies to the so-called for citizens of ACP countries that are parties to the Cotonou Agreement. In 2003, the ECJ upheld the claim of the Slovak handball player Maroš Kolpak against the German handball club TSV Ostringen and found that the quotas set by the German Handball Federation and the German club's decision to terminate the contract with the Slovak handball player violated the Association Agreement between the European Union and Slovakia. This decision is known as the Kolpak Ruling. The Association Agreement between Georgia and the European Union signed in 2014 also provides for the prohibition of discrimination on the basis of nationality between the parties. In particular, Article 416 of the Agreement refers to the prohibition of discrimination. Based on the above legal acts, agreements and decisions, it is possible for Georgia, as a party to the Association Agreement, to start advocating this issue with the EU member states, so that Georgian sportsmen in the sports leagues of advanced states do not fall within the predetermined limits and do not touch the imposed restrictions.

Keywords: Sport Law, Bosman case, Discrimination, Kolpak Ruling, Quotas, Association Agreement, Georgia.

ქართული საკონსტიტუციო პროცესი: ტექნოლოგია, გაკვეთილები, სისტემური პრობლემები

გიორგი კვერენჩილაძე

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

gkverenchkhiladze@gmail.com

აბსტრაქტი: ქართულმა კონსტიტუციონალიზმმა საუკუნე მიითვალა, თუმცა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში განხორციელებული კონსტიტუციური პროცესი, სამწუხაროდ, სამ ათწლეულზე ოდნავ მეტი ხნისაა. თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი ნებისმიერი, განსაკუთრებით კი ტოტალიტარული წარსულისაგან გათავისუფლებული საზოგადოებისათვის, უპირველესად ქმედითი დემოკრატიული და სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ მექანიზმების შექმნას უკავშირდება. სახელმწიფოებში, და მათ რიგებს საქართველოც განეკუთვნება, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურისა თუ გამოცდილების დეფიციტს განიცდიან, მოხდა დემოკრატიული რეფორმების დიდწილად გაიგივება საკონსტიტუციო რეფორმებთან. შესაბამისად, ხსენებულმა გარემოებამაც განაპირობა საკონსტიტუციო კანონშემოქმედებითი პოლიტიკისა და პროცესის გააქტიურება, შედეგად კი - კონსტიტუციური კანონმდებლობის ინტენსიური შექმნა-გადასინჯვა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან (დამოუკიდებლობის აღდგენიდან) დღემდე მიღებულ იქნა 1992 წლის „მცირე კონსტიტუცია“, მოქმედი 1995 წლის კონსტიტუცია და, იმავდროულად, არაერთი მასშტაბური საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა, რომელთა ძირითად შედეგს მმართველობის მოდელის სახესხვაობათა ცვლილება წარმოადგენდა. შედეგად, უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში, საქართველომ რესპუბლიკური მმართველობის მოდელის ყველა ნაირსახეობა გამოსცადა საპრეზიდენტო, ნახევრად საპრეზიდენტო, ზესაპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ სულაც ატიპიური ფორმების სახით. ეს გარემოება, ხსენებული პერიოდის პოლიტიკური თუ კონსტიტუციური პრაქტიკის გათვალისწინებითაც, ნამდვილად ვერ ჩაითვლება გატარებული საკონსტიტუციო რეფორმების ცალსახა წარმატებულობის მიმანიშნებლად. მეტიც, დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში სახელმწიფოს მმართველობის მოდელების ამგვარი ხშირი ცვლილება, მათი შინაარსის გათვალისწინებითაც, მკაფიოდ მიუთითებს განხორციელებული რეფორმების ნაჩქარევ თუ პოლიტიკურად მიკერძოებულ ხასიათზე, ასევე კონსტიტუციონალიზმის წარმატებული პრაქტიკის უგულებელყოფაზე. სწორედ ზემოხსენებული საკონსტიტუციო რეფორმების პროცესის შედეგად გამოტანილ თუ გამოსატან დასკვნებს, გამოკვეთილ კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემებს და, ზოგადად, ქართული კონსტიტუციის მშენებლობისა და თანმდევნი საკონსტიტუციო რეფორმების ტექნოლოგიას ეძღვნება წინამდებარე მოხსენება.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, საკონსტიტუციო რეფორმები, კონსტიტუციონალიზმი, მმართველობის მოდელები.

Georgian Constitutional Process: Methodology, Lessons, Systemic Problems

Giorgi Kverenchkhiladze

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

gkverenchkhiladze@gmail.com

Abstract: Georgian constitutionalism has counted a century, however, regrettably, the constitutional process implemented under the auspices of an independent statehood has only reached a modest age of slightly over three decades. The construction of a contemporary state predominantly revolves around the establishment of robust democratic and legal institutions or mechanisms within a society, particularly one that has liberated itself from a totalitarian past. In states such as Georgia, characterized by a lack of historically established state and political-legal culture or experience, democratic reforms have been closely intertwined with constitutional reforms. As a consequence, including this circumstance has prompted the initiation of policies and processes pertaining to the creation of constitutional laws, resulting in an intensive creation and revision of constitutional legislation. Since the early 1990s, following the restoration of independence, significant constitutional developments have unfolded in Georgia. During this period, the "small constitution" of 1992 and the present constitution of 1995 were adopted, accompanied by a series of extensive constitutional reforms. These endeavors have notably brought about fundamental transformation in the governance model. As a result, over the course of the past three decades, Georgia has experimented with various iterations of the republican governance model, encompassing presidential, semi-presidential, super-presidential, parliamentary, and even atypical forms. Given the political and constitutional practices observed during this period, it becomes arduous to categorize this fact as an unequivocal testament to the success of the constitutional reforms implemented. Moreover, the frequent alteration of state governance models within a relatively brief timeframe, along with the substantive aspects of these changes, unequivocally indicates that the implemented reforms were characterized by haste or political bias, neglecting the principles of constitutionalism's best practices. The present report is devoted to the conclusions derived or to be derived from the aforementioned constitutional reforms, examining the identified constitutional issues, and, more broadly, the methodology employed in constructing the Georgian constitution and subsequent constitutional reforms.

Keywords: Constitution, Constitutional Reforms, Constitutionalism, Modes of Governance.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება
საქმეზე Fedotova and Others v. Russia და კონვენციის ცოცხალ
ინსტრუმენტად განმარტების ფარგლებში**

გიორგი კვირიკაშვილი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრი,

გრონიგენის უნივერსიტეტი

gi_kvirkashvili@cu.edu.ge

აბსტრაქტი: 2023 წლის 17 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფრაზა „ოჯახური ცხოვრება“ რუსეთს ერთნაირსქესიანი პირების პარტნიორობის რაიმე ფორმით დაკანონების პოზიტიურ ვალდებულებას უწესებდა. სასამართლომ ეს ვალდებულება, მათ შორის, კონვენციის ცოცხალ ინსტრუმენტად განმარტების საფუძველზე ამოიკითხა. პოლონელმა მოსამართლემ ეს დასკვნა განსხვავებულ აზრში გააკრიტიკა. მოხსენებაში ფართოდ იქნა გაკრიტიკებული კონვენციის ცოცხალ ინსტრუმენტად განმარტების დოქტრინა, რადგან დოკუმენტში ახალი უფლებების ჩამატება მხოლოდ სახელმწიფოთა თანხმობის საფუძველზე, მისი გადასინჯვის გზით უნდა მოხდეს. მოსამართლეთა მიერ სოციალური ცვლილებების კვალდაკვალ კონვენციაში ახალი უფლებების ინტეგრირება ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ეფექტურ პოლიტიკურ დემოკრატიას ზღუდავს. ამასთან, ცოცხალ ინსტრუმენტად კონვენციის განმარტება კონკრეტული ხელშემკვრელი მხარისთვის უკიდურესად არაპროგნოზირებად გარემოს ქმნის. შეუძლებელია რუსეთს 1998 წელს, კონვენციაზე მიერთების მომენტში, სცოდნოდა, რომ 2023 წელს ამავე დოკუმენტის მერვე მუხლი ზემოხსენებულ პოზიტიურ ვალდებულებას „დააკისრებდა.“ ბუნებრივია, ხელშეკრულებაზე მიერთებისას სახელმწიფოები ერთგვარად თანხმდებიან განმარტების ძირითად ლოგიკაზე. ახალი უფლებები და ვალდებულებები მათ მხოლოდ წინასწარი თანხმობის გამოხატვის შედეგად უნდა დაეკისროს. ამ თვალსაზრისს ევროპული სასამართლოც ატარებდა პრაქტიკაში. საქმეში Johnston and Others v. Ireland განიმარტა, რომ კონვენცია არ მოიცავდა განქორწინების უფლებას, რადგან ევოლუციური განმარტების გზით მასში ვერ მოხვდება უფლება, რომელიც თავიდანვე არ ყოფილა მოაზრებული. სასამართლოს იდენტური ლოგიკის მქონე არაერთი გადაწყვეტილება მიუღია მე-12 მუხლთან მიმართებით. მოხსენების მეორე ნაწილში აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე გამოიკვია, რომ ტექსტის განმარტების ორიგინალისტური მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართაც. მაგალითად, საქმეზე *Kyllo v. United States* სასამართლომ დაადგინა, რომ მარიხუანას მოსაძებნად თერმული მონაცემებით სახლის შიდა სივრცის ანალიზი ჩხრეკაა და დაცულია XVIII საუკუნეში მიღებული მეოთხე შესწორებით. ამდენად, სახელმწიფოებში ეფექტიანი პოლიტიკური დემოკრატიის დასაცავად აუცილებელია, რომ კონვენციის ტექსტი განიმარტოს მხოლოდ სახელმწიფოთა მიერ გაცემული თანხმობის ფარგლებში. სოციალური პროგრესის ასახვაც დოკუმენტში მისი ფორმალური გადასინჯვის შედეგად უნდა მოხდეს.

საკვანძო სიტყვები: LGBTQ+ პირთა უფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, სამოქალაქო პარტნიორობა.

**The Grand Chamber Judgement on Fedotova and Others v. Russia - The Scope
of The Living Instrument Doctrine as a Method of Interpretation for
the European Convention on Human Rights**

Giorgi Kvirikashvili

LLM. International Human Rights Law, University of Groningen

gi_kvirkashvili@cu.edu.ge

Abstract: The Grand Chamber of the European Court of Human Rights held that Article 8 of the European Convention on Human Rights imposed a positive obligation to Russia to create a specific legal framework for the recognition of same-sex couples. In making that conclusion the Court applied the living instrument doctrine. I argued that new rights should only be added to the Convention only through the protocols adopted based on states' consent. However, when judges do the same, they limit effective political democracy within the state parties. Moreover, interpreting the Convention as a living instrument creates a very unpredictable situation for the state concerned. For instance, in 1998 when Russia acceded to the Convention, it could not have foreseen that Article 8 would impose the mentioned obligation in 2023. This line of reasoning can also be found in the Court's jurisprudence. In the case of Johnston and Others v. Ireland, the Court held that the right to marry, guaranteed under the Convention, did not include the right to divorce because the states did not put it in the treaty. I also argued that Originalism was a fully applicable doctrine over new circumstances. In fact, the US Supreme Court has held that scanning the house with a thermal imaging device to uncover marijuana plants represented a "search" under the US Constitution adopted in the XVIII century. Therefore, to preserve effective political democracy within the states, it is important to interpret the text of the Convention strictly within the scope of states' consent.

Keywords: LGBTQ+ Rights, European Convention on Human Rights, Civil Partnership.

**საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის დევნის მექანიზმები
საერთაშორისო საჯარო სამართალში**

გიორგი ჩახვაძე

დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ლექტორი, ლიეტუვის საზღვაო აკადემია
ლექტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
george.chakhvadze@yahoo.com

აბსტრაქტი: თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო სამართალში განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი. მიუხედავად ამისა, არსებობს ფუნდამენტური პრობლემები, რომლებიც უკავშირდება აღნიშნული დანაშაულის დეფინიციასა და მის საერთაშორისო დანაშაულად კვალიფიკაციას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა უმეტესობა საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმს განიხილავს როგორც ტრანსნაციონალურ და არა როგორც საერთაშორისო დანაშაულს. საგულისხმოა, რომ დღეისათვის არ არსებობს სისტემატური სამეცნიერო ნაშრომი, სადაც განხილული იქნებოდა საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის დევნის მექანიზმები. აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის სამუშაო დეფინიციის შემოთავაზებას და ახალი ხედვის განვითარებას საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის ბუნების შესახებ, რაც მოხდება როგორც საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და პრაქტიკის, ისე სახელმწიფოთა შიდა პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. კერძოდ, ნაშრომში განვითარებული თეზისის მიხედვით თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი უნდა იქნეს განხილული არა როგორც ტრანსნაციონალური, არამედ როგორც ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი საერთაშორისო დანაშაული. გარდა ამისა, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ნაშრომი მიზნად ისახავს განიხილოს საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის დევნის ძირითადი მექანიზმები საერთაშორისო სამართალში (როგორებიცაა მაგალითად გაეროს საერთაშორისო სასამართლო, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი). ასევე განხილული იქნება საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის დევნის პერსპექტივები სხვა საერთაშორისო/ჰიბრიდული ტრიბუნალებისა და შიდა სასამართლოების მიერ.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმი, საერთაშორისო დანაშაული, ტრანსნაციონალური დანაშაული.

Prosecutorial Mechanisms for International Maritime Terrorism (IMT) in Public International Law

Giorgi Chakvadze

PhD Candidate, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lecturer, Maritime Academy of Lithuania

Lecturer, Batumi Shota Rustaveli State University

george.chakhvadze@yahoo.com

Abstract: Nowadays, the issue of combating international maritime terrorism (hereinafter referred as IMT) is utterly important in Public International Law. Nevertheless, there are fundamental problems related to the definition of the mentioned crime and its qualification as an international crime. It can be said that today most international law specialists consider the IMT as a transnational rather than an international crime. Furthermore, there is no systematic scientific article which specifically discusses the prosecutorial mechanisms of IMT in public international law. Against this background, the paper aims to propose a working definition of IMT and to develop a new vision about the nature of IMT, which will be based on the analysis of both international instruments and practices, as well as national practice of states. The paper will advance the view that at the modern stage IMT should be considered as an emerging international crime. In addition, as the title suggests, the paper aims to discuss the main prosecutorial mechanisms for IMT in international law (such as the ICJ, the ICC, the ITLOS). Prospects for the prosecution of international maritime terrorism by other international/hybrid tribunals and domestic courts will also be discussed.

Keywords: International Maritime Terrorism, International Crime, Transnational Crime.

სახელმწიფოს დიფერენცირებული მიდგომა ზოგადი განათლების დაფინანსებისადმი

დავით სამნიძე

მინვეული მასწავლებელი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

davidsamnidze4@gmail.com

აბსტრაქტი: განათლების დაფინანსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც განათლების სუბიექტისთვის, ასევე თავად სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, რადგანაც განათლების დაფინანსება არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ ინდივიდისთვის მინიჭებულ პრივილეგიად ან შემწეობად, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ განათლების უფლების სრული რეალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის, ამასთან, განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანს ართმევს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას. დღეს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ განათლების უფლების რეალიზება და საზოგადოებისთვის უფასო ზოგადი განათლების მიწოდება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. განათლებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბების, შემდგომი პროფესიული ზრდისა და გარემოსთან ნორმალური ადაპტაციის საქმეში. ზოგადი განათლების დაფინანსება არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო პრივილეგიად, რადგან განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბება სარგებლობს როგორც ინდივიდისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის, ანუ განათლებას გაცილებით ფართო სოციალური ფუნქცია აქვს. დაწყებითი განათლების მსვლელობისას ადამიანი ეუფლება ელემენტარულ წერა-კითხვის და სხვა მსგავს უნარებს, რომლებიც ფასდაუდებელია მისი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში. იგივე შეიძლება ითქვას ზოგადად საშუალო განათლებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს შექმნას ე. წ. ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება, საგრძნობლად იზრდება საშუალო განათლების როლი ინდივიდის განვითარებაში. ცხადია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მხოლოდ საბაზისო ცოდნისა და უნარების ხელმისაწვდომობა არის დაბრკოლება წარმატებული პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ზოგადი განათლების დაფინანსების კუთხით სახელმწიფო ერთნაირად უნდა ზრუნავდეს საქართველოს მოქალაქეებზე, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იურიდიული სტატუსის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა აირჩიეს მოსწავლეებმა.

საკვანძო სიტყვები: განათლების უფლება, სახელმწიფოს დაფინანსება, განათლების მნიშვნელობა.

Diverse State Approaches in Funding General Education

Davit Samnidze

Visiting lecturer, Batumi Shota Rustaveli State University

davidsamnidze4@gmail.com

Abstract: The financing of education holds special significance, not only for the individuals pursuing education but also for the state and society at large. Education funding should not be viewed merely as a privilege or concession granted by the state to individuals. The complete realization of the right to education is crucial for the development of a democratic state, and limiting access to education throughout one's life denies them the opportunity to lead a fulfilling life. It is unequivocal today that ensuring the right to education and providing free general education to society are among the most important responsibilities of the state. Education plays a fundamental role in shaping cultural values, fostering professional growth, and facilitating normal adaptation to the environment. Funding for general education should not be perceived as a mere privilege; rather, it serves a broader social function by contributing to the formation of an educated society, benefiting both individuals and the state. During primary education, individuals acquire essential literacy and other skills crucial for shaping their thinking. The same holds true for secondary education, especially in the context of the growing emphasis on creating a "Knowledge-Based Society" in numerous countries. The role of secondary education in individual development is significantly increasing, and it is evident that possessing only basic knowledge and skills is a hindrance to successful personal and professional development in modern society. This, in turn, negatively affects the long-term socio-economic well-being of the state. Concerning the financing of general education, the state should ensure equal care for all citizens of Georgia, irrespective of the legal status of the general education school chosen by the students.

Keywords: The Right to Education, State Funding, Importance of Education.

**ტელეოლოგიური განმარტებისა და აღმასრულებელი პოლიტიკის
განსაზღვრის ურთიერთმიმართება საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

დimitრი გეგენავა

პროფესორი, პრორექტორი,
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
d.gegenava@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის ტელეოლოგიურ განმარტებას საკმაოდ ხშირად მიმართავს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რთულია ნეგატიური კანონმდებლისა და პოლიტიკის განმსაზღვრელის უფლებამოსილებებს შორის ზღვრის დაჭერა. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია, როცა კონკრეტულ სიტყვათშეთანხმებებს განსხვავებულ, მათი სემანტიკური მნიშვნელობისგან თვისობრივად დაშორებულ შინაარსს ანიჭებს. მსგავსი პრობლემაა, როცა რთულია გაიმიჯნოს პრინციპებისა და პოლიტიკის არგუმენტები კონკრეტული საკონსტიტუციო დავის გადაწყვეტისას. მიზნობრივი განმარტების ზღვარგადასულ გამოყენებას თან ახლავს სამოსამართლო აქტივიზმისთვის დამახასიათებელი რისკები, რომელთა დაბალანსება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში აუცილებელია. ნორმის განმარტებისა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული საკონსტიტუციო კონტროლიდან სასამართლო არ უნდა იქცეს აქტიურ პოზიტიურ კანონმდებლად და შეითავსოს აღმასრულებელი პოლიტიკის დაგეგმვის უფლებამოსილება.

საკვანძო სიტყვები: ტელეოლოგიური განმარტება, აღმასრულებელი პოლიტიკის განსაზღვრა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პრინციპის არგუმენტი, პოლიტიკის არგუმენტი, საკონსტიტუციო დავა.

Interrelationship between the Purposive Interpretation and Executive Policymaking the Case Law of the Constitutional Court of Georgia

Dimitry Gegenava

Professor, Vice-Rector, Sulkhvan-Saba Orbelian University

d.gegenava@sabauni.edu.ge

Abstract: The Constitutional Court of Georgia refers to the teleological (purposive) interpretation of the norm quite often, although in some cases it is difficult to draw a line between the powers of the negative legislator and the policymaker. This is especially relevant when it assigns a different content to specific verbal agreements, qualitatively distant from their semantic meaning. It is a similar problem when it is difficult to distinguish between principles and political arguments in the resolution of a specific constitutional dispute. Using purposive interpretation is accompanied with high risks so familiar to the judicial activism; balancing those threats is necessary in the constitutional proceeding. Main responsibility of the constitutional court is interpretation of the constitutional norms and constitutional review, it should not be transformed as active positive legislator and executive policymaker.

Keywords: Purposive Interpretation, Executive Policy, Policymaker, Constitutional Court of Georgia, Principles and Political arguments, Constitutional Dispute.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

ედიშერ ფუტკარაძე

პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
edisher.putkaradze@sou.edu.ge

აბსტრაქტი: ადამიანის უფლების დაცვის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოს მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკა. სისხლის სამართლის პოლიტიკაზე კი გავლენას ახდენს სხვადასხვა გარემოება. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს საკანონმდებლო პოზიცია და შესაბამისად საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენებით წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკა. თუმცა ამ ორ საკითხთან ერთად მნიშვნელოვანია ისეთი გარემოებების შესწავლა, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ სახელმწიფოს სისხლის სამართლის საკანონმდებლო და სასამართლო პოლიტიკაზე. პირველ რიგში საყურადღებოა აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულება თუ გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლების სამივე შტოსთან ერთად სისხლის სამართლის პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს მეცნიერება. მეცნიერების როლი უნდა იყოს დიდი სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზეც. ცალკე საკითხია თუ რა ხდება ამა თუ იმ სახელმწიფოში რეალურად ამ მიმართულებით. ასევე საყურადღებოა შედარებით-სისხლისსამართლებრივ ქრილში სამართლებრივად განვითარებული ქვეყნების სისხლის სამართლის პოლიტიკის შესწავლა და გონივრული მასშტაბით იქაური გამოცდილების გაზიარება-გამოყენება. თანამედროვე სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლის საკუთარი სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებისას საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებს, რომელთა მოთხოვნების გათვალისწინებაც სასიცოცხლოდ აუცილებელია სამართლებრივად სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკისთვის. ასევე არის სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც სახელმწიფოს სამართლებრივი განვითარების მიხედვით, სხვადასხვა მასშტაბით, მაგრამ აუცილებელ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკაზე.

საკვანძო სიტყვები: უფლებები, სისხლის სამართალი, პოლიტიკა, სახელმწიფო, განვითარება.

Some Current Issues of Criminal Justice Policy

Edisher Putkaradze

Professor, Sukhumi State University, Georgia

edisher.putkaradze@sou.edu.ge

Abstract: One of the important issues from the point of view of protection of human rights is the criminal policy pursued by the state. Criminal law policy is influenced by various circumstances. The state's legislative stance and the utilization of the criminal law code by investigative and judicial entities hold immense significance in this context. However, along with these two issues, it is essential to consider that other factors also can influence the legislative and judicial policy of a state. First of all, the attitude or influence of the executive power on criminal law policy is noteworthy. Science plays a crucial role in the development and implementation of criminal justice policy, along with all three branches of government, under the rule of law. It is another subject, what is happening in this issue in other states. It is noteworthy to study the criminal law policy of legally developed countries from a comparative criminal point of view and to share and use the experience there on a reasonable scale. A modern state cannot disregard international conventions and agreements in its criminal law policy. Depending on the legal development of the states, there are other important circumstances that necessarily influence a state's criminal justice policy.

Keywords: Rights, Criminal law, Politics, State, Development.

**მთავრობის ანგარიშვალდებულების საპარლამენტო მექანიზმები
კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მიხედვით**

ეკა კაველიძე

ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი

kavelidze.eka@gmail.com

აბსტრაქტი: ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მთავარი იდეაც სწორედ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების განონასწორების ბერკეტების ეფექტურობაში მდგომარეობს. ქართული კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა გვჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში, მთავრობის საპარლამენტო ანგარიშვალდებულების კონსტიტუციური მექანიზმები არაეფექტურია და კონკრეტულ, ხელშესახებ შედეგებს არ წარმოშობს. ეს პრობლემა ორი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული - ან მექანიზმის კონსტიტუციური რეგულირებაა ხარვეზული ან მექანიზმის გამოყენება არ ხდება/არასწორად ხდება. წინამდებარე მოხსენების მიზანია შეფასდეს, მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით რამდენად სათანადოდაა შერჩეული საპარლამენტო ანგარიშვალდებულების კონკრეტული მექანიზმები, ხომ არაა რომელიმე მათგანი ხარვეზული, რამდენად ეფექტურია მისი არსებობა მმართველობის არსებული მოდელის გათვალისწინებით. წარმოდგენილი იქნება შედარება - კონსტიტუციის წინა რედაქციებში როგორ იყო აღნიშნული საკითხი დარეგულირებული, რაც მოგვცემს შუალედური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას - რა ტენდენცია იკვეთება მთავრობის ანგარიშვალდებულების საპარლამენტო მექანიზმების მიმართ, არის თუ არა აღნიშნული ქართული კონსტიტუციონალიზმის ძლიერი/სუსტი მხარე და რამდენად ახდენს გავლენას ეს საკითხი ზოგადად ხელისუფლების სტაბილურობაზე. გარდა ამისა, მთავრობის საპარლამენტო ანგარიშვალდებულების ძლიერი და ეფექტური მექანიზმები უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოს ერთგვარ პრიმატს აღმასრულებელ ხელისუფლებაზეც. თუმცა, აღნიშნული სუბორდინაცია პირიქით შემობრუნდა დღესდღეობით - თანამედროვე მმართველობის მახასიათებელია ძლიერი მთავრობა და მასზე დამოკიდებული, შედარებით სუსტი და პასიური პარლამენტი. ეს თანაფარდობა ვერ გააძლიერებს დემოკრატიულ მმართველობას, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც უშუალოდ დემოკრატიის გამოვლინებას მხოლოდ პარლამენტი წარმოადგენს ქართულ უმაღლეს სახელისუფლებო რეალობაში. მოხსენებაში შემოთავაზებული იქნება ავტორისეული ხედვები, კონკრეტული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ საკითხი საინტერესო იქნება კონფერენციის მონაწილეთათვის და მსმენელებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მთავრობა, პარლამენტი, მთავრობის ანგარიშვალდებულება, საპარლამენტო ზედამხედველობა, საკონსტიტუციო რეფორმა.

Constitutional Mechanisms of Parliamentary Oversight Over the Executive

Eka Kavelidze

Associate professor, Caucasus University

kavelidze.eka@gmail.com

Abstract: This especially concerns the issue of accountability of the latter to the former. Naturally, the core idea behind the separation of powers is the effective mechanisms for checks and balances between these branches of government. Furthermore, the practice of Georgian constitutionalism reveals the existing constitutional mechanisms for the parliamentary control and oversight over the executive are ineffective as they do not ensure genuine accountability. This may have two reasons: either the regulatory framework is problematic, or those mechanisms are wrongly applied/not applied in practice. Hence, this research will assess the effectiveness of the current Constitutional system of executive accountability in the context of the existing mode of governance. I shall also review old versions of the Constitution to show how it approached this issue in the past. This will reveal regulatory tendencies and whether this issue is a weakness or strength of Georgian Constitutionalism. In the process I shall also assess the influence of the executive's accountability over the general stability of governance. Moreover, strong and effective mechanisms of parliamentary accountability ensure a certain primacy of the legislative branch over the executive. However, relatively weak, passive Parliament that is dependent on the executive is the characteristic of modern Georgian governance. This will not make Georgian democracy stronger especially when the Parliament is the only remaining manifestation of the direct democracy. In conclusion, I shall offer my views about possible solutions for the problems discussed above.

Keywords: Executive, Parliament, Executive's Accountability, Parliamentary Oversight, Constitutional Reform.

სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების სისტემები საქართველოში

ვასილ ლიპარტელიანი

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

vasil.liparteliani@gmail.com

აბსტრაქტი: საქართველოში მოქმედი სისტემა, რომელიც უკავშირდება სპორტული ორგანიზაციების აღიარებასა და მათ დაფინანსებას, წარმოადგენს ევროპულ გამოცდილებაზე აგებულ თანამედროვე სისტემას, რომელიც ობიექტურად განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი სპორტული ორგანიზაციების (ფედერაციები, ასოციაციები, კავშირები და სხვა) სტატუსს და სახელმწიფოს მხრიდან მათი ფინანსური მხარდაჭერის დონეს, შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. სისტემის სამართლებრივი რეგულაცია სრულად არის შესაბამისობაში ევროპასთან ასოცირების შეთანხმების სპორტის სფეროს რეგულირების პრინციპებთან და პრიორიტეტებთან. აღნიშნული სისტემა 2015 წლიდან დაინერგა და დღემდე წარმატებით ხორციელდება. სახელმწიფოს მხრიდან სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა განსაზღვრავს მათ ეტაპობრივ და მდგრად განვითარებას, სადაც არავის არ აქვს, მითუმეტეს სახელმწიფოს, შეცდომების დაშვების უფლება, შესაბამისად მხარდაჭერის განსაზღვრა ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმების დაცვით და გადაწყვეტილების პროცესში ჩართულია არა მარტო დარგობრივი უწყება, არამედ ასევე პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის, ოლიმპიური, პარალიმპიური და არაოლიმპიური კომიტეტის წევრები და წარმომადგენლები. საქართველოში ამ სისტემის მუშაობის უკვე მრავალწლიანმა გამოცდილებამ ასევე წარმოაჩინა გარკვეული ნაკლოვანებები, რომელიც შეიძლება აღმოფხვრილ იქნეს სისტემის რეფორმის ფარგლებში, რაც გულისხმობს მეტ გამჭვირვალობას, მოქნილობას და მეტ კოორდინაციას, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.

საკვანძო სიტყვები: სპორტის სამართალი, სპორტული ორგანიზაციები, სპორტული კომიტეტები, დაფინანსების სისტემები, საქართველო.

Recognition and Funding Systems of Sports Organizations in Georgia

Vasil Liparteliani

Associate Professor, Georgian State Teaching University
of Physical Education and Sport

vasil.liparteliani@gmail.com

Abstract: The system operating in Georgia, which is related to the recognition of sports organizations and their financing, is a modern system built on European experience, which objectively determines the status of sports organizations (federations, associations, unions, etc.) operating in Georgia and the level of their financial support from the state, based on relevant criteria. The legal regulation of the system is fully in compliance with the principles and priorities of the sports regulation of the Association Agreement with Europe. This system was introduced in 2015 and is being successfully implemented to this day. Financial support for sports organizations from the state determines their gradual and sustainable development, where no one, especially the state, has the right to make a mistake, therefore, the determination of support is carried out in accordance with the relevant criteria, and the decision. This process involves not only industry agencies, but also industry parliamentary committees, members, and representatives of Olympic, Paralympic and Non-Olympic committees. The long-term experience of this system in Georgia has also shown certain shortcomings that can be eliminated within the framework of the system reform, which implies more transparency, flexibility, and more coordination between private and state bodies.

Keywords: Sport Law, Sports Organizations, Sports Committees, Funding Systems, Georgia.

საქართველოში ადმინისტრაციული საჩივრის გზით ჯანმრთელობის უფლების დაცვის ცალკეული პრობლემური საკითხები

თამარ გვარამაძე

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

tgvaramadze@gmail.com

აბსტრაქტი: Covid-19-ის პანდემიამ საერთაშორისო შეფასებებსა და მსჯელობებში, ისევე როგორც აკადემიურ განხილვებში აქტუალური გახადა სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სისტემების ადმინისტრირების და მართვის საკითხი. საჯარო მმართველობის არაეფექტურმა განხორციელებამ და სისტემების სისუსტემ ცხადი გახადა მისი გავლენა ჯანმრთელობაზე, ეკონომიკურ პროგრესზე, ნდობასა და სოციალურ ურთიერთობებზე. პაციენტის დარღვეული უფლებების სწრაფად და ეფექტიანად აღდგენა კი ერთ-ერთი პრობლემურ საკითხად იქცა არა მხოლოდ ჩვენს სამართლებრივ სისტემაში, არამედ სხვა სისტემებშიც. ამასთან, ქართულ სამართლებრივ სივრცეში პაციენტთა უფლებების დაცვის საკითხი ძირითადად იხილება ან სამოქალაქო სამართლებრივი ან სისხლის სამართლებრივი საქმეების ჭრილში და დოქტრინაში მსჯელობაც და სამეცნიერო ნაშრომებიც სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი მიმართულებით არის წარმოდგენილი და ძალიან მწირია ამ თემებზე ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში მსჯელობა და განხილვები. უფლება ჯანმრთელობაზე, ადამიანის ფუნდამენტური უფლებას წარმოადგენს. ყველას უფლებაა სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან მიიღოს ქვეყანაში არსებული და დანერგული პროფესიული და სამომსახურო სტანდარტის შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული არიან დაიცვან მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები. ხოლო სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს. საქართველოში საკანონმდებლო რეგულირების თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სახელმწიფო მართვის და ადმინისტრირების მექანიზმებს შორისაა პაციენტსა და სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტს შორის ურთიერთობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. 2018 წლიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შექმნილია პროფესიული განვითარების საბჭო, რომლის დებულების თანახმად, მისი ერთი-ერთი ფუნქციაა განიხილოს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადება-საჩივრები და შესაბამისი მასალების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. ამ მექანიზმის არაეფექტურობა უკვე წლებია პრობლემას წარმოადგენს, რაზეც ყოველწლიურად მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშებში და აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმის ამ სფეროში არაეფექტურობას, უფლების დაცვის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია მისი როგორც ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმის გააზრება და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ნორმატიული ბაზის თუ პრაქტიკის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: ჯანმრთელობის უფლება, პაციენტის უფლებები, ადმინისტრაციული სამართალი, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.

Some Problematic Issues of Protection of the Right to Health Through an Administrative Complaint in Georgia

Tamar Gvaramadze

Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

tgvaramadze@gmail.com

Abstract: The COVID-19 pandemic has reintroduced the problem of health-system administration and management into international and academic debates. Ineffective public management and system inadequacies harm health, economic progress, trust, and social interactions. Effectively restoring the patient's infringed rights has become one of the most difficult challenges in our legal system, as well as in others. The Georgian legal system views the subject of preserving patients' rights as primarily a civil or criminal case. The doctrine and research articles are mostly presented from both civil and criminal viewpoints and very few under the domain of administrative law. The right to health is a basic human right. Everyone has the right to receive healthcare treatments that comply with the government's established standards from all medical care providers. Medical facilities are required to follow these requirements. Meanwhile, the government has control over all healthcare institutions and the quality of medical services. The regulation of the patient-medical provider interaction is one of the mechanisms of administration in the sphere of health care in Georgia. Since 2018, a professional development council has been established at Georgia's Ministry of IDPs from occupied territories, Labor, Health, and Social Protection. According to the special regulations, one of the council's functions is to review statements and complaints about the activities of medical staff and decide on doctors' professional responsibility. For years, the ineffectiveness of this process has been highlighted as a concern by the Public Defender of Georgia. This confirms the ineffectiveness of the administrative complaint mechanism in this area in terms of rights protection. To ensure its efficacy, it is critical to assess it as an administrative complaint mechanism and considerably improve the applicable normative framework or practice.

Keywords: Right to Health, Patient's Rights, Administrative Body, High Quality Healthcare.

საერთო სასამართლოების როლი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში

თამარ გურჩიანი

ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

tamar.gurchiani@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი: მომხსენებელი იმსჯელებს, თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობის ფუნქციას, და რა ხდება მის მიერ დისკრიმინაციის დადგენის შემდეგ. ასევე, თუ როგორია საერთო სასამართლოების პრაქტიკა დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტის ან/და მისი შედეგების აღმოფხვრის საქმეებზე და ასევე მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურების კუთხით. მოხსენების ერთ-ერთი მთავარი თემა არის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი სასამართლო საქმეების ანალიზის საფუძველზე, მათ შორის სექსუალური შევიწროების საქმეებზე. მომხსენებელი მსჯელობს იმაზე, თუ რა აქვთ საერთო და რა განასხვავებთ საერთო სასამართლოებს და სახალხო დამცველს, და აფასებს როგორც სახალხო დამცველის მიერ მიღებულ გადანაწილებებს, ასევე საერთო სასამართლოების პრაქტიკას დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის ამოქმედებიდან დღემდე. სახალხო დამცველს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს, თუ პირმა მის მიერ მიღებულ რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს. მომხსენებელი აგრეთვე შეაფასებს თუ როგორია სახალხო დამცველის მხრიდან სასამართლოსადმი მიმართვიანობის პრაქტიკა საკუთარი რეკომენდაციების შესრულების კუთხით. მსჯელობა ასევე შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც სასამართლო არ მიიჩნევს დადგენილად სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიხედვით დადგენილ ფაქტებს.

საკვანძო სიტყვები: სახალხო დამცველი, დისკრიმინაცია, თანასწორობა, სახალხო დამცველის მიერ სასამართლოსადმი მიმართვა.

The Involvement of General Courts in Combating Discrimination

Tamar Gurchiani

Associate Professor, Ilia State University

tamar.gurchiani@iliauni.edu.ge

Abstract: The speaker explores the efficacy of the Public Defender of Georgia in carrying out its oversight function to eradicate all forms of discrimination and ensure equality. The discussion extends to the aftermath of identifying instances of discrimination. Additionally, the speaker examines the practices of common courts concerning the cessation of discriminatory actions, elimination of their consequences, and the provision of compensation for moral and/or material damages. The report focuses on who has to prove what in legal cases, especially those involving sexual harassment. The speaker looks at court cases to see how the burden of proof is assigned. They compare how regular courts and the public defender handle this issue, pointing out similarities and differences. The speaker also assesses the decisions made by the public defender and the actions of regular courts since the law against all types of discrimination was put into effect. The report focuses on who has to prove what in legal cases. The Public Defender of Georgia is empowered to initiate legal proceedings if an individual fails to respond to the recommendations issued to them or neglects to share these recommendations. This legal action is permissible when there is substantial evidence supporting the claim of discrimination. The speaker will also assess the Public Defender's recourse to the court, specifically focusing on the implementation of their own recommendations.

Keywords: Public Defender, Discrimination, Equality, Public Defender's Recourse to the Court.

Renvoi-ის გამოყენების ძირითადი ასპექტები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართალში

თამარ მსხვილიძე

მინვეული ლექტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamar.mskhvilidze@atsu.edu.ge

აბსტრაქტი: საერთაშორისო კერძო სამართლის შინაარსი დაიყვანება კოლიზიური პრობლემის გამოვლენასა და სამართლის სისტემათა შორის კონკურენციის თავიდან აცილებაში. კოლიზიური ნორმა კონკრეტული სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად უთითებს რომელიმე ქვეყნის სამართალს. კოლიზიური კანონი, როდესაც მიაწინებს უცხოური სამართლის გამოყენების შესახებ, ის კი, უკანვე მიუთითებს თავდაპირველ სამართალს, ამას დოქტრინა უწოდებს პირველი რანგის ანუ ერთჯერად renvoi-ს (რემისია), ხოლო როცა მითითება კეთდება მესამე ქვეყნის სამართალზე, ესაა შემდგომი მითითება – მეორე რანგის ანუ კომპლექსური renvoi (ტრანსმისია). როგორც მხატვრულად ახასიათებენ, „Renvoi არის საკითხი, რომელიც უყვარს მეცნიერებს, სძულს სტუდენტებს და იგნორირებულია (როდესაც ამჩნევენ) პრაქტიკოსი იურისტების, მათ შორის, მოსამართლეთა მიერ.“ კულტურული მემკვიდრეობა ასახავს თემის და კონკრეტული პირების იდენტობას. ის არის მძლავრი რესურსი საზოგადოების განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არაგანახლებადი რესურსია, ამიტომ აუცილებელია ბალანსის შენარჩუნება მემკვიდრეობის ინტერესების დასაცავად. კულტურული მემკვიდრეობის საკითხები საერთაშორისო კერძოსამართლებრივ წრილში განიხილება გახმაურებული, და ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული, საქმის კუთხით Iran v. Berend, სადაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა კულტურული მემკვიდრეობის საკუთრების მუდმივი პრობლემა. კერძოდ, კულტურული ფასეულობების უკანონო ბაზრის ეფექტური რეგულირების უკიდურესად გართულებული მდგომარეობა, იმ არაეფექტურ ღონისძიებათა ფონზე, რომელიც მიმართულია უკანონო ვაჭრობის შეჩერებისა და შავ ბაზარზე მსგავსი ნივთებით ვაჭრობის აღკვეთისაკენ. ლონდონის უმაღლეს სასამართლოში განხილული ეს დავა ძველ ქალაქ პერსეპოლისში არსებულ სიძველეზე მოიცავდა ირანის ეროვნული კანონის აღსრულების შესაძლებლობას ინგლისური კოლიზიური სამართლის პრინციპების შესაბამისად. ამას შედეგად, შეიძლება მოჰყოლოდა შორსმიმავალი ეფექტი ინგლისისა და უელსის სიძველეთა ბაზრის რეგულირებისათვის. ამდენად, მოსამართლემ უარი თქვა renvoi პრინციპის გამოყენებაზე. მოხსნებაში გაანალიზდება საერთაშორისო კერძოსამართლებრივი მექანიზმის, renvoi-ის (უკუმითითების) გამოყენების შესაძლებლობები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართალში ზოგადად, და კონკრეტული ქეისი ხაზგასმით გამოკვეთს ამ მექანიზმის უკიდურესად რთულ ხასიათს, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის საკუთრების მიმართ.

Keywords: Renvoi, კულტურული ფასეულობები, მემკვიდრეობა, კოლიზია.

Main aspects of Renvoi in the Law on Protection of Cultural Heritage

Tamar Mskhvilidze

Visiting Lecturer, Akaki Trsereteli State University

tamar.mskhvilidze@atsu.edu.ge

Abstract: The content of private international law will be reduced to the detection of conflicting problems and the avoidance of competition between legal systems. The rule in collision refers to the law of a particular country to regulate a specific legal relationship. The conflicting law, when it indicates to the application of foreign law, and it refers back to the original law, this doctrine is called a first-rank or one-time renvoi (remission), and when reference is made to the law of a third country, it is a further reference - a second-rank or complex renvoi (transmission). As artistically described, “Renvoi is a matter loved by scholars, hated by students, and ignored (when noticed) by lawyers, including judges.” Cultural heritage reflects the identity of communities and individuals. It’s a powerful resource for community development and prosperity. Cultural heritage is one of the world's most important non-renewable resources, so it’s necessary to maintain a balance to protect heritage interests. The issues of cultural heritage in international private law are discussed in a high-profile, and one of the most resonant, case Iran v. Berend, where the persistent problem of ownership of cultural heritage appeared once again. In particular, the extremely complicated situation of the effective regulation of the illegal market of cultural values, against the background of the ineffective measures aimed at stopping the illegal trade and preventing the trade in similar items on the black market. This dispute over the antiquities in the ancient city of Persepolis before the High Court in London involved the possibility of enforcing Iranian national law under English conflict of law principles. As a result, this could have far-reaching effects on the regulation of the antiquities market in England and Wales. Thus, the judge refused to apply the renvoi principle. The abstract will analyze the possibilities of using the international private law mechanism, renvoi (reverse reference), in cultural heritage law in general, and a specific case will highlight the extremely difficult nature of this mechanism, especially in relation to cultural heritage property.

Keywords: Renvoi, Cultural Values, Heritage, Collision.

**კონსტიტუციური მეხსიერება: დაივიწყა თუ არა კანონმდებელმა
საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლით
გაკვალილი გზა ადამიანის უფლებებისთვის?!**

გულიკო მაჭარაშვილი,

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gulikomacharashvili8@gmail.com

თამარ ონიანი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
thamaroniani@gmail.com

აბსტრაქტი: საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ, 45-ე მუხლის შინაარსით, მხარი დაუჭირა იდეას, რომ კონსტიტუციაში ექსპლიციტურად ჩამოთვლილი უფლებები არ არის ამომწურავი და საბოლოო, რომ გარკვეული უფლებების ჩამოთვლა არ უარყოფს და არ ამცირებს სხვა უფლებების არსებობას. ამგვარი ჩანაწერი, შესაძლოა, შევადაროთ შაიოსეულ „შიშის და აღიარების“ შედეგს. იქ, სადაც დემოკრატიის მშენებლობას არცთუ ისე დიდი წარსული აქვს, შიში იმისა, რომ სახელმწიფო ეცდება, კონსტიტუციის, როგორც ცოცხალი მექანიზმის განმარტების დიაპაზონი შეამციროს, ყოველთვის არსებობს. აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორების იდეაც სწორედ ის იყო, რომ დამფუძნებელი მამების ნაწილს ეშინოდა, კონსტიტუციაში ჩამოთვლილ უფლებებს სამომავლოდ არ შეემცირებინა ადამიანის უფლებების დაცულობის მასშტაბი. მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს, შემცირდა თუ არა 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრე 1995 წლის კონსტიტუციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის) 39-ე მუხლის მეორე თავიდან პირველ თავში გადატანით უფლების დაცულობის მატერიალური და საპროცესო გარანტიები. ამის წარმოსაჩენად, მოხსენებაში გაანალიზდება აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორების მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 39-ე მუხლთან მიმართებით. მომხსენებლები ასევე მიმოიხილავენ 45/39-ე მუხლებს „ცოცხალი კონსტიტუციის“ მექანიზმთან კავშირში. დასკვნის სახით, კი მსჯელობა შეეხება 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებს და 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრეობის დღევანდელ მოცემულობას.

Keywords: ძირითადი უფლებები, ცოცხალი კონსტიტუცია, საკონსტიტუციო ცვლილებები.

Constitutional Memory: Did the Legislator Forget the Way Paved for Human Rights by Article 45 of the 1921 Constitution of Georgia?!

Guliko Matcharashvili

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
gulikomacharashvili8@gmail.com

Tamar Oniani

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
thamaroniani@gmail.com

Abstract: The 1921 Constitution of Georgia supported through the content of Article 45 the idea that the rights explicitly enumerated in the Constitution are not exhaustive and final and that the enumeration of some rights does not deny or disparage the existence of other rights. Such a clause can be compared to the outcome of the ‘fear and acceptance’ concept by András Sajó. In a system, where the building of democracy does not have a long history, there is always this fear that the state will try to find a leeway out of the human rights structures. The rationale behind the Ninth Amendment of the US Constitution was exactly the fear of the Founding Fathers, that the rights enlisted in the Constitution could diminish the scale of human rights protection in the future. The present academic article aims to elucidate the question, whether transferring Article 39 of the 1995 Constitution (the version prior to 16 December 2018), which was the legal successor of Article 45 of 1921 Constitution, from the Second Chapter to the First Chapter diminished the substantive and procedural safeguards for the protection of rights. To answer this question, this article reviews the meaning and the case law regarding the Ninth Amendment of the US Constitution, as well as the case law of the Constitutional Court of Georgia in relation to Article 39. The present article also reviews Article 35 (formerly Article 45) in the light of the ‘living constitution’ mechanism. As a conclusion, the article summarizes the question, whether the legislator defied the legacy of Article 45 of the 1921 Constitution with the constitutional amendments of 2018.

Keywords: Basic Rights, Living Constitution, Constitutional Amendments.

კონსტიტუციის ტრანსფორმაცია დროებითი უმრავლესობის მიერ - კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე ტენდენცია და ქართული გამოცდილება

თამარ პაპაშვილი

დოქტორანტი, ასისტენტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

t.papashvili@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: საქართველოს კონსტიტუცია მცირე და ფართომასშტაბიან საკონსტიტუციო ცვლილებებს შორის მიჯნას ექსპლიციტურად არ ავლენს. შესაბამისად, ერთი და იგივე პროცედურა გამოიყენება როგორც კონსტიტუციაში წმინდა ტექნიკური ცვლილებების შეტანის, ისე მისი სრული შინაარსის ტრანსფორმაციისთვის. კონსტიტუციის გადასინჯვის უფლებამოსილების ექსკლუზიურად პარლამენტის ხელში მოქცევამ, ამ პროცესში ყოველგვარი მნიშვნელოვანი პროცედურული თუ მატერიალური შეზღუდვების დაწესების გარეშე, მმართველ პარტიებს გზა გაუხსნა კონსტიტუციის საკუთარი სტრატეგიული პოლიტიკური მიზნებისა და სურვილებისამებრ ტრანსფორმაციისკენ. 1995 წლიდან საქართველოს კონსტიტუციამ მინიმუმ სამი ტრანსფორმაციული ცვლილება განიცადა, ექვსიდან შვიდ წლამდე ინტერვალებით. 2004 და 2010 წლების რეფორმებმა ფუნდამენტურად შეცვალა სახელისუფლებო მოწყობა. 2017 წლის რეფორმა კი კონსტიტუციის თითქმის სრულ ტექსტს შეეხო, მათ შორის, ფუნდამენტურ პრინციპებს, ძირითად უფლებებს, კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმსა და კონსტიტუციის სტრუქტურას (ნორმათა რაოდენობა 109-იდან 78-მდე შემცირდა). თუმცა ამ ფართომასშტაბიანი საკონსტიტუციო რეფორმის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, მათ ერთი საერთო მახასიათებელი ჰქონდათ - სამივე შემთხვევაში ცვლილებები მიღებული იყო მმართველი პარტიების მიერ, ერთპიროვნულად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში არათუ ხალხის ჩართულობის, არამედ საპარლამენტო ოპოზიციასთან კონსენსუსის საჭიროების გარეშეც კი. საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერები (ზოგიერთ სახელმწიფოში, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებიც) მცირე და ფართომასშტაბიან საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კონსტიტუციის დუმილს არ განიხილავენ მათ შორის მიჯნის არარსებობის არგუმენტად. საკონფერენციო ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილია ფართოდ აღიარებული თეორიები, რომლებიც კონცეპტუალურად განასხვავებს კონსტიტუციის შესწორებას მისი ტრანსფორმაციისგან და ამ უკანასკნელს პარლამენტის კომპეტენციის სფეროდან გამორიცხავს, ხალხის დამფუძნებელი ძალაუფლების დოქტრინაზე დაყრდნობით. ამ თეორიებს არ აქვთ სრულყოფილების პრეტენზია, თუმცა, მათი განხილვა კიდევ უფრო ნათელს ხდის ქართულ კონსტიტუციონალიზმში მყარად დამკვიდრებული ტრანსფორმაციული საკონსტიტუციო ცვლილებების ანომალიურ ბუნებას.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციის ტრანსფორმაცია, კონსტიტუციის გადასინჯვა, კონსტიტუციის შესწორება, თეორიები, საკონსტიტუციო ცვლილებების ანომალიური ბუნება.

Transformation of the Constitution by the Temporary Majority - Contemporary Trend of Constitutionalism and the Georgian Experience

Tamar Papashvili

PhD Student, Assistant, Sulkhani-Saba Orbeliani University

t.papashvili@sabauni.edu.ge

Abstract: The constitution of Georgia does not explicitly draw the boundary between small and large-scale constitutional changes. Therefore, the same procedure is used both for making purely technical changes to the constitution and for transforming its whole content. Placing the power to revise the constitution exclusively in the hands of the parliament, without establishing any significant procedural or material restrictions, paved the way for the ruling parties to transform the constitution according to their strategic political goals and desires. Since 1995, the constitution has undergone at least three transformative changes at intervals of six to seven years. The reforms of 2004 and 2010 fundamentally altered the arrangement of the government, while the 2017 reform affected almost the entire text of the constitution, including fundamental principles, basic rights, the revision mechanism, and the structure of the constitution (the number of provisions was reduced from 109 to 78). Although the results of these large-scale constitutional reforms significantly differed, they had one common feature: in all three cases, the changes were adopted unilaterally by the ruling parties, not only without involving the people in the decision-making process but without even needing a consensus with the parliamentary opposition. Constitutional law scholars (in several countries, the constitutional review bodies as well) do not consider the silence of the constitution regarding the small and large-scale constitutional changes as an argument for the absence of a boundary between them. The conference paper introduces the widely accepted theories that conceptually distinguish the constitutional amendment from its transformation and excludes the latter from the scope of powers of the parliament, based on the doctrine of the people's constituent power. These theories do not claim to be flawless. However, they make even more apparent the anomalous nature of the transformative constitutional changes firmly established in Georgian constitutionalism.

Keywords: Transformation of the Constitution, Revision of the Constitution, Amendment of the Constitution, Theories, Anomalous Nature of Constitutional Changes.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამართალწარმოების პროცესში არსებული გამოწვევები და აქტუალური პრობლემები

თამარა ზარქუა

ადვოკატი, მოწვეული ტრენერი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

tamar.zarkua@gmail.com

აბსტრაქტი: სულ რამდენიმე წელია, რაც საქართველოში აქტიურად დაიწყო სიძულვილის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის წარმოება და ამ მიმართულებით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების გადამზადება. მიუხედავად ამისა, დიდ გამოწვევად რჩება დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი, კერძოდ კი სოგის (სექსუალური ორიენტაცია გენდერული იდენტობა) ნიშნით ჩადენილი დანაშაულების სრულყოფილი გამოძიება, საქმეში სწორი მოტივის გამოკვეთა და მსხვერპლზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. ასევე სასამართლოს მიერ განაჩენში მოტივის ასახვა და შესაბამისას სასჯელის ნაწილში 53-ე პრიმა მუხლის გამოყენება. გამოძიების ეტაპზე იკვეთება ისეთი სახის პრობლემები როგორცაა გამომძიებლების მიერ დამოუკიდებლობის არ ქონა, სათანადო რესურსის ნაკლებობა ან/და არ არსებობა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლისთვის არასანდო გარემო სამართალდამცავ ორგანოში, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიკერძოებული შეხედულებები/სტერეოტიპები. ასევე პროკურატურის შემთხვევაში, კვლევებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ გამოწვევად რჩება სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის კომპონენტის იდენტიფიცირების პრობლემა და მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის დროულად მინიჭების პრობლემა. სამართალწარმოების პროცესში, კერძოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სასამართლო განხილვისას ისევ პრობლემად რჩება არაგონივრულად მაღალი სტანდარტი 53-ე პრიმა მუხლის გამოყენებისას. ასევე დიდ გამოწვევას წარმოადგენს მოსამართლეების მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულებები სხვადასხვა ნიშნით განსაზღვრული ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია სამართალდამცავთა, მათ შორის სპეციალური საგამომძიებო სამსახურის გამომძიებელთა, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ პირთა და მოსამართლეთა გადამზადება; დაზარალებულზე მორგებული გარემოს შექმნა (ცალკე გამოსაკითხი ოთახების გამოყოფა სენსიტიური დანაშაულის გამოძიებისას); არსებული სტერეოტიპების/დამოკიდებულებების წინააღმდეგ ბრძოლა; გამომძიებლებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, შესაბამის სტრუქტურებში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, საერთო სასამართლოები) სპეციალიზირებული დანაყოფების/ პირთა ჯგუფის შექმნა, რომლებიც მხოლოდ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე შეასრულებენ სამსახურეობრივ უფლება-მოვალეობებს; სათანადო პოლიტიკური ნების გამოვლენა ამ კატეგორიის დანაშაულების მიმართ მკაცრი პოლიტიკის განხორციელების გზით; აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შეგროვებული სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე შემდგომი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

საკვანძო სიტყვები: სოგი, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, დისკრიმინაცია, სტერეოტიპები.

Challenges and Pressing Problems in the Process of Hate Crime Proceedings

Tamara Zarkua

Lawyer, Invited Trainer, Sulkhani-Saba Orbeliani University

tamar.zarkua@gmail.com

Abstract: It is only a few years since Georgian authorities started to gather statistical data about hate crimes motivated by intolerance. They also started training law enforcement personnel. However, adequate investigation of crimes motivated by discrimination based on SOGI, especially establishing proper motives, and applying a victim-oriented approach is still a challenge. Similarly, analyzing judicial holdings also indicate that they do not point out the motive of the crime and do not apply Article 53¹ of the Criminal Code of Georgia (CCG). Furthermore, lack of independence, inadequate resources, bad environment for a victim of hate crime, bias and stereotypes of investigators are the challenges at the investigatory stage of the proceedings. The prosecutorial practice, however, reveals that identifying discriminatory motives in hate crime cases and granting the victim status for the person concerned in a timely manner are issues of concern. Moreover, the judicial stage of the proceedings shows that judges use unreasonably high standards while applying Article 53¹ of the CCG. Yet, widespread stereotypes amongst judges towards people belonging to different groups are even more problematic. Consequently, proper training of judges, investigators, and all those involved in criminal prosecution of such cases is essential to fight those stereotypes. Likewise, it is imperative to have independent investigators and create an environment that is adapted to the victim such as having separate rooms for their interrogation. Yet, it is also important to establish special units to investigate hate crimes. The authorities should also analyze statistics, reveal tendencies, and plan preventive measures accordingly.

Keywords: SOGI; Hate Crimes; Discrimination; Stereotypes.

პაციენტის მიერ სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება - ძირითადი უფლება თუ კერძო სამართლით დაცული სიკეთე?

თამთა ყენია

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

t.kenia@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: ჯანმრთელობის უფლება დღესდღეობით ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში აღიარებულია, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი ფუნდამენტური უფლება. თუმცა, მისი გავლენა პაციენტის მიერ სამედიცინო სფეროში დამყარებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით ცალსახა არ არის. სამედიცინო ჩარევის განხორციელების შესახებ პაციენტის ინფორმირებული თანხმობა და არასათანადო ინფორმირებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხები დაკავშირებულია, როგორც სამედიცინო ეთიკასთან, ასევე დელიქტურ სამართალთან. თუმცა, არანაკლებ საგულისხმოა მისი შემხებლობა ადამიანის ძირითად უფლებებთან. პირის სხეულზე სამედიცინო ჩარევასთან (მკურნალობასთან) დაკავშირებულ საქმეებზე ფაქტობრივად არსებობს კონსტიტუციური დოქტრინის ორი განსხვავებული ხაზი. პირველი, რომელიც უკავშირდება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას“ და ხაზს უსვამს სახელმწიფოს „პოლიციურ/პატერნალისტურ“ ძალაუფლებას პაციენტის ინდივიდუალურ უფლებებზე და მეორე „ავტონომიურობის ხაზი“, რომელიც აქცენტირებს პირის სხეულის მთლიანობისა და ადამიანის ღირსების უფლებებზე. წინამდებარე მოხსენებაში განხილული იქნება თითოეული მიდგომის პრაქტიკული და სამართლებრივი მაგალითები და შეთავაზებული იქნება პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არსებობის დასადგენად, პროპორციულობის ტესტის პრიმატი კერძოსამართლებრივი დაცვის მექანიზმებთან მიმართებით.

Keywords: ძირითადი უფლებები, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა, პატერნალისტური მიდგომა, ავტონომიური ხაზი.

Decision-making by the Patient About Medical Intervention - a Basic Right or a Good Protected by Private Law?

Tamta Kenia

PhD Student, Sulokhan Saba Orbeliani University

t.kenia@sabauni.edu.ge

Abstract: The right to health is nowadays recognized as one of the basic fundamental human rights in all democratic states. However, its influence regarding the private legal relations established by the patient in the medical field is not clear. The patient's informed consent for medical intervention and compensation for damages caused by improper information are related to both medical ethics and tort law. However, it is no less significant that it touches basic human rights. There are actually two different lines of constitutional doctrine in cases involving medical intervention (treatment) on a person's body. The first, which is related to "public health protection" and emphasizes the "police/paternalistic" power of the state over the individual rights of the patient, and the second, the "autonomy line", which emphasizes the rights to the integrity of a person's body and human dignity. This report will discuss practical and legal examples of each approach and propose the primacy of the proportionality test over private legal remedies to determine the presence of informed patient consent.

Keywords: Basic Rights, Patient's Informed Consent, Paternalistic Approach, Autonomy Line.

საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის საგარეო ურთიერთობათა ფარგლები

თეა კაველიძე

დოქტორანტი, მიწვეული ლექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

tea.kavelidze@gmail.com

აბსტრაქტი: საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების შედეგად იცვლებოდა საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმები, რაც, ცხადია, გავლენას ახდენდა საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებებზეც. საქართველოში 2004, 2009-2010 და 2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების კვალდაკვალ იცვლებოდა საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმები, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებათა ცვალებადობას. 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, შეიცვალა საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რამაც განაპირობა საგარეო ურთიერთობათა სფეროში კომპეტენციათა გადაკვეთის და უფლებამოსილებათა კოლიზიის რისკი არა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრსა და სხვა მინისტრებს შორის, არამედ თავად აღმასრულებელ ხელისუფლებაში. 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, კვლავ განხორციელდა კონსტიტუციის გადასინჯვა, რამაც განსხვავებულად ჩამოაყალიბა, როგორც მმართველობის მოდელი, ასევე საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობათა სფეროში. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, საგარეო ურთიერთობათა სფეროში, კვლავ ინაწილებენ წარმომადგენლობის უფლებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმებისა და კონსტიტუციის არსებული რედაქციის, ასევე საქართველოს მსგავსი მმართველობის მოდელის მქონე ქვეყნების კონსტიტუციური გამოცდილების შესაბამისად, მსჯელობას საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთმკვეთი უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობების ქრისტილში. კერძოდ, კონფერენციაზე განხილულ იქნა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი, საგარეო ურთიერთობათა სფეროში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმებისა და კონსტიტუციის არსებული რედაქციის შესაბამისად, საქართველოში არსებული მმართველობის მოდელის მიხედვით პრეზიდენტის ურთიერთგადამკვეთი უფლებამოსილებები მთავრობასთან და საქართველოს მსგავსი მმართველობის მოდელის მქონე ქვეყნების კონსტიტუციური გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: პრეზიდენტი, მთავრობა, საგარეო ურთიერთობები, კომპეტენციათა გადაკვეთა, უფლებამოსილებათა კოლიზია, საქართველო.

Scope of Foreign Relations of the President and Government of Georgia

Tea Kavelidze

PhD Student, Visiting Lecturer, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

tea.kavelidze@gmail.com

Abstract: As a result of the constitutional reforms implemented in Georgia, the forms of state governance of Georgia changed, which obviously affected the powers of the President of Georgia and the executive power in the field of foreign relations. In the wake of the constitutional reforms implemented in Georgia in 2004, 2009-2010 and 2017-2018, the forms of state governance of Georgia changed, which, in turn, led to changes in the powers of the President of Georgia and the executive power in the field of foreign relations. As a result of the next presidential elections in October 2013, from the moment the elected president took the oath, the form of state governance of Georgia changed, which led to the risk of overlapping competences and conflict of powers in the field of foreign relations not only between the President of Georgia, the Prime Minister, the Minister of Foreign Affairs and other ministers, but also in the executive branch. As a result of the constitutional reform of 2017-2018, the revision of the constitution was again carried out, which differently shaped both the governance model and the powers of the President of Georgia in the field of foreign relations. In particular, the President and the Prime Minister of Georgia still share the right of representation in the field of foreign relations. Based on the above, in accordance with the implemented constitutional reforms and the existing edition of the Constitution, as well as the constitutional experience of countries with a governance model similar to Georgia, the conflicting powers of the President and the Government of Georgia in terms of foreign relations need to be discussed. In particular, at the conference was discussed the constitutional status of the president and the government of Georgia in accordance with the constitutional reforms implemented in the field of foreign relations and the current version of the constitution, the intersecting powers of the president and the government according to the governance model in Georgia, and the constitutional experience of countries with a governance model similar to Georgia.

Keywords: President, Government, Foreign Relations, Overlapping Competences, Conflict of Powers, Georgia.

ელექტრონული ხმის მიცემის აპარატების არჩევნებში გამოყენების სამართლებრივი გამონვევები და საერთაშორისო პრაქტიკა

თორნიკე გოგისვანიძე

დოქტორანტი, მინვეული ლექტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

tornikegogisvanidze@gmail.com

აბსტრაქტი: ელექტრონული ხმის მიცემის აპარატების (შემდგომში აპარატები) გამოყენება არჩევნებში სულ უფრო გავრცელებული ხდება მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გვთავაზობენ უპირატესობებს, როგორცაა სიჩქარე, ეფექტურობა და სიზუსტე, ასევე წარმოშობენ იურიდიულ და ტექნიკურ გამონვევებს. ეს სტატია განიხილავს სამართლებრივ გამონვევებს და საერთაშორისო პრაქტიკას საარჩევნო პროცესში აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით. სტატია იწყება აპარატების ისტორიისა და დროთა განმავლობაში მათი ევოლუციის მიმოხილვით. შემდეგ ის ანალიზებს მათი გამოყენების საკანონმდებლო ბაზას, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ეროვნულ კანონებს. სტატია განსაზღვრავს რამდენიმე იურიდიულ გამონვევას, მათ შორის გამჭვირვალობის ნაკლებობას, კონფიდენციალურობასა, კენჭისყრის პროცესის სიზუსტესა და მთლიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. შემდეგ სტატია განიხილავს აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პრაქტიკას. იგი განიხილავს სხვადასხვა მიდგომებს ქვეყნების მიერ აპარატების მიღებისა და გამოყენებისას, მათ შორის ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, არჩევნების შემდგომი აუდიტის განხორციელებას და ამომრჩეველთა მიერ დამოწმებული ქალაქის ჩანაწერების უზრუნველყოფას. მოხსენებაში ასევე განიხილება აპარატების სხვადასხვა ტიპები, რომლებიც გამოიყენება მთელ მსოფლიოში. სტატია მთავრდება მომავალში აპარატები გამოყენების რეკომენდაციებით. ეს მოიცავს უფრო მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობას აპარატების დიზაინსა და დანერგვაში, მათთვის საერთაშორისო სტანდარტების მიღებას და ნორმას ამომრჩეველთა მიერ დამოწმებული ქალაქის ჩანაწერების შესახებ საარჩევნო პროცესის მთლიანობისა და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად. ზოგადად, წინამდებარე სტატიაში მოცემულია სამართლებრივი გამონვევებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია არჩევნებში აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით. იგი განსაზღვრავს ძირითად საკითხებს და აწვდის რეკომენდაციებს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისა და მთლიანობის გასაუმჯობესებლად. ეს სტატია აქტუალურია პოლიტიკის შემქმნელებისთვის, საარჩევნო მოხელეთა და მკვლევრებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აპარატების გამოყენებით საარჩევნო პროცესში.

Keywords: ელექტრონული არჩევნები, საერთაშორისო სტანდარტები, გამონვევები.

Legal Challenges and International Practices Regarding Usage of Electronic Voting Machines in Election Process

Tornike Gogisvanidze

PhD Student, Visiting Lecturer, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tornikegogisvanidze@gmail.com

Abstract: The use of electronic voting machines (EVMs) in elections has become increasingly common worldwide. While they offer benefits such as speed, efficiency, and accuracy, they also pose legal and technical challenges. This article examines the legal challenges and international practices regarding the use of EVMs in the election process. The article begins by providing an overview of the history of EVMs and their evolution over time. It then analyzes the legal framework surrounding the use of EVMs, including international treaties and national laws. The article identifies several legal challenges, including the lack of transparency, privacy concerns, and issues related to the accuracy and integrity of the voting process. The article then examines international practices related to the use of EVMs. It discusses the different approaches taken by countries in adopting and using EVMs, including the use of open-source software, the implementation of post-election audits, and the provision of voter-verified paper records. The article also examines the different types of EVMs in use around the world. The article concludes by providing recommendations for future EVM usage. These recommendations include the need for greater transparency in the design and deployment of EVMs, the adoption of international standards for EVMs, and the provision of voter-verified paper records to enhance the integrity and transparency of the election process. Overall, this article provides a comprehensive analysis of the legal challenges and international practices surrounding the use of EVMs in elections. It identifies key issues and provides recommendations for enhancing the transparency and integrity of the election process. This article is relevant for policymakers, election officials, and researchers interested in the use of EVMs in the election process.

Keywords: Electronic Elections, International Standards, Challenges.

მოქალაქის ადგილი და როლი „კარგი მმართველობის“ განხორციელების პროცესში

ირმა ხარშილაძე

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

irma.kharshiladze@tsu.ge

აბსტრაქტი: მოქალაქეთა ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „კარგი მმართველობის“ უზრუნველყოფის პროცესში. მოქალაქე სახელმწიფოსგან ელოდება მხარდაჭერას საკუთარი სოციალური და სხვა ყოველდღიური მოთხოვნილებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად. საჯარო მმართველობაში ის ხედავს საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებას. ამის საპირისპიროდ იგი უარყოფითად არის განწყობილი სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული რეგულაციებისა და ბიუროკრატიული პროცესების მიმართ. საჯარო მმართველობის მოტივაცია უნდა იყოს მაღალი რომ პოზიტიურად შეხვდეს მოქალაქეთა სურვილს თანამონაწილეობაზე. ადმინისტრაციულმა რეფორმამ როგორც კარგი მმართველობის ცენტრალურმა ელემენტმა სათვალავში უნდა მიიღოს ფუნდამენტური ბაზისი რომ ადმინისტრაციული პროცესები ზემოქმედებას ახდენენ მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. პროცედურები მიაწოდებენ ინდივიდს თუ როგორ ექცევა სახელმწიფო საკუთარ ხალხს. პროცედურები უნდა იყოს ეფექტური, მარტივი და სწრაფი. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მარტივი წვდომა საჯარო სერვისზე, სათანადო მართლწარმოებისა და სამართლიანი პროცედურის მიხედვით. ინდივიდი არის პარტნიორი, სამთავრობო მოქმედებების მონაწილე და არა "ხელისუფლების წყალობის მიმღები". შესაბამისად, ჩართულობა - მომხმარებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა - მმართველობის კარგ სისტემებში უნდა დაინყოს თითოეული პროცესის სათავეებიდან.

საკვანძო სიტყვები: „კარგი მმართველობა“, მოქალაქეთა ჩართულობა, ადმინისტრაციული რეფორმა, საჯარო სერვისებზე წვდომა, სათანადო მართლწარმოება, სამართლიანი პროცედურები.

The Place and Role of the Citizen in the Process of Implementation of "Good Governance"

Irma Kharshiladze

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

irma.kharshiladze@tsu.ge

Abstract: In the process of ensuring „good governance” the involvement of citizens is of particular importance. Citizens expect support from the state to solve their social and other daily needs and problems. They normally see public administration as a way to achieve their own goals. On the contrary, they have a negative attitude towards the regulations and bureaucratic processes imposed by the state. The motivation of public administration should be high to positively meet citizens' desire for participation. Administrative reform as a central element of good governance must take the fundamental basis that administrative processes affect the daily life of citizens. Procedures indicate to the individual how the state treats its own people. Procedures should be efficient, simple and fast. Citizens should have easy access to public services, according to due process and fair procedure. The individual is a partner, a participant in government action, not a beneficiary "at the mercy of government." Therefore, involvement - of customers and other stakeholders - in good governance systems should start at the roots of each process.

Keywords: "Good Governance", The Involvement of Citizens, Administrative Reform, Access to Public Services, Due Process, Fair Procedures.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ევროსასამართლოს
გადანყვეტილებათა გამოყენება საკონსტიტუციო იდენტობისა და
სამართლებრივი პოლიტიკის კონტექსტში**

ლაშა ლურსმანაშვილი

სამართლის მაგისტრი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
lasha.lurism@gmail.com

აბსტრაქტი: ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს. უამრავი ეროვნული სასამართლო და საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო იმონებს მას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეული პერიოდი აქტიურად მიმართავდა ევროსასამართლო პრეცედენტულ პრაქტიკას. მნიშვნელოვანია ამ გარემოებების გააზრება და განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს იდენტობის კონტექსტში, რომელიც, თავის მხრივ, გადაჯაჭვულია იმ სამართლებრივ პოლიტიკასთან, რომელსაც იგი, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო, ქმნის. ამ საკითხის გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინსტიტუციური იდენტობის ერთიან თეორიულ სისტემაში მოთავსება. ასეთ თეორიულ სისტემაში მოთავსებით, შესაძლებელია იურისპრუდენციულად მნიშვნელოვანი კატეგორიების გამოყოფა. თუ გამოყოფის ამგვარი მცდელობა კონცეპტუალური ან ინტერპრეტაციული თვალსაზრისით შეუძლებელი არაა, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ერთი მხრივ, „ადამიანის უფლებები,“ ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის „კონსტიტუციურ უფლებები.“ აღნიშნული, თავის მხრივ, არის როგორც დესკრიფციული, ისე ნორმატიულ-პრაქტიკული არგუმენტის საკითხი. მათ შორის მსგავსების ან განსხვავების ხარისხი, რომელიც პოლიტიკური, მორალური და ეთიკური განაზრებების წიაღში ძევს და ამ საკითხის კვლევისას სუვერენიტეტის, კულტურისა და უფლებების ყოფიერების ყველაზე ფუნდამენტურ საკითხებს წამოჭრის დღის წესრიგში, წარმოჩნდება როგორც უზოგადესი აბსტრაქტული წერტილი, რომელიც მოახდენს სამართლებრივი დისკუსიის თეორიულ ორგანიზებას იმის შესახებ, უნდა გამოიყენოს თუ არა და თუ უნდა გამოიყენოს, რა ხარისხით უნდა გამოიყენოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო იდენტობა, სამართლებრივი პოლიტიკა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტური პრაქტიკა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების გამოყენება.

Application of the European Court's Decisions by the Constitutional Court of Georgia in the Context of Constitutional Identity and Legal Policy

Lasha Lursmanashvili

Master of Laws, Sulkhani-Saba Orbeliani University

lasha.lursm@gmail.com

Abstract: The authoritative status of precedent established by the ECtHR is distinctive. It is crucial to comprehensively analyze and deliberate upon these circumstances within the framework of the Constitutional Court's identity, which, in turn, is intricately connected to the legal policies it formulates as a constitutional control entity. It is imperative to integrate the institutional identities of both the Constitutional Court and the European Court of Human Rights within a unified theoretical framework. Positioning it within such a theoretical system allows for the discernment of jurisprudentially significant categories. In case a conceptual or interpretative separation does not prove unfeasible, a delineation must be drawn between "human rights" on one hand and human "constitutional rights" on the other. This, in turn, constitutes a subject of both descriptive and normative-practical argument. Within these considerations, the fundamental questions of sovereignty, culture, and the very existence of rights will be brought to the forefront, emphasizing the degree of similarity or difference inherent in political, moral, and ethical dimensions. It shall emerge as the overarching abstract focal point that will theoretically structure the legal discourse surrounding the question of whether the Constitutional Court of Georgia should incorporate the practices of the European Court of Human Rights.

Keywords: Constitutional Identity, Legal policy, Precedent Practice of the European Court, Constitutional Court of Georgia, Application of the Decisions of the European Court.

**საგამოძიებო ორგანოების დისკრეცია და დამოკიდებულება ქალთა მიმართ
ოჯახში ძალადობის საქმეთა გამოძიებისას**

ლევან ნაქაძე

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

l.tsaqadze@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ სერიოზულ წუხილს გამოთქვამდა გამოძიების კეთილსინდისიერებისა და ეფექტიანობის თაობაზე. უდავოა, რომ ასეთი გადაწყვეტილებებისა და მაგალითების არსებობა აქტუალურს ხდის თანამედროვე საგამოძიებო სისტემისა და საპოლიციო საქმიანობის მოდერნიზების გარდაუვალ საჭიროებას. ნაშრომი ყურადღებას გაამახვილებს პოლიციის მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის დანაშაულის სათანადოდ გამოძიების მნიშვნელობასა და ეფექტიანობაზე, რა ფართო და ვიწრო უფლებამოსილებებით სარგებლობს პოლიცია და რა ზეგავლენას ახდენს დანაშაულის ეფექტიან გამოძიებაზე აღნიშნული სამართლებრივი თუ არასამართლებრივი უფლებამოსილებები. საუბარი შეეხება ეფექტიანობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გამოძიების ხარისხსა და ეფექტიანობაში, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც დანაშაულის გამოძიების პრობლემურ ასპექტს წარმოადგენს გამოძიებლის, როგორც საპროცესო სუბიექტის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხი. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეფექტიანი გამოძიების საკითხის სიღრმისეული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მკვეთრად დიფერენცირებულია პოლიციის, როგორც ინსტიტუციისა და გამოძიებლის, როგორც სუბიექტის საქმიანობა, რადგან არსებული ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემა, სრულად გამორიცხავს ინდივიდუალური საგამოძიებო აზროვნების შესაძლებლობას. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის გამოძიება მორგებულია ცენტრალიზებული მმართველობის სადავეებს და არ ქმნის გამოძიებას გამჭვირვალეს, რის გამოც პოლიციის უკონტროლო დისკრეციის ფარგლებში სუბიექტურ დონეზე დაყვანილი ყველა საგამოძიებო მოქმედების შესრულების საკითხი, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი - პირის დაკავების საკითხიც. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს საქმისწარმოების ის მექანიზმები, რომლებიც გამოძიების პროცესს ხდის ბიუროკრატიულს და გადატვირთულს, რასაც უარყოფითი ეფექტი აქვს ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკურ მაჩვენებელზე, რაც თავის მხრივ საზოგადოებაში უნდობლობისა და უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. გამართული საგამოძიებო სისტემის მთავარი საყრდენია სწორედ ასეთი მეტად აქტუალური დანაშაულის გამოძიების ეფექტიანობა, რომლის მიღწევა სწორი სამართლებრივი ნაბიჯებით შეიძლება.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა, საგამოძიებო ორგანოების დისკრეცია, ბიუროკრატია, გამოძიების ეფექტიანობა.

Discretion and Attitude of Investigative Bodies Towards Women While Investigating Cases of Domestic Violence

Levan Tsakadze

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

l.tsakadze@sabauni.edu.ge

Abstract: In the case of Enekidze and Girgvliani vs Georgia, the European Court of Human Rights expressed serious concerns about the integrity and effectiveness of the investigation. Undoubtedly, the presence of such decisions and examples makes the need to modernize the modern investigative system and police activities urgent. The paper will focus on the importance and effectiveness of proper investigation of crimes of domestic violence against women by the police, what broad and narrow powers the police have and what impact these legal or extra-legal powers have on the effective investigation of crime. The point is significant factors that determine efficiency, which make a significant contribution to the quality and effectiveness of the investigation, especially at a time when the degree of independence and impartiality of the investigator as a procedural subject is a problematic aspect of crime investigation. The results of an in-depth study of the issue of effective investigation of domestic violence against women reveal that the activities of the police as an institution and the investigator as a subject are sharply differentiated, because the existing centralized management system completely excludes the possibility of individual investigative thinking. The investigation of domestic violence against women is adjusted to the reins of centralized governance and does not make the investigation transparent, which is why the issue of performing all investigative actions, including the most important - the issue of arresting a person, is reduced to a subjective level within the uncontrolled discretion of the police. We should not lose sight of the judicial mechanisms, which make the investigation process bureaucratic and overburdened, which negatively affects the statistical level of violence against women in the country, which in turn contributes to the formation of mistrust and negative attitudes in society. The main pillar of a proper investigative system is the efficiency of investigation of such an important crime, which can be achieved through the right legal steps.

Keywords: Violence Against Women, Domestic Violence, Discretion of Investigative Bodies, Bureaucracy, Efficiency of Investigation.

**რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო საქმიანობა (მათ შორის სამხედრო),
როგორც მსოფლიო სამართლებრივი წესრიგის რევიზიის წინაპირობა**

ლევან ჯაკელი

პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

l.jakeli@bsu.edu.ge

აბსტრაქტი: განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უკრაინის ბრძოლა და მისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა. აღნიშნულ შეიარაღებულ კონფლიქტს ნიადაგი მოუმზადა, ერთის მხრივ (უკრაინის მხრიდან) გარკვეულმა წინდაუხედაობამ თუ მიამიტობამ, მეორე მხრივ (რუსეთის მხრიდან), პოლიტიკურმა მზაკვრობამ და იმპერიალისტურმა ზრახვებმა და მესამე მხრივ (საერთაშორისო საზოგადოების თუ ცალკეული წამყვანი ქვეყნების მხრიდან) ვითარების არასათანადო შეფასებამ და პრობლემისგან დისტანცირებამ. მოხსენებაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია საერთაშორისო საზოგადოებისა და ცალკეული სახელმწიფოების ვალდებულებებზე უკრაინის მიმართ. დათმობები, რომელზეც უკრაინა წავიდა განპირობებული იყო საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით და ცალკეული სახელმწიფოების მიმართ გონივრული ნდობით. საბჭოთა კავშირის დაშლით მსოფლიო რუკაზე გაჩნდა ოთხი ახალი სახელმწიფო ბირთვული არსენალით: უკრაინა, ბელორუსი, ყაზახეთი და რუსეთი. უკრაინამ, როგორც ეს ყველა საერთაშორისო სამართლის კეთილსინდისიერ სუბიექტს შეესაბამება, შეასრულა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 1968 წლის ხელშეკრულება, რომელსაც აშშ-სა და რუსეთის ძალისხმევით 1994 წლის 5 დეკემბერს შეუერთდა. რუსეთს ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყნის სტატუსი შეუნარჩუნდა, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების სია (სსრკ, აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და ჩინეთი). დღემდე ოფიციალურად აღნიშნული ქვეყნები ატარებენ ბირთვული იარაღის მფლობელის სტატუსს და მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება არ გაავრცელონ ის. სხვა ქვეყნებს კი მოეთხოვებათ არ შექმნან ბირთვული იარაღი. მოცემულ ხელშეკრულებას მიუერთდა მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო, გარდა ისრაელის, ინდოეთის, პაკისტანისა და სამხრეთ სუდანისა. რუსეთმა თავისი მოქმედებებით დაარღვია და აზრი დაუკარგა ბუდაპეშტის ხელშეკრულებას და ფაქტიურად დაუშვა ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა. შესაბამისად უკრაინას საფუძველი გაუჩნდა საერთაშორისო საზოგადოებას მოსთხოვოს არამართო კომპენსაცია, რაც მას მიადგა ბუდაპეშტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არამედ პრეტენზია იქონიოს ბირთვულ იარაღზე, როგორც საკუთარი სუვერენიტეტის უზურნველყოფის საშუალებაზე.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო მშვიდობა, უსაფრთხოება, ბირთვული გაუვრცელებლობა, აგრესია, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი.

International Activities of the Russian Federation (Including Military) as A Prerequisite for the Revision of the World Legal Order

Levan Jakeli

Professor, Batumi Shota Rustaveli State University

l.jakeli@bsu.edu.ge

Abstract: The struggle of Ukraine and the finding of appropriate assistance for it acquires special importance. The ground for the mentioned armed conflict was prepared by, on the one hand (Ukraine's side), a certain imprudence or imprudence, on the other hand (Russia's side), political cunning and imperialistic intentions, and on the third hand (the international community or individual leading countries) improper assessment of the situation and distancing from the problem. The main emphasis in the report is on the obligations of the international community and individual states towards Ukraine. The concessions that Ukraine made were conditioned by a conscientious attitude to the obligations stipulated by international law and a reasonable trust towards individual states. With the collapse of the Soviet Union, four new states with nuclear arsenals appeared on the world map: Ukraine, Belarus, Kazakhstan, and Russia. Ukraine, as befits all conscientious subjects of international law, has complied with the 1968 Treaty on the Non-Proliferation of nuclear weapons, which it acceded to on December 5, 1994, through the efforts of the US and Russia. Russia's status as a country possessing nuclear weapons was preserved as the legal successor of the Soviet Union. The mentioned agreement defined the list of countries with nuclear weapons (USSR, USA, UK, France, and China). To this day, these countries officially hold the status of possessors of nuclear weapons and have an obligation not to spread them. Other countries are required not to develop nuclear weapons. Almost all countries of the world have joined this treaty, except for Israel, India, Pakistan, and South Sudan. By its actions, Russia violated and lost the meaning of the Budapest Treaty and allowed the restoration of the actual situation that existed before the signing of the Treaty. Accordingly, Ukraine had a reason to demand from the international community not only compensation, which was due to it based on the Budapest Treaty, but also to claim nuclear weapons as a means of usurping its sovereignty.

Keywords: International Peace and Security, Nuclear Non-proliferation, International Obligations, Aggression, Responsibility of States, International Armed Conflict.

**პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობის ინტერესთა შეპირისპირება
საჯარო რეესტრის ღიაობის მაგალითზე**

ლუკა ბიბინეიშვილი

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

l.bibineishvili@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: წინამდებარე მოხსენებაში განხილულია კოლიზია პერსონალური მონაცემების დაცვასა და საჯარო რეესტრის ამონაწერის ღიაობასთან დაკავშირებით. დღეს მოქმედი პრაქტიკით, კანონით დაცული პირადი სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომია მესამე პირებისთვის ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე და ხშირ შემთხვევაში მათი გამოყენება ხდება არამხოლოდ უსაფუძვლოდ, არამედ კონკრეტული პირისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების საბაბით. საკონფერენციო ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს დამატებითი ბიუროკრატიული წინაღობების დანერგვა და კვაზი სისტემის შექმნა. პირიქით, წარმოდგენილი იქნება გაცილებით დეტალიზებული მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მხარე, რათა პერსონალური მონაცემების დამუშავება იყოს კანონიერი, სადაც დასაბუთებული იქნება ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და თანაზომიერება. შედეგად, მხარეს ვისი მონაცემების დამუშავებაც მოხდება, კვალიფიციური არგუმენტაციის შემდეგ, არ უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებათაგან ერთ-ერთი, რაც მოიაზრებს: „პიროვნების თანხმობის გარეშე (გარდა კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა) ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობას.“ საკონსტიტუციო ჩანაწერთან პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. ნორმა ითვალისწინებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებისა და მარეგისტრირებულ ორგანოში დაცული დოკუმენტების საჯაროობასა და გასაცნობად ხელმისაწვდომობას ნებისმიერი პირისთვის, რასაც ბუნებრივია გააჩნია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გარემოებები. მათი სამართლებრივი ანალიზის შედეგად დასაბუთებული იქნება დამატებითი საკანონმდებლო მექანიზმების აუცილებლობა, რათა დაცული იყოს პერსონალური მონაცემის ადრესატის უფლებები.

Keywords: პერსონალური მონაცემები, საჯარო რეესტრი, ძირითადი უფლებები.

Conflict of Interests of Personal Data Protection and Access to Public Information on the Example of the Openness of the Public Register

Luka Bibineishvili

PhD Student, Sulkhani Saba Orbeliani University

l.bibineishvili@sabauni.edu.ge

Abstract: This report discusses the conflict between the protection of personal data and the openness of public register extracts. According to current practice, personal information protected by law is available to third parties without any legal justification, and in many cases, they are used not only without grounds, but with the purpose of causing property damage to a specific person. The purpose of the conference paper is not to introduce additional bureaucratic obstacles and create a quasi-system. On the contrary, there will be presented much more detailed requirements that the party must meet in order for the processing of personal data to be lawful, where the legitimate purpose, usefulness, necessity and proportionality will be justified. As a result, the party whose data will be processed, after qualified argumentation, should not feel that one of the basic rights guaranteed by the constitution has been violated, which includes: "access to information in official records without the consent of the individual (except in exceptional cases provided by law)." The first paragraph of Article 6 of the Law "On Public Registry" is in direct contradiction. The norm envisages the availability of data registered in the public register and documents kept in the registering authority for publicity and familiarization by any person, which naturally has both positive and negative circumstances. As a result of their legal analysis, the need for additional legal mechanisms will be substantiated in order to protect the rights of the recipient of personal data.

Keywords: Personal Data, Public Register, Basic Rights.

მოშიშშილე პატიმრის იძულებითი კვება, როგორც გამოხატვის თავისუფლების არაკონსტიტუციური შეზღუდვა

ლუკა გორგაძე

მაგისტრანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
lukagorgadze11@gmail.com

აბსტრაქტი: თანამედროვე სახელმწიფოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებების რეალიზება საპატიმრო დაწესებულებებში. ისინი სრულიად დამოკიდებულები ხდებიან სახელმწიფოს მიერ გამოჩენილ სათანადო გულისხმიერებასა და ვალდებულებების შესრულებაზე, რასაც აკისრებს საერთაშორისო თემობა მას. იმის გათვალისწინებით, რომ საპატიმრო დაწესებულებებში “დღის შუქი” ნაკლებად აღწევს, ხშირია მათი უფლებების უგულვებელყოფა და უხეში დარღვევა. ამის ფონზე პატიმრები მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ფორმას - შიმშილობას. უნდა ითქვას, რომ კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის დაწესებაა, თუმცა საინტერესოა რამდენად რეალიზებადია ეს საპატიმრო დაწესებულებებში. სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა მოშიშშილე პატიმრის მიმართ გამოიყენოს იძულებითი კვება ფატალური შედეგის თავიდან ასაცილებლად. ჩემი კვლევის მიზანი იმის გარკვევაა - მოშიშშილე პატიმრის იძულებითი კვება ხომ არ აძლევს სახელმწიფოს ბერკეტს “პროტესტანტი” სამაგალითოდ დასაჯოს და სხვებს დაანახოს, რომ შიმშილობა პროტესტის ეფექტური საშუალება არ არის. სად შეიძლება გავავლოთ ზღვარი სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას პატიმრის სიცოცხლე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის გამოხატვის თავისუფლებას შორის. მოხსენებაში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გახმაურებული საქმეები, ამერიკის მიდგომა მსგავს საქმეებში და საქართველოს პრაქტიკა მოშიშშილე პატიმრებთან მიმართებაში. მოხსენებაში გაეცემა კითხვაზე პასუხი, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ მაშინ, როდესაც პატიმარი იწყებს შიმშილობას და მოსალოდნელია მისი უგონო მდგომარეობაში ჩავარდნა და მას არ სურს უმკურნალონ ან ხელოვნურად მიაწოდონ საკვები.

საკვანძო სიტყვები: მოშიშშილე პატიმრები, იძულებითი კვება, გამოხატვის თავისუფლება, პრაქტიკა, საპატიმრო დაწესებულება.

Force-feeding of Prisoners on Hunger Strike as Freedom of Expression Unconstitutional Restriction

Luka Gorgadze

Master's Student, Caucasus International University

lukagorgadze11@gmail.com

Abstract: One of the important challenges in the modern state is the realisation of the rights of the accused/convict prisons. They become completely dependent on the due diligence shown by the state and the fulfillment of the obligations imposed on them by the international community. Considering that “daylight” rarely reaches prisons, their rights are often neglected and grossly violated. Against this background, the prisoner’s resort to an extreme form of protest – the hunger strike. It must be said that one of the greatest achievements of mankind is the establishment of a high standard of freedom of expression, although it is interesting to see how this is realised in prisons. The state can force-feed a prisoner on hunger strike to prevent a fatal outcome. My research aims to investigate whether the act of force-feeding of prisoners on hunger strike provides the state with an opportunity to penalize the “protester” as a deterrent and to demonstrate to others that a hunger strike is not a productive means of protest. Where should we draw the line between the state’s positive obligation to protect prisoner’s lives and convicts’ freedom of expression? The report will discuss high-profile cases of the European Court of Human Rights, the approach of the United States of America in similar cases, and the practice of Georgia towards prisoners on hunger strike. The report will answer the question of what the state should do when a prisoner begins a hunger strike, is expected to fall unconscious, and does not want to be treated or artificially fed.

Keywords: Prisoners on hunger strike, Forced feeding, Freedom of Expression, Practice, Prison facility.

**ბავშვის უფლებების დაცვა ევროკავშირის მართლმსაჯულების
სასამართლო პრაქტიკის მიხედვით**

მაგდა ჯაფარიძე

დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტი

magdajafaridze@gmail.com

აბსტრაქტი: ბავშვის უფლებების დაცვა საერთაშორისო (გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989 წლის 20 ნოემბერი) და ევროპული სამართლის (ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია, 2000 წ.) მნიშვნელოვანი პრინციპია. ევროკავშირი ხელს უწყობს ამ პრინციპის დაცვას როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე მის მეზობელ ქვეყნებში ევროინტეგრაციის პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი ეძღვნება ადამიანის ძირითად უფლებებს, სადაც 30-ე მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ დედისა და ბავშვის უფლებები დაცულია კანონით. ამრიგად, სახელმწიფო აღიარებს პოზიტიურ ვალდებულებას მიიღოს აუცილებელი ზომები ბავშვის უფლებების დაცვის მექანიზმების შესაქმნელად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთა უფლებების დასაცავად საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და ბავშვთა უფლებების კოდექსი. ორივე ნორმატიული აქტის მიზანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების, ღირსების, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზება. ევროინტეგრაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების მოვალეობას განახორციელონ ევროკავშირში ინტეგრაცია. სამართლებრივი ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოების პრაქტიკის გაზიარება ეროვნული სამართლებრივი სისტემის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ბავშვის უფლებების სფეროში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოკლე ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ბავშვის უფლებები, ევროკავშირის სასამართლო, საქართველოს კონსტიტუცია, ევროინტეგრაცია.

Protection of Child's Rights in Case Law of the Court of Justice of the European Union

Magda Japharidze

PhD Student, University of Georgia

magdajafaridze@gmail.com

Abstract: Protecting the child rights is an important principle of international (United Nations Convention on the Rights of the Child, November 20, 1989) and European law (Chapter of Fundamental Rights of the European Union, 2000). The European Union promotes this principle both in the member states of the European Union and in its neighboring countries in the process of European integration. The second chapter of the Constitution of Georgia is devoted to basic human rights, where it is mentioned in the second paragraph of Article 30 that the rights of mothers and children are protected by law. Thus, the State recognizes its positive obligation in undertaking the necessary measures to create mechanisms to protect the rights of the child. It is also important that to protect child rights, the Parliament of Georgia adopted the Juvenile Justice Code and the Child Rights Code. Goal of both normative acts are to protect the best interests of the child, dignity, safety, life, and health, realize education, development, and other interests. In the context of European integration, the Article 78 of the Constitution of Georgia is important, which defines the duty of the state institutions of Georgia to implement integration into the European Union. In the process of legal integration, it is important to share the practice of European courts in order to bring national legal system closer to the European Union law. This paper is a brief analyze of case law of the Court of Justice of the European Union on child rights.

Keywords: Child Rights, CJEU, Case Law, Constitution of Georgia, European Integration.

სპონტანური შეკრებები და საპოლიციო ძალის პროპორციულობა

მაია მხატვრიშვილი

მინვეული ლექტორი, კავკასიის უნივერსიტეტი

Makamkhatvrishvili@gmail.com

აბსტრაქტი: შეკრების თავისუფლების რეალიზება დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი არაერთი სხვა უმნიშვნელოვანესი ელემენტის ფორმირებას უწყობს ხელს. მაგალითად, როგორცაა ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების, კრიტიკული აზრის განვითარება, უმცირესობათა უფლებების დაცვა და სხვა. შეკრების თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული. ადამიანებს აქვთ უფლება შეიკრიბონ საჯაროდ, უიარაღოდ, წინასწარი ნებართვის გარეშე. ამ უფლების განხორციელებას „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონები აწესრიგებს. ამ ნორმებში არსებული ხარვეზები უფლების სრულფასოვან რეალიზებას უქმნის პრობლემას. განსაკუთრებული გამოწვევაა, სპონტანური შეკრებების გამართვის საკითხი ისევე როგორც უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის საფუძველზე მითითებით პოლიციის მხრიდან შეკრების ძალის გამოყენებით შეწყვეტა. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, ცალკეულ შემთხვევებში, სავალდებულოა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს 5 დღით ადრე გაფრთხილება. თუმცა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპონტანური შეკრებების ცნებას. ამდენად, იგი მოქალაქეებს სპონტანური პროტესტის გამოხატვის სამართლებრივ შესაძლებლობას არ აძლევს. შეკრების შეწყვეტისას გამოსაყენებელი საპოლიციო ძალის პროპორციულობასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა პოლიციას პასიური და აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლებამოსილებას განუსაზღვრავს. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საშუალებების გამოყენების სახე და ხარისხი საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა. თემაში შეკრების თავისუფლებასთან მიმართებით გაანალიზებულია საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამავდროულად, მიმოხილულია ვენეციის კომისიის დასკვნები, ეუთო/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სახელმძღვანელო პრინციპები და ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა. წარმოდგენილია განხილული საკანონმდებლო და პრაქტიკის ხარვეზების გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები: შეკრების თავისუფლება, სპონტანური შეკრებები, საპოლიციო ძალის პროპორციულობა, კანონმდებლობა, საერთაშორისო პრაქტიკა.

The Issue of Spontaneous Assemblies and Proportionality of Police Force

Maia Mkhatrishvili

Visiting Lecturer, Caucasus University

makamkhatrishvili@gmail.com

Abstract: Freedom of Assembly is an important tool of influence over the government. It creates a platform for people to express their views about problematic issues in the state. Moreover, a realization of that right further develops elements that are critical for any democratic society. For instance, it is essential for a healthy political process, the protection of the rights of minorities, etc. Georgia's Constitution guarantees Freedom of Assembly. Hence, everyone can assemble openly, without arms or permission. Further enforcement of that right is regulated by Act on Assemblies and Act on Police. However, those laws are flawed in many respects. For instance, challenges in the legal framework render holding spontaneous protests legally impossible. Furthermore, relying upon public order and safety the Police often disperses lawful demonstrations by force. The Act on Assemblies, albeit in certain circumstances, sets out an obligation to warn authorities five days before the protest. However, the legislation does not envisage a notion or a definition of spontaneous assemblies. Hence, it bars citizens from any legal possibility to conduct such protest. Therefore, those observations are made based on the thorough review of Georgian legislation, as well as that of certain EU member states, the case law of the European Court of Human Rights, and the Constitutional Court of Georgia. The conclusions of the Venice Commission and the OSCE/ODIHR are also considered in suggested ways to solve the identified challenges.

Keywords: Freedom of Assembly, Spontaneous Assemblies, Proportionality of Police Force, Legislation, International Practice.

საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებში დისტანციურად ჩატარებული სხდომების დადებითი და უარყოფითი მხარეები

მაკა სალხინიშვილი

პროფესორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

salkhinashvilimaka@gmail.com

აბსტრაქტი: ავტორი განიხილავს იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც შევიდა საქართველოს კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში ვიდეო კონფერენციის მეშვეობით საქმეების განხილვასთან დაკავშირებით. კვლევაში წარმოდგენილია ის სიახლეები, რაც კანონმდებლობაში აისახა, ხოლო დასკვნის სახით წარმოდგენილია ის საკითხები, რომლებიც არ არის ასახული და საჭიროებს კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით გარკვეული მუხლების დახვეწას. მნიშვნელოვანია ავტორისეული მოსაზრებები, რაც ნაშრომის დასკვნით ნაწილშია წარმოდგენილი: დისტანციურად საქმეების განხილვას ყოველთვის ეყოლება როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები, თუმცა ეს არის გარდაუვალი პროცესი; საჭიროა დისტანციურად სხდომების წარმართვის შესახებ ზრუნვა დაიწყონ სახელმწიფო უწყებებმა და კანონმდებლობაში შევიდეს სათანადო ცვლილებები, კერძოდ პირველ რიგში საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, ხოლო შემდეგ სპეციალურ ნორმებში; საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მხარის ინტერესი, კერძოდ, მხარეს უფლება უნდა ჰქონდეს დააყენოს შუამდგომლობა სხდომის დისტანციურად წარმართვის თაობაზე; შემუშავდეს ერთიანი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანად და ეფექტურად დისტანციური სხდომების ჩატარების შესაძლებლობას. ავტორი თავის კვლევაში გამოყოფს საქმეთა განხილვის დადებით და უარყოფით მხარეებს: დადებითი მხარეებიდან მნიშვნელოვანია გამოიყოს შემდეგი: ადმინისტრაციულ ორგანოებში საჭაროობა უფრო მეტად იქნება დაცული, რადგან დაინტერესებული პირის მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა დისტანციურად ჩართვისას უფრო შესაძლებელია; ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეები დაზოგავენ დროს; ის პირები, ვისაც უჭირთ გადაადგილება და ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, მიიღებენ დისტანციურ სხდომებში მონაწილეობას, არ გაჭიანურდება საქმეთა განხილვა; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრანსპორტით გადაადგილება სერიოზულ პრობლემებს უკავშირდება (განსაკუთრებით დედაქალაქში), შესაბამისად საზოგადოებრივი ტრანსპორტიც განიტვირთება და კერძო ავტომობილების მფლობელებიც საცობებში დგომას აირიდებენ; საკითხი მნიშვნელოვანია ეკოლოგიური კუთხითაც, გარემოს დაბინძურების მაჩვენებელზე სერიოზულ გავლენას მოახდენს სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შემცირება. უარყოფითი მხარეებიდან: ინტერნეტის დაბალი ხარისხი; სათანადო ტექნიკური საშუალებების არქონა ან გაუმართავად მუშაობა სატელეფონო ჩართვისას პირის იდენტიფიცირების დადგენა.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული წარმოება, სიახლე, დისტანციური სხდომები, ცვლილებები, საჭაროობა.

Remote Sessions Conducted in the Administrative Bodies of Georgia: Advantages and Disadvantages

Maka Salkhinishvili

Professor, Gori State University, Grigol Robakidze University

salkhinashvilimaka@gmail.com

Abstract: In this article, the author explores the recent legislative changes made in Georgia's laws and by-laws that allow cases to be considered through video conference. The research highlights the innovations introduced by the legislation, while the conclusions also point out some issues that have not been addressed and require further refinement of certain articles to perfect the legislation. The final part of the paper presents the author's opinions, which are of great significance. The debate over conducting remote sessions will always have its advocates and opponents, but it's an unavoidable process. State agencies must begin to conduct sessions remotely and make necessary amendments to the legislation, starting with the General Administrative Code of Georgia and then the special norms. The interests of all parties should be taken into account when implementing legislative changes. In particular, the party should have the option to file a motion to conduct the session remotely. To ensure quality and efficiency, a unified platform should be developed for remote meetings. In the author's research, both the positive and negative aspects of a case review are distinguished. Among the positive aspects, it is important to highlight the following: publicity in administrative bodies will be more protected because the possibility of participation of the interested person is more possible when engaging remotely; Participants in administrative proceedings save time; those who have difficulty moving and have health problems will participate in remote sessions; the consideration of cases will not be delayed; It is widely known that travelling by transport is associated with serious problems (especially in the capital); therefore, public transport will also be relieved, and private car owners will also avoid standing in traffic jams. The issue is also important from an ecological point of view; the reduction of the movement of vehicles will have a serious impact on the environmental pollution rate. Among the disadvantages are the low quality of the Internet; lack of proper technical means; or malfunctioning to identify a person during a telephone connection.

Keywords: Administrative Proceedings, News, Remote sessions, Changes, Publicity.

საქართველო, უკრაინა, მოლდოვა: ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულება და ევროინტეგრაციის პერსპექტივები

მალხაზ ნაკაშიძე

პროფესორი, ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
malkhaz.nakashidze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი: 2022 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ განიხილა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ. ევროკომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, ევროპულმა საბჭომ უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველოს კი ევროპული პერსპექტივა. საქართველომ უნდა შეასრულოს 12 რეკომენდაცია კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად. ევროკავშირის ასეთ განსხვავებულ გადაწყვეტილებას სხვადასხვა გამომხაურება მოჰყვა, მათ შორის საქართველოს ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას კრიტიკულად შეხვდა. საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიციით, საქართველომ უფრო მეტად დაიმსახურა კანდიდატის სტატუსი, ვიდრე უკრაინა და მოლდოვა, რადგან ბევრი თვალსაზრისით საქართველო ორივე ქვეყანას უსწრებს. საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას ევროკომისიის მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულება უნდა უზრუნველყონ 2023 წლის ბოლომდე, როცა ევროკომისია ხელახლა შეაფასებს მათ მიერ რეკომენდაციების შესრულებას და საბოლოოდ ევროპული საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას გაწევრიანების შემდგომ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით. სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ ამ ქვეყნების მდგომარეობა რეფორმების განხორციელების სფეროში არის განსხვავებული. ცვლილებების განხორციელებისა და რეკომენდაციების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნება, რაც სამივე ქვეყანაში განსხვავებულია. განსაკუთრები ხაზი უნდა გაესვას სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობას და მათ უნარს დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ევროინტეგრაციის მიმართულებით. წარმოდგენილი მოხსენების მიზანია საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მიერ რეკომენდაციების შესრულების შედარებითი ანალიზი და ევროინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ გარკვეული რეკომენდაციების წარდგენა.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ინტეგრაცია, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, რეფორმები.

Georgia, Ukraine, Moldova: Implementation of the Recommendations of the European Commission and Prospects for European Integration

Malkhaz Nakashidze

Professor, Jeran Monnet Chair, Batumi Shota Rustaveli State University

malkhaz.nakashidze@bsu.edu.ge

Abstract: In June 2022, the European Council discussed the application of Georgia, Ukraine and Moldova to join the European Union. Based on the recommendations of the European Commission, the European Council granted candidate status to Ukraine and Moldova, and European perspective to Georgia. Georgia must fulfill 12 recommendations to receive the status of a candidate country. Such a different decision of the European Union was met with various responses, including the Georgian authorities who met this decision critically. According to the official position of the Georgian government, Georgia deserved the candidate status more than Ukraine and Moldova, because in many respects Georgia is ahead of both countries. Georgia, Moldova and Ukraine must ensure the implementation of the recommendations given by the European Commission until the end of 2023, when the European Commission will re-evaluate their implementation of the recommendations and finally the European Council will make a decision regarding the transition to the next stage of membership. Various studies confirm that the situation of these countries in the field of implementation of reforms is different. Political will is important for implementation of changes and implementation of recommendations, which is different in all three countries. A special emphasis should be placed on the work of state institutions and their ability to independently make decisions in the direction of European integration. The purpose of the presented paper is a comparative analysis of the implementation of recommendations by Georgia, Ukraine and Moldova and to present certain recommendations on the prospects of European integration.

Keywords: European Union, Integration, Georgia, Moldova, Ukraine, Reforms.

დისკრიმინაციის წახალისება სასულიერო პირების მხრიდან - სამართლებრივი რეაგირება

მანუჩარ ცეცხლაძე

მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

manuchar.tsetskhladze.1@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების საკითხზე დღეს ორი სუბიექტი მუშაობს: სასამართლო და სახალხო დამცველის აპარატი. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში ხშირად აფასებს საზოგადოების წევრების და განსაკუთრებით, პოლიტიკოსების მიერ დისკრიმინაციის წახალისებას და აღნიშნავს, რომ მსგავსი გამონათქვამები აძლიერებს სტერეოტიპულ განწყობებს, ახალისებს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციას და დამატებით სოციალურ ბარიერს ქმნის. თუმცა, სასულიერო პირების მიერ დისკრიმინაციის წახალისების ფაქტებზე რეაგირების პრაქტიკა თითქმის არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ლიდერები დისკრიმინაციის წახალისებელი კიდევ უფრო მწვავე გამონათქვამებით გამოირჩევიან, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ადამიანთა დისკრიმინაციის წახალისება და სიძულვილის ენის გამოყენება, მათ შორის, ქსენოფობიურ, რელიგიურ, ჰომოფობიურ ნიადაგზე. მოხსენების ფარგლებში, განხილული იქნება თუ, როგორ ვრცელდება "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი სასულიერო პირების მიერ დისკრიმინაციის წახალისების ფაქტებზე. ასევე, საქართველოში რელიგიური ლიდერების მიერ დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტების ან/და დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევის შეფასების პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: სასულიერო პირები, დისკრიმინაცია, ჰომოფობია, დისკრიმინაციის წახალისება.

Encouragement of Discrimination by Clergy - Legal Response

Manuchar Tsetskhladze

Master of Laws, Ilia State University

manuchar.tsetskhladze.1@iliauni.edu.ge

Abstract: Currently, the enforcement of Georgia's "On Elimination of All Forms of Discrimination" law involves two primary entities: the court and the Public Defender's office. The Public Defender of Georgia plays a pivotal role in overseeing the eradication of discrimination and ensuring equality. In his reports, the Public Defender frequently highlights instances where public figures, particularly politicians, encourage discrimination. Such statements, as noted by the Public Defender, not only reinforce stereotypical attitudes but also contribute to the emergence of new forms of discrimination and erect additional social barriers. Surprisingly, there is minimal evidence of clerics responding to instances that encourage discrimination, despite the fact that religious leaders often employ more severe language that fosters discrimination across various grounds. This includes the use of hate speech, particularly on xenophobic, religious, and homophobic bases. This report aims to explore the application of Georgia's "On Elimination of All Forms of Discrimination" law concerning instances of discrimination encouraged by clergy. Additionally, it will scrutinize the practices employed in evaluating cases involving alleged discrimination and/or encouragement of discrimination by religious leaders in Georgia.

Keywords: Clergy, Discrimination, Homophobia, Encouragement of Discrimination.

ოჯახის ღირსების აღდგენა და სახელმწიფოს უმოქმედობა ფემიციდთან დაკავშირებულ საქმეებზე

მარიამ გაგოშიძე

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
mariam.gagoshidze@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: ფემიციდი ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი გამოვლინებაა. ქალთა მიმართ გამოვლენილი მსგავსი ძალადობის ფორმა გლობალური მოვლენაა და ბოლო წლებში კიდევ უფრო მეტად იმატა. მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა, რაც მიმართულია ქალთა უფლებების დაცვისკენ, ფემიციდთან დაკავშირებული მრავალი შემთხვევა არსებობს, მათ შორის ისეთიც, სადაც იკვეთება ფემინიციდის, როგორც სახელმწიფო უმოქმედობის ნიშნები. ოჯახის ღირსების აღდგენის მიზნით, ქალთა მკვლევლობა ყველაზე მეტად გავრცელებული ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაშია, თუმცა აშკარაა, რომ ქართულ რეალობაში გახშირდა შემთხვევები, მითუმეტეს მას შემდეგ რაც, რამდენიმე საქმესთან მიმართებით სახელმწიფოს უმოქმედობა გამოიკვეთა. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CEDAW) ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ მსხვერპლი გახდა ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიციისა და სასამართლო სისტემის სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ჯვარედინი დისკრიმინაციის მსხვერპლი. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების განახლებამ შედეგი ვერ გამოიღო. მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ გადახდილი მორალური ზიანისა, თემში მიიჩნევა, რომ ოჯახის "აღდგენილი ღირსება" ქალის სიცოცხლეზე უპირატესია, რაც კვლავ სახელმწიფოს უმოქმედობით არის გამოწვეული. მოხსენების მიზანია, ისაუბროს ქვეყანაში ფემიციდისა და ფემინიციდის პრობლემებზე; ფემიციდის საქმეთა მაგალითზე, გააანალიზოს პრობლემა და წამოჭრას მათი გადაწყვეტის გზები.

საკვანძო სიტყვები: ფემიციდი, ფემინიციდი, ქალთა მიმართ ძალადობა, სახელმწიფოს უმოქმედობა, ჯვარედინი დისკრიმინაცია.

Restoring Family Dignity and State Inaction in Cases Related to Femicide

Mariam Gagoshidze

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

mariam.gagoshidze@sabauni.edu.ge

Abstract: Femicide is an extreme manifestation of violence against women. This form of violence against women is a global phenomenon and has increased even more in recent years. Despite a number of legislative changes aimed at the protection of women's rights, there are many cases related to femicide, among them there are signs of femicide as state omission. The killing of women in order to restore family dignity is most common in the Middle East and South Asia, although it is obvious that in Georgian reality such cases have become more frequent, especially after the inaction of the state in relation to several cases were identified. The United Nations Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW) found in one case that the victim was subject to intersectional discrimination based on ethnicity, stereotyping by the police and the judiciary. In connection with this case, the resumption of the investigation did not produce results. Despite the moral damages paid by the state, the public believes that the “restored dignity” of the family is more important than the life of the woman, which is again caused by the inaction of the state. The purpose of the report is to talk about the problems of femicide and femicide in the country; Using cases of femicide as an example, analyze the problem and suggest ways to solve it.

Keywords: Femicide, Femicide, Violence Against Women, State Omission, Intersectional Discrimination.

**ევროპის კავშირის მიერ დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებული
სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი. რა გამოწვევების წინაშე
დგას მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო?**

მარიტა გორგილაძე

დოქტორანტი, მიკოლას რომერის უნივერსიტეტი

magorgiladze1@stud.mruni.eu

აბსტრაქტი: 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, ევროკავშირმა რუსეთს უპრეცედენტო რაოდენობისა და ხარისხის სანქციები დაუწესა. ევროკავშირის ეკონომიკური სანქციები, შეეხო როგორც კომპანიებს, ორგანიზაციებს, ასევე ინდივიდუალურ პირებს. 2023 წლის 3 მარტს, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ გამოაქვეყნა 2022 წლის სტატიტიკა, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი წამყვანი საკითხი, რომელიც რაოდენობრივად სხვა სახის საქმეებს უსწერდა, სწორედ სანქციები იყო. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა აღნიშნული საქმეების რაოდენობის ზრდა. რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეზე გადაწყვეტილება უკვე მიიღო სასამართლომ, რომელთა სამართლებრივი ანალიზი ძალიან საინტერესოა. RT France v Council Case T-125/22, 2022 წლის პირველ მარტს, ევროკავშირის მიერ დასაწყვირდა რამდენიმე მედიასაშუალება, რომლებიც რუსეთის მთავრობის მიერ კონტროლირდება. მათ დროებით აეკრძალათ მუშაობა ევროკავშირის ტერიტორიაზე. მათ შორის არის RT France-იც. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილების ანულისებაც ითხოვდა აპლიკანტი. მოსკოვში დაფუძნებული რუსული არაკომერციული ორგანიზაცია ფლობს ამ ფრანგული კორპორაციის სააქციო კაპიტალს. აღნიშნული საქმე სამართლებრივად ძალიან საინტერესოა, რადგან სასამართლომ იმსჯელა ისეთ საკითხებზე როგორებიცაა, საბჭოს კომპეტენცია გადაწყვეტილების მიღებისას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ბიზნესის წარმოების თავისუფლების, ასევე დისკრიმინაციის შესახებ ეროვნების საფუძვლით. სასამართლოს მსჯელობა საკმაოდ განსხვავებული იყო წინა წლებისა და ზოგადი პრაქტიკისგან. აპლიკანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. 2023 წლის 8 მარტს კი, სასამართლომ გააუქმა ვიოლეტა პრიგოჟინას წინააღმდეგ დაწესებული სანქციები. Prigozhina v Council Case T-212/22-ი არის მნიშვნელოვანი საქმე, ვინაიდან სასამართლომ იმსჯელა, იმის შესახებ, რომ მხოლოდ ნათესაური კავშირი კონკრეტულ პირთან არ შეიძლება დასაწყვირების საფუძველი გახდეს. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება ზეგავლენას მოახდენს მომავალ სანქციებზე. ასეთივე საინტერესო საქმეა, Viktorovich Prigozhin v Council, სადაც სასამართლომ არ გააუქმა პრიგოჟინის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები და იმსჯელა საჯაროდ არსებულ მტკიცებულებებზე მის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ლიბიაში. სანქციების შესახებ არ არსებობს ერთიანი კანონმდებლობა, რაც ართულებს სასამართლოსთვის კონკრეტული საქმეების განხილვისას სიღრმისეულ ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, უკრაინა, ომი, სანქციები, სასამართლო.

Analysis of Court Decisions Related to Sanctions Imposed by the European Union, What Challenges Does the European Court of Justice Face?

Marita Gorgiladze

PhD Student, Mykolas Romeris University

magorgiladze1@stud.mruni.eu

Abstract: Since Russia's invasion of Ukraine in 2022, which ignited a full-fledged war, the European Union has imposed an unprecedented array of sanctions on Russia. These economic sanctions have had far-reaching effects on businesses, organisations, and individuals. On March 3, 2023, the Court of Justice of the European Union released statistics for the year 2022, and it revealed that one of the predominant issues, surpassing other categories of cases, was related to sanctions. One of the most important challenges was the increase in the number of cases. The court has already decided several significant cases, the legal analysis of which is quite interesting. Among these cases, one particularly noteworthy instance was RT France v Council Case T-125/22, which arose when, on March 1, 2022, the European Union imposed sanctions on several media outlets controlled by the Russian government, temporarily banning them from broadcasting within the EU. RT France was one of the affected outlets. The applicant sought the annulment of the decision. This French corporation's equity is owned by a Russian non-profit organisation based in Moscow. This case is particularly interesting from a legal perspective because it raised important issues, including the Council's decision-making authority, freedom of speech and expression, freedom to conduct business, and discrimination based on nationality. The court's reasoning deviated significantly from previous years and common practice, resulting in the dismissal of the appeal. On March 8, 2023, the court annulled the sanctions imposed against Violeta Prigozhina. The contested acts were solely based on her family relationship, which was deemed insufficient to justify her inclusion on the contested lists. Another equally interesting case is Viktorovich Prigozhin v Council, in which the court did not lift sanctions against Prigozhin. The court discussed publicly available evidence of his involvement in crimes in Libya. The absence of specific sanctions legislation made it challenging for the court to conduct in-depth analyses of such cases.

Keywords: Russia, Ukraine, War, Sanctions, Court.

**სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის ქრილში**

მერი კანთელაშვილი

დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

merikantelshvili@gmail.com

აბსტრაქტი: საქართველოს კონსტიტუციამ 2017 წელს მე-18 მუხლით განამტკიცა ადამიანის ახალი ძირითადი უფლება – სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებაზე და დაადგინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება. უფლების ფუნდამენტი ევროკავშირის ქარტიის კარგი მმართველობის უფლებაა, რომელიც აღიარებს და აწესებს ყოველი ადამიანის უფლებას მისი გონივრულ ვადაში სამართლიანად, მიუკერძოებლად განხილვას; ყოველი ადამიანის მოსმენის უფლებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზომები, რომლებიც შემდეგში უარყოფით გავლენას მოახდენენ პირის მდგომარეობაზე; დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის და ზიანის ანაზღაურების უფლებას. ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოებს უდგენს ვალდებულებას დაასაბუთონ მიღებული გადაწყვეტილებები. ევროკავშირის ქარტიით განსაზღვრული კარგი მმართველობის და სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებებს საფუძველი ქართულ კანონმდებლობაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანერგვამ ჩაუყარა. ქართული სამართლის სივრცეში კოდექსით განსაზღვრულმა უფლებებმა მატერიალური და ფორმალური ხასიათი შეიძინა, როგორც ყოველი ადამიანის ძირითადი საპროცესო უფლებები საჯარო მმართველობის პროცესში არ განხორციელდა. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა უფლების კონსტიტუციურ რანგში აყვანა. უფლების პროცესუალური ხასიათის გამოვლინება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამოყენების ქვაკუთხედაა, ვინაიდან ამ უფლებების საშუალებით წამოყენებული მოთხოვნები სასამართლოში აწესებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, უფლების დაცვის მაღალ სტანდარტს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლიანი განხილვის უფლებას ექმნება განხორციელების საფრთხე ამ უფლების საჯარო მმართველობაში შეზღუდვის გამო.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, ქარტია, უფლებები, ადმინისტრაციული წარმოება, კარგი მმართველობა.

The Right to Fair Administrative Proceedings in the Context of the General Administrative Code

Meri Kantelashvili

PhD Student, Caucasus International University

merikantelshvili@gmail.com

Abstract: In 2017, Article 18 of the Constitution of Georgia strengthened the new basic right of a person - to fair administrative proceedings and established the right to a fair consideration of a case related to an individual within a reasonable time by an administrative body. The foundation of the right is the EU Charter's right to good governance, which recognizes and enshrines the right of every person to a fair, impartial hearing within a reasonable time; the right of every person to be heard in order to avoid measures that will subsequently have a negative impact on the person's situation; Right of access to documents and compensation for damages. And the administrative bodies are obliged to justify the decisions made. The introduction of the General Administrative Code into the Georgian legislation laid the foundation for the rights of good governance and fair administrative proceedings defined by the European Union Charter. In the area of Georgian law, the rights defined by the Code acquired a material and formal character, as the basic procedural rights of every person were not implemented in the process of public administration. It was this that caused the right to be elevated to the constitutional status. Manifestation of the procedural character of the right is the cornerstone of the exercise of the right to appeal to the court, since the demands raised by means of these rights set the right to a fair trial, a high standard of protection of the right. Otherwise, the right to a fair hearing is threatened by the limitation of this right in public administration.

Keywords: The Constitution, Charter, Rights, Administrative Proceedings, Good Governance.

საჯარო სამართალი ვალაუვალობის ქართულ სამართალში

მერი კეთილაძე

დოქტორანტი, მონვეული ლექტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ketiladzemeri@gmail.com

აბსტრაქტი: ვალაუვალობის სამართალი ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში არსებობას 1996 წლის „გაკოტრების შესახებ“ კანონიდან იწყებს. ვალაუვალობის დარგი ანესრიგებს მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობას რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმებით და აწ უკვე რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტით, რომელიც ახალი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტორი დაკმაყოფილების“ შესახებ კანონით დამკვიდრდა ჩვენი სამართლის სისტემაში. ვალაუვალობის სამართალი თავისი არსით, კომპლექსური დარგია. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ ვალაუვალობაში ერთიანდება, როგორც კერძო სამართლებრივი, ასევე, საჯარო სამართლებრივი ნორმები. საჯარო სამართლებრივი ნორმების არსებობა ვალაუვალობის საქმის წარმოებაში გამოიხატება სასამართლოს მიერ ვალაუვალობის საქმის წარმოების განხილვაში და მის მიერ შესაბამისი უფლებების განხორციელებასა და ნორმების გამოყენებაში. კერძოდ, განცხადების განხილვაში და მის დასაშვებობაში, კრედიტორული მოთხოვნების შემოწმებაში და სხვ. ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მუხლების გამოყენებაში, რომელზე მითითებასაც უშუალოდ ვალაუვალობის მომწესრიგებელი კანონი ადგენს. მაგალითად, კრედიტორთა ინფორმირება, გზავნილის ჩაბარება, საპროცესო ხარჯები და სხვ. ყოველივეს გათვალისწინებით ნათელია, რომ ვალაუვალობის სამართალსა და საჯარო სამართალს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ, რომლის გარღვევაც შეუძლებელია. ასევე, შეუძლებელია ვალაუვალობის სამართლის მიკუთვნება მხოლოდ კერძო სამართალზე.

საკვანძო სიტყვები: ვალაუვალობა, მოვალე, კრედიტორი, კერძო სამართალი, საჯარო სამართალი.

Public Law in the Georgian Law of Insolvency

Meri Ketiladze

PhD Student, Visiting Lecturer, Caucasus International University

ketiladzemeri@gmail.com

Abstract: Insolvency law in our country's legislative space came into existence with the 1996 Law "On Bankruptcy". This field regulates the relationship between debtors and creditors, with the regimes of rehabilitation and bankruptcy, and the institution of the already regulated agreement. The new "Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors" law established this institution in our legal system. Insolvency law is a complex field that encompasses both private and public legal norms. The validity of these norms is intertwined, and the existence of public legal norms is evident in the court's handling of invalidity proceedings as well as in the application of relevant rights and norms, in the review of the application and its admissibility, in the verification of creditor requirements, etc., applying the Civil Procedure Code articles, which are directly referenced by the Insolvency Law. For example, informing the creditors, delivery of the message, process costs, etc. Considering everything, it is clear that the insolvency law and public law have a close connection with each other, which cannot be broken. Also, it is impossible to attribute insolvency law only to private law.

Keywords: Insolvency, Debtor, Creditor, Private Law, Public Law.

**უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირები აჭარიდან
XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში**

მურმან გორგოშაძე

პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

murman.gorgoshadze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი: ქართველთა შორის იურისპრუდენციით დაინტერესება ყოველთვის საგრძნობი იყო. იურისპრუდენცია ისწავლებოდა კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში (ფაზისის აკადემია) (III-VI სს), გელათისა (XII-XVI სს) და იყალთოს (XI-XVII სს) აკადემიებში. ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე, აჭარის მკვიდრი, ზოგადად უმაღლეს და კერძოდ, უმაღლეს იურიდიულ განათლებას, სხვადასხვა ქვეყანაში ღებულობდნენ. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ აჭარის რამდენიმე მკვიდრი, რომლებმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში უმაღლესი იურიდიული განათლება ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს, რაც აქარწყლებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, თითქოს აჭარაში 1917 წლისთვის მხოლოდ სამი უმაღლეს განათლებული იყო. ნაშრომში განხილულია ჰასან ფეჰმი ფაშას (1836-1910), ლომან-ეფენდი ქარცივაძის (1812-1889), ოსმან ხუსეინის-ძე თავდგირიძის (1889-1938), დურსუნ ემინის ძე ქარცივაძის (1865-1937), ხუსეინ-ეფენდი თავდგირიძის (1865-1941), რეჯებ დედეს-ძე ნიჟარაძის (1873-1937), ხასან ისმაილის-ძე ლორთქიფანიძის (1888-1937), ხასან იბრაიმის-ძე აბაშიძის, ოსმან ეუბის ძე მიქელაძის (1894-1937), თემურბეგ მამუდის ძე შერვაშიძის (1884-1937), მემედ გულიას-ძე კაიკაციშვილის (1898-1937) და სხვების ბიოგრაფიული ცნობები, მითითებულია მათ დამსახურებაზე სამეცნიერო-აკადემიურ სფეროში, ნაჩვენებია მათი როლი აჭარის როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, ისე საბჭოთა პერიოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივ თუ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: აჭარა, განათლება, იურისპრუდენცია, მეცნიერება, განვითარება.

**Persons With Higher Legal Education from Adjara in the Second Half
of the 19th Century and the Beginning of the 20th Century**

Murman Gorgoshadze

Professor, Batumi Shota Rustaveli State University

murman.gorgoshadze@bsu.edu.ge

Abstract: Interest in jurisprudence among Georgians has always been palpable. Jurisprudence was taught in the higher rhetorical school of Kolkheti (Academy of Phasis) (III-VI centuries), in the Academy of Gelati (XII-XVI centuries), and Academy of Ikaltos (XI-XVII centuries). Due to the historical and political situation of our country, from the late Middle Ages until the 20s of the 20th century, the residents of Adjara generally received higher and higher legal education in different countries. Our goal is to present some natives of Adjara, who in the second half of the 19th century and the beginning of the 20th century received higher legal education in the higher educational institutions of the Ottoman and Russian Empires, which dispels the view that there were only three higher educated people in Adjara by 1917. The paper discusses the biographical references of many residents of Adjara, indicates their merits in the scientific and academic field, shows their role in the legal and state-political life of Adjara as part of the Democratic Republic of Georgia, and the Autonomous Republic of Adjara during the Soviet period. These people are: Hasan Fehmi Pasha (1836-1910), Loman-Efendi Kartsivadze (1812-1889), Osman Husein Tavdgiridze (1889-1938), Dursun Emin Kartsivadze (1865-1937), Husein-Efendi Tavdgiridze (1865 -1941), Rejeb Dede Nizharadze (1873-1937), Khasan Ismaili Lortkifanidze (1888-1937), Khasan Ibraimis Abashidze, Osman Eubi Micheladze (1894-1937), Temur-beg Mamudi Shervashidze (1884 -1937), Memed Gulia Kaikatsishvili (1898-1937) and others.

Keywords: Adjara, Education, Jurisdiction, Science, Development.

საყოველთაო საარჩევნო უფლება - თანამედროვე სტანდარტი და ქართული გამოწვევები

ნანა ჭილაძე

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

nana.chighladze@tsu.ge

აბსტრაქტი: დემოკრატიული და სამართლებრივ ქვეყნებში არჩევნებში საზოგადოების მონაწილეობა, პირველ რიგში, საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზაციით ხდება. საარჩევნო უფლება, როგორც წესი, მოქალაქეობიდან გამომდინარე უფლებების განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფორმა, პიროვნულობისა და ღირსების გამოხატვის ეფექტური საშუალებაა. პიროვნების თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპის სრულყოფილებას სწორედ კანონმდებლობასა და მთავრობაზე გადამწყვეტი გავლენის მქონე საარჩევნო უფლების რეალიზაცია უზრუნველყოფს. ესპანელი ფილოსოფოს-სოციოლოგი ორტეგა ი გასეტი მიიჩნევს, რომ „დემოკრატიის კეთილდღეობა უმნიშვნელო ტექნიკურ დეტალზე - საარჩევნო უფლებაზეა დამოკიდებული. ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანია“. იგი ემყარება ხალხის სუვერენულობის იდეას და რეალიზდება პოლიტიკური მონაწილეობის გზით. დღემდე, თანამედროვე სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს, ზრუნვის საგანი საარჩევნო უფლების რეალიზაციის მყარი მექანიზმების - პროცესუალური და ინსტიტუციური გარანტიების შექმნაა. ამასთან, საყოველთაო საარჩევნო უფლების ოპტიმალური რეგლამენტაცია დიდი ხანია გაცდა ცალკეული სახელმწიფოს ინტერესს და საერთაშორისო სტრუქტურების ზრუნვის საგანი გახდა. აქტუალურია საარჩევნო უფლების განვითარება უნივერსალური საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში. შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტებს მორგებული საარჩევნო უფლების აღიარება და გაცოცხლება ეროვნულ კანონმდებლობაში, უფლების ეფექტური რეალიზაციისა და დემოკრატიული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტიაა. ამასთან, თანამედროვე რეალობის, ვენეციის კომისიის დასკვნებისა და რეკომენდაციების, ასევე ევროპული თუ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების ანალიზი ლოგიკურად იწვევს საყოველთაო საარჩევნო უფლების შინაარსის და მოცულობის გადახედვას. საინტერესოა საყოველთაო საარჩევნო უფლების რეგლამენტაციასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, რომლებზეც განსხვავებულია საერთაშორისო პრაქტიკა და ხშირად, ოპტიმალური გამოსავლის მოძებნა რთულია. სწორედ ასეთ საკითხები იქნება საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენების ფარგლებში მსჯელობის საგანი.

საკვანძო სიტყვები: საყოველთაო საარჩევნო უფლება, თანამედროვე გამოწვევები, საერთაშორისო სტანდარტები, ოპტიმალური გამოსავლის ძიება.

Universal Suffrage - Modern Standard and Georgian Challenge

Nana Chighladze

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

nana.chighladze@tsu.ge

Abstract: In democratic and legal states, public participation in elections primarily occurs through the exercise of universal suffrage. The right to vote, generally seen as one of the most visible manifestations of citizenship, serves as an effective means of expressing individuality and dignity. The perfection of the constitutional principle of personal freedom is ensured by the realization of the electoral right, which decisively influences legislation and government. The Spanish philosopher-sociologist Ortega y Gasset contends that 'The well-being of democracies, regardless of their type and status, depends on one small technical detail: the right to vote. Everything else is secondary.' This right is grounded in the idea of people's sovereignty and is realized through political participation. To date, the concern of modern states, including Georgia, is the establishment of robust mechanisms for realizing electoral rights, encompassing procedural and institutional guarantees. Furthermore, the optimal regulation of universal suffrage has extended beyond the interests of individual states to become a focus of international structures. It is relevant to develop the right to vote within the framework of universal international standards. Therefore, recognizing and revitalizing the right to vote in accordance with international standards in national legislation is a crucial guarantee for effectively realizing the right and ensuring a democratic election process. Additionally, an analysis of modern reality, conclusions, and recommendations from the Venice Commission, along with decisions from European and national courts, logically leads to a reassessment of the content and scope of universal suffrage. Interesting issues arise regarding the regulation and implementation of universal suffrage, where international practices differ, making it challenging to find an optimal solution. Such issues will be the subject of discussion in the report presented at the international conference.

Keywords: Universal Suffrage, Modern Challenges, International Standards, Optimal Solution.

ზოგადი განათლების, როგორც კონტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვა

ნანული კირთაძე

მინვეული ლექტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
kirtadze.nanuli@atsu.edu.ge

აბსტრაქტი: დღესდღეობით, განვითარებული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა თავისი მოქალაქეებისთვის განათლების უფლების დაცულობის უზრუნველყოფაა. ხარისხიანი განათლების სისტემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდის სრულფასოვანი განვითარებისათვის. ჩვენს ქვეყანაში ზოგადი განათლების სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. გაზრდილი დაფინანსებისა და გატარებული რეფორმების მიუხედავად, მისი საყოველთაოების უფლება ირღვევა სხვადა-სხვა გარემო-პირობების გამო. ამდენად, სახელმწიფო ორგანოთა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა თავისი მოქალაქეებისთვის განათლების უფლების დაცულობის უზრუნველყოფაა. ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება. განათლების შესაძლებლობა ყველა მსურველისთვის მოიცავს როგორც სწავლების მატერიალურად ხელმისაწვდომობას (სწავლის საფასურის მინიმუმამდე დაყვანას), ისე პირის უზრუნველყოფას საჭირო ინვენტარით - სასწავლო მასალებით, უსაფრთხო გარემოთი, ტრანსპორტით (საჭიროების შემთხვევაში) და რაც მთავარია, ხარისხიანი განათლების გარანტიით. ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები საქართველოს კონსტიტუციით, ასევე სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტებითაა გარანტირებული. ნაშრომში დეტალურად მიმოიხილება თუ როგორ ხორციელდება შესაბამისი ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება, რამდენად შეესაბამება ნორმატიულ აქტებით დადგენილი მოთხოვნები ქვეყანაში არსებულ რეალურ პრაქტიკასა და სტანდარტებს. ამასთან, გაანალიზდება იმ ბავშვთა სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც რეალურად სხვადა-სხვა მიზეზთა გამო ეზღუდებათ კონტიტუციით გარანტირებული საყოველთაო განათლების მიღების უფლება. ნაშრომში დასკვნების სახით შეჯამდება რამდენად არის დაცული საქართველოში ზოგადი განათლების უფლება, აგრეთვე შემოთავაზებული იქნება კვლევის პროცესში ჩამოყალიბებული მიგნებები და დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: განათლების უფლება, ხელმისაწვდომობა, კონსტიტუციური გარანტიები, პრაქტიკა და სტატისტიკური მონაცემები.

Limitations on General Education: A Constitutionally Guaranteed Right

Nanuli Kirtadze

Visiting Lecturer, Akaki Tsereteli State University

kirtadze.nanuli@atsu.edu.ge

Abstract: In today's developed states, ensuring the protection of citizens' right to education stands out as a primary challenge. A quality education system is vital for the full development of each individual. The general education system in our country is facing significant challenges. Despite increased funding and implemented reforms, its right to universality is violated due to various environmental conditions. Thus, one of the main challenges of the state bodies is to ensure the protection of the right to education for its citizens. Every individual possesses an equal right to complete a general education. The opportunity for education for all applicants encompasses not only the financial accessibility of education (minimizing tuition fees) but also the provision of necessary resources—educational materials, a secure environment, transportation (if needed), and, most importantly, a guarantee of quality education. These requirements are safeguarded by the Constitution of Georgia and other normative acts. In the report, I will delve into how the relevant bodies fulfill their assigned duties, the extent to which the requirements of normative acts align with practical implementation, and present statistical data on children who are actually impeded from receiving education due to various reasons. This analysis aims to evaluate the level of protection of the right to general education in Georgia

Keywords: Right to Education, Availability, Constitutional Guarantees, Practice and Statistical data.

იურიდიული კლინიკის გამოცდილება, გამონვევები და პერსპექტივები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ნარგიზი ცეცხლაძე

იურიდიული კლინიკის კოორდინატორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nargizi.tsetsxladze@gmail.com

აბსტრაქტი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იურიდიული კლინიკა არის საადვოკატო ტიპის ოფისის მოდელი, რომელიც დღემდე აქტიურად ახორციელებს pro bono (საზოგადოების საკეთილდღეოდ) ფუნქციას. კლინიკა ამოქმედდა 2006 წელს USAID-ის პროექტის ფარგლებში, ხოლო 2008 წელს გადავიდა ბსუ-ს სტრუქტურაში. კლინიკა დღემდე საბაკალავრო. საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია და უმეტესად ემსახურება საზოგადოების მოწყვლად ფენას. სტუდენტისთვის კლინიკა ეს არის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გარდასახვის ოპტიმალური საშუალება. ასეთ გარემოს შეუძლია უზრუნველყოს სტუდენტისთვის მდიდარი სასწავლო გამოცდილება და აჩვენოს, თუ როგორ ხდება სოციალური სამუშაოს განევა რეალურ სამუშაო პირობებში. ერთ-ერთი გამორჩეული ნიშა ბსუ იურიდიული კლინიკისათვის არის ის, რომ სამართალმცოდნეობის პროგრამის სტუდენტები სტაჟირების პერიოდში კლიენტებს უწევენ უფასო სამართლებრივ დახმარებას. კლინიკაში დასაქმებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აითვისონ მოლაპარაკების წარმოების უნარი, გამოიმუშაონ ადვოკატის უნარ-ჩვევები, შეისწავლონ ცალკეული საპროცესო დოკუმენტების მომზადების ტექნიკა და პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა უნარ-ჩვევები, ხელმძღვანელთან კონ-სულტაციის შედეგად შეადგინონ იურიდიული ხასიათის დოკუმენტები, განახორციელონ მოქალაქეთა მიღება, გასცენ ზეპირი და წერილობითი კონსულტაციები, საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინენ მოქალაქეთა ინტერესები როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში ასევე სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. მიუხედავად საკმაო გამოცდილებისა, გამართული კლინიკური სწავლების ორგანიზება მთელ რიგ პრობლემებსა და გამონვევებს უკავშირდება. გამონვევად რჩება კლინიკური სწავლების ორგანიზაციულ ფორმაში, მისი ადგილი საგანმანათლებლო ინსტიტუციაში, ინსტიტუციის საბიუჯეტო მხარდაჭერაში, ასევე, გამონვევად რჩება ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში კლინიკას არ განუხორციელებია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საერთო სასამართლოების პირველ ინსტანციაში იმ პრობლემის გამო, როგორცაა საქმეთა განხილვის გაჭიანურება, გამონვეული სასამართლოთა გადატვირთულობით. ბსუ-ს იურიდიული კლინიკა ასევე ზრუნავს კლინიკის ფარგლებს გარეთ საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაზე. კლინიკის ეგიდით ტარდება საჯარო ლექციები, დისკუსიები აქტუალურ საკითხებზე. სამიზნე ჯგუფები კი ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებია.

საკვანძო სიტყვები: ბსუ, ბაკალავრიატი, კლინიკა, წარმომადგენლობა, ცნობიერება.

Experience, Challenges, and Perspectives of a Legal Clinic in the Batumi Shota Rustaveli State University

Nargiz Tsetshtladze

Coordinator of Legal Clinic

Batumi Shota Rustaveli State University

nargizi.tsetsxladze@gmail.com

Abstract: The legal Clinic of the Faculty of Law and Social Sciences of the Batumi Shota Rustaveli State University is a lawyer-type office model, which till today actively Performs pro bono (community for good) function. clinic Launched in 2006 by the USAID _ project and in 2008 moved into the structure of BSU. The clinic is still part of the Bachelor's degree educational program and mostly serves the vulnerable segment of society. one of the outstanding niches for the BSU legal clinic is the law program students' internship period Clients are provided with free legal assistance. Students employed in the clinic are allowed to acquire the ability to conduct negotiations, develop the skills of a lawyer, study the technique of preparing separate procedural documents and other skills necessary for practical activities, draw up legal documents as a result of consultation with the supervisor, to carry out the reception of citizens, to give oral and written consultations, If necessary, they represent the interests of citizens both in the court of first instance and in various administrative bodies. Despite enough experience, organized clinical teaching is connected to problems and challenges. The challenge remains in the organizational form of clinical teaching, its place in the educational institution, the budgetary support of the institution.

Keywords: University, Undergraduate, Clinic, Representation, Awareness.

სექსუალური ხასიათის ქცევა, როგორც სექსუალური შევიწროების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი

ნატი გელოვანი

დოქტორანტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

natigelo@yahoo.com

აბსტრაქტი: 2019 წლის დასაწყისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად სექსუალური შევიწროება ეს არის პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს. სექსუალურ შევიწროებაზე მსჯელობის დროს, ყველაზე ხშირი დისკუსიის საგანი არის სექსუალური ხასიათის ქცევის ელემენტის არსებობა/არ არსებობა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად: „სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.“ შესაბამისად, სექსუალური ხასიათის ქცევა შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერად (ვერბალურად), არასიტყვიერად (არავერბალურად) ან/და ფიზიკურად. აღნიშნული ქმედების შეფასების დროს ყოველთვის უნდა ამოვიდეთ მომხდარი შემთხვევიდან, ვიხელმძღვანელოთ გენდერულად სენსიტიური მიდგომით და შევაფასოთ ქცევის სექსუალური ხასიათი. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ მსხვერპლის აღქმა. თითოეული შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს კონკრეტული ქცევა პირისთვის იყო თუ არა არასასურველი, ვინაიდან შესაძლებელია სექსუალური ხასიათის ქცევა ვინმე „ა“-სთვის იყოს ღირსების შემლახავი და არასასურველი, თუმცა „ბ“-თვის იგივე ქცევა შეფასდეს როგორც სასურველი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შემთხვევების ინდივიდუალური განხილვის აუცილებლობაზე.

საკვანძო სიტყვები: სექსუალური შევიწროება, სექსუალური ხასიათის ქცევა, გენდერული სენსიტიურობა.

Behavior of Sexual Nature as an Important Element of Sexual Harassment

Nati Gelovani

PhD Student, East-European University

natigelo@yahoo.com

Abstract: Georgian legislation as amended in the beginning of 2019 defines sexual harassment as an unwanted behavior of sexual nature which creates offensive or intimidating environment for a person concerned. One of the core issues while discussing sexual harassment is the existence of sexual element. According to the legislation, a behavior of sexual nature includes saying phrases of sexual nature, showing genitals or other such non-verbal conduct. Hence, behavior of sexual nature may reveal itself verbally, non-verbally or physically. Naturally, one should assess the sexual nature of the mentioned behavior through a gender sensitive approach. Moreover, perception of the victim should also be considered because each person may weigh differently what exactly represents a sexual behavior. In fact, it is perfectly possible that certain behavior of sexual nature be unwanted or offensive for A while the same behavior be totally acceptable for B. This reinforces the necessity of individual assessment of one's conduct when sexual harassment case is analyzed.

Keywords: Sexual Harassment, Behavior of Sexual Nature, Gender Sensitivity.

შევიწროება/სექსუალური შევიწროება, როგორც დისკრიმინაციის ფორმა

ნატო მირზაშვილი

სამართლის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

nato.mirzashvili.1@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი: როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც შევიწროების/სექსუალური შევიწროების მსხვერპლთა ხილვადობის გაზრდისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა 2017 წელი. ერთი მხრივ, გახმაურდა სექსუალური შევიწროების რამდენიმე შემთხვევა, მეორე მხრივ კი, მოხდა „სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირება, რომელმაც შემდგომ წლებში არაერთი პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილება განაპირობა. მიუხედავად საკანონმდებლო რეგულირების კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯებისა, შევიწროების/სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. 2017 წლიდან დღემდე შევიწროების/ სექსუალური შევიწროების არაერთი შემთხვევა გასაჩივრდა როგორც საქართველოს სახალხო დამცველისადმი მიმართვის, ასევე საერთო სასამართლოების სისტემაში სარჩელის წარდგენის ფორმით. აღნიშნულ შემთხვევათა უდიდესი ნაწილი სამუშაო ადგილზე შევიწროებას/სექსუალურ შევიწროებას წარმოადგენდა, რომელთა შორის ვხვდებით არაერთ გახმაურებულ საქმეს - თათია სამხარაძე შალვა რამიშვილის წინააღმდეგ, ეკატერინე მესხიძე პაპუნა უგრეხელიძის წინააღმდეგ და სხვ. აღსანიშნავია, ისიც რომ სამუშაო ადგილზე შევიწროების/სექსუალური შევიწროების შემთხვევებში მსხვერპლთა უმეტესობა არ იყენებს გასაჩივრების შიდა მექანიზმს. შევიწროების/სექსუალური შევიწროების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია განხილული იქნას შემდეგი საკითხები: შევიწროება/სექსუალური შევიწროება, როგორც დისკრიმინაციის ფორმა; შევიწროების/სექსუალური შევიწროების მარეგულირებელი კანონმდებლობა - განხორციელებული ცვლილებები; შევიწროების/ სექსუალური შევიწროების პრაქტიკა - სახალხო დამცველისა და საერთო სასამართლოების მიერ წარმოებული საქმეები; შევიწროებაზე/სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების შიდა მექანიზმების როლი დისკრიმინაციის მითითებული ფორმების პრევენციისთვის და აღმოფხვრისთვის.

საკვანძო სიტყვები: „სტამბოლის კონვენცია“, სექსუალური შევიწროება, საერთო სასამართლოების საქმეები, კანონმდებლობა, პრაქტიკა.

Harassment/sexual Harassment as a form of Discrimination

Nato Mirzashvili

Master of Laws, Ilia State University

nato.mirzashvili.1@iliauni.edu.ge

Abstract: In 2017, the Georgian legal landscape underwent a transformative phase with the ratification of the "Istanbul Convention," triggering positive legislative changes in subsequent years. Despite advancements in legislative regulation, the persistent challenge of addressing and eliminating harassment/sexual harassment has persisted. From 2017 to the present, numerous cases of harassment/sexual harassment have been brought to light, manifested through appeals to the Public Defender of Georgia and legal actions in general courts. The majority of these cases involve workplace harassment, featuring notable instances such as Tatia Samkharadze against Shalva Ramishvili, Ekaterine Meskhidze against Papuna Ugrekhelidze, and others. This report aims to comprehensively analyze legislation and practices concerning harassment/sexual harassment, addressing key aspects such as its classification as a form of discrimination, legislative changes, cases handled by the Public Defender and General Courts, and the role of internal mechanisms in responding to and preventing these specific forms of discrimination.

Keywords: "Istanbul Convention", Sexual harassment, General Court cases, Legislation, Practice.

2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებები და თანასწორობის უფლება

ნიკა პირველაშვილი

სამართლის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nikapirvelashvili@yahoo.com

აბსტრაქტი: „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ცვლილებები შეეხო, მათ შორის, თანასწორობის უფლების განმსაზღვრელ ნორმასაც, კერძოდ: 1. თუ ცვლილებებამდე კონსტიტუცია იცავდა კანონის წინაშე თანასწორობას, ამჟამად საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია სამართლის წინაშე; 2. თანასწორობის უფლებაში განსაზღვრული იყო დისკრიმინაციის ნიშნების ამომწურავი ჩამონათვალი. ცვლილებების შემდეგ ამ ჩამონათვალს დაემატა ცნება „და სხვა ნიშნით“. შესაბამისად ჩამონათვალი აღარ ატარებს ამომწურავ ხასიათს; 3. თანასწორობის უფლების მომწესრიგებელ მუხლში გაჩნდა ორი ახალი პუნქტი, სპეციალური ნორმები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ, ერთი მხრივ, ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შექმნის აუცილებლობაზე და მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრაზე და, მეორე მხრივ, განსაკუთრებული პირობების შექმნაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის. ჩემი მოხსენების თემა იქნება ამ ცვლილებების მნიშვნელობა და მათი პოტენციური გავლენა მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თანასწორობის უფლების შინაარსობრივ განმარტებაზე.

Keywords: თანასწორობის უფლება, დისკრიმინაცია, საკონსტიტუციო ცვლილებები.

**Constitutional Amendments and the Right to Equality Implemented by
The Constitutional Law of Georgia No. 1324 of October 13, 2017**

Nika Pirvelashvili

Master of Laws, Ivane Javakhlshvili Tbilisi State University

nikapirvelashvili@yahoo.com

Abstract: According to Constitutional Law No. 1324 of Georgia, dated October 13, 2017, titled “On Amendments to the Constitution of Georgia,” significant changes were made to the Constitution of Georgia. These changes impacted, among other things, the right to equality, specifically: 1. Before the amendments, the Constitution protected equality before the law, currently, according to the first sentence of Article 11 of the Constitution of Georgia, all people are equal before justice. 2. The provision of the right to equality had defined an exhaustive list of signs of discrimination. Following the changes, the concept "and by other means" was added to this list. Consequently, the list is no longer exhaustive. 3. In the article regulating the right to equality, two new clauses, or special norms, have emerged. These clauses focus on the one hand, on the need to establish equal rights and opportunities for men and women and on the elimination of inequality between them. On the other hand, they emphasize the creation of special conditions for the realization of the rights and interests of persons with disabilities. In the report, I discussed the significance of these changes and their potential impact on the substantive definition of the right to equality by the Constitutional Court in the future.

Keywords: Right to Equality, Discrimination, Constitutional Amendments.

სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ნიკოლოზ მეგრელიშვილი

დოქტორანტი, მინვეული ლექტორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

nmegrelishvili@yahoo.com

აბსტრაქტი: „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სპორტული საქმიანობის ზოგადსამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაცია არის სპორტული ფედერაცია, ასოციაცია, კლუბი და სხვა გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს სპორტის განვითარებას. აჭარაში რეგისტრირებული სპორტული ფედერაციები და ასოციაციები სამართლებრივი და ორგანიზაციული თვალსაზრისით დამოკიდებული არიან ცენტრალურ ფედერაციების „აღიარებაზე“. „აღიარება“ გულისხმობს ცენტრალური ფედერაციის მიერ რეგიონალური ფედერაციის სამართლებრივ ცნობას, მის სუბიექტად აღიარებას და მასთან თანამშრომლობას საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების თუ სხვა ტურნირების ფარგლებში. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ამავე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტის დეპარტამენტი, რომელიც აჭარის ა.რ. მთავრობის 2010 წლის, 7 დეკემბრის №49 დადგენილის საფუძველზე შეიქმნა. დეპარტამენტი თავისი საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას უფლებამოსილია: ისარგებლოს საბიუჯეტო სახსრებით; კოორდინაცია გაუწიოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის სფეროს განვითარების პროგრამების განხორციელებას; შექმნას პირობები სპორტის სფეროში სახელმწიფო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და იურიდიულ პირებთან ფართო თანამშრომლობისათვის; ითანამშრომლოს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებთან–რესურსცენტრებთან. დეპარტამენტი სპორტის სფეროს ავითარებს შესაბამისი სპორტული ფედერაციების ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერის გზით. მოხსენებაში განხილულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა და სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: სპორტი, აჭარა, სპორტის დეპარტამენტი, ბიუჯეტი, სამართალი.

Legal Aspects of Relations with Sports Federations in the Autonomous Republic of Adjara

Nikoloz Megrelishvili

PhD Student, Visiting lecturer, Batumi Shota Rustaveli State University

nmegrelishvili@yahoo.com

Abstract: The "On Sports" law in Georgia governs the legal, social, economic, and organizational aspects of sports activities within the country. Public and non-governmental sports organizations include sports federations, associations, clubs, and other groups focused on promoting sports development. Sports federations and associations registered in Adjara are legally and organizationally dependent on the "recognition" of the central federations. „Recognition" refers to the legal acknowledgment of a regional federation as a subject, and its cooperation in Georgian championships and tournaments. The Ministry of Education, Culture, and Sports of Adjara and the Department of Sports, a sub-departmental institution of the same ministry, are responsible for implementing state policies related to sports in the Autonomous Republic of Adjara. The Department of Sports was established through Decree No. 49 on December 7, 2010, by the Autonomous Government of Adjara. The Adjara Sports Department is authorized to utilize budgetary funds and coordinate the implementation of sports development programs in the autonomous Republic of Adjara. Additionally, it is responsible for creating conditions to foster cooperation with state institutions, public organizations, foreign governmental and non-governmental organizations, as well as legal entities. The department provides financial and institutional support to the sports federations to develop the sports sector. The report covers the sports policies of the Autonomous Republic of Adjara and the legal aspects of the relationships with the sports federations.

Keywords: Sports, Adjara, Sports Department, Budget, Law.

სქესობრივ დანაშაულებზე გასამართლებული პირების პერსონალური მონაცემების ურთიერთმიმართება მსხვერპლის დაცულობასთან

ნინო მუხადგვერდელი

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

n.mukhadgverdeli@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: სქესობრივ დანაშაულებზე სასჯელმთხოვნილი პირების რეესტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ინფორმირებულობისა და უსაფრთხოების მიზნებისათვის. სამართალი, როგორც სოციალური მოვლენა მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტული საზოგადოების აქტუალურ პრობლემებს, რაც შემდგომ გავლენას ახდენს სამართლის ფორმირებასა და განვითარებაზე. სქესობრივი დანაშაულები, განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მიმართებით, საზოგადოებაში ყოველთვის ინვევდა ერთმნიშვნელოვან რეაქციას. მოცემულ საკითხთან მიმართებით, პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობით, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა უზრუნველყოფს მოქალაქეების დაცულობასა და ინფორმირებულობას. ევროპასა და საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირის ავტონომიურობის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება. საქართველოს კონსტიტუცია, ძირითადი უფლებების ჩრილში, განამტკიცებს პირადი ცხოვრების, მიმონერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებას. თუმცა, ამასთანავე ადგენს მათ არააბსოლუტურ და შეზღუდვად ბუნებას. ხშირად, პერსონალური მონაცემები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონტექსტში განიხილება, რაც მას განსაკუთრებული დაცვის ქვეშ აქცევს. თუმცა, მნიშვნელოვანია, სხვა სამართლებრივი სიკეთეები და უფლებები, რომელთა პერსონალურ მონაცემებთან დაპირისპირების პროცესში შესაძლებელი და აუცილებელიც კი არის კონკრეტულ პირთა წრის პერსონალური მონაცემების საჯაროობა. კვლევები ცხადყოფს სქესობრივ დანაშაულებზე მსჯავრდებული პირების რეციდივის მაღალ ალბათობას, რაც ცხადია, მათი კონტროლის მექანიზმების აუცილებლობაზე მიუთითებს. ფსიქოპათია და დევიანტური სქესობრივი ინტერესები დაკავშირებულია სქესობრივ დანაშაულებთან და შესაბამისად აუცილებელია განხილული იყოს დანაშაულების პრევენციის მექანიზმების ჩრილში. სასჯელმთხოვნილი პირების პერსონალური მონაცემების სისტემატიზაცია და საჯაროობა პირდაპირ ემსახურება მსხვერპლი ქალების უსაფრთხოებასა და საზოგადოების სხვა წევრების დაცვას. ზემოაღნიშნული პირდაპირ კავშირშია სქესობრივი დანაშაულების რეციდივის შემცირების მიზნებთან და მოიცავს სახელმწიფოს მოქალაქეებზე ზრუნვის პოზიტიურ ვალდებულებას.

საკვანძო სიტყვები: სქესობრივი დანაშაულები, პერსონალური მონაცემების საჯაროობა, სქესობრივ დანაშაულებზე სასჯელმთხოვნილი პირების რეესტრი.

Relation of Personal Data of Persons Convicted of Sexual Offenses

Nino Mukhadgverdeli

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

n.mukhadgverdeli@sabauni.edu.ge

Abstract: The sex offender registry plays an important role in public awareness and safety. Law, as a social phenomenon, is closely related to the actual problems of a particular society, which further affects the formation and development of law. Sexual crimes, especially against minors, have always caused an unequivocal reaction in society. In relation to this issue, the availability of personal information, the legislation of the United States of America ensures the protection and awareness of citizens. In accordance with practice in Europe and Georgia, personal data is considered an integral part of privacy and personal autonomy. The Constitution of Georgia will strengthen the right to privacy, correspondence, and residence in terms of fundamental rights. However, it also establishes their non-absolute and restrictive nature. Often personal data is considered in the context of confidentiality, which makes it subject to special protection. However, other legal benefits and rights are also important; in the process of collating personal data, it is possible and even necessary to disclose the personal data of a specific group of persons. Research shows a high rate of recidivism among convicted sex offenders, which clearly indicates the need for control mechanisms. Psychopathy and deviant sexual interests are associated with sexual crimes and therefore need to be considered in terms of crime prevention mechanisms. The systematization and publicity of personal data of convicted persons directly serves the safety of female victims and the protection of other members of society. The above is directly related to the objectives of reducing the recidivism of sex offenders and includes the positive obligation of the state to care for its citizens.

Keywords: Sexual Offenses, Disclose of Personal Data, The Sex Offender Registry.

**საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლება: ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოსა და აშშ უზენაესი სასამართლოს
სტანდარტების შედარებითი ანალიზი**

ნინო ცუხიშვილი

ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ninotsukhishvili@yahoo.com

აბსტრაქტი: მოხსენების მიზანია საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლების უფლებისა და მისი შეზღუდვის საფუძვლების განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე. მოხსენებაში განხილული იქნება საჯარო მოსამსახურის, როგორც მოქალაქისა და როგორც საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის, გამოხატვის თავისუფლების უფლება და მისი შეზღუდვის საფუძვლები სახელმწიფოს მიმართ არსებული ერთგულების ვალდებულების და საჯარო სამსახურის პრინციპების ქრილში. მოხსენება მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცა: ა) საჯარო მოსამსახურის, როგორც მოქალაქის მონაწილეობა საჯარო დებატებში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე; ბ) საჯარო მოსამსახურის, როგორც დასაქმებული პირის მიერ საჯარო მოსაზრებების გამოხატვა იმ საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული პოლიტიკისა და საქმიანობის თაობაზე, სადაც თავად მუშაობს; გ) საჯარო მოსამსახურის მიერ მხილების განხორციელება; დ) საჯარო მოსამსახურის მიერ პოლიტიკური ხასიათის საჯარო განცხადებები და პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი ქმედების განხორციელება; ე) საჯარო მოსამსახურის მიერ არასამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას გაკეთებული საჯარო განცხადებები, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის სამსახურებრივ საქმიანობაზე. პრეზენტაცია გაანალიზებს ამ მიმართულებით არსებულ სასამართლო პრაქტიკას და საქართველოში არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს, რის საფუძველზეც წარმოადგენს რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლებასა და მის ვალდებულებებს შორის გონივრული ბალანსის დასაცავად.

Keywords: საჯარო მოსამსახურე, გამოხატვის თავისუფლება, გამონწვევები, ანალიზი.

Freedom of Expression of Civil Servants: Comparative Analysis of the Standards of the European Court of Human Rights and the US Supreme Court

Nino Tsukhishvili

Assistant Professor, Georgian Institute of Public Affairs

ninotsukhishvili@yahoo.com

Abstract: The purpose of the report is to discuss the public servant's right to freedom of expression and the grounds for its limitation based on the analysis of the decisions of the European Court of Human Rights and the US Supreme Court. The report will discuss the right of a civil servant, as a citizen and a person employed in public service, to freedom of expression and the grounds for its limitation in terms of the obligation of loyalty to the state and the principles of public service. The report covers such issues as: a) participation of a civil servant as a citizen in public debates on issues of high public interest; b) expression of public opinions by a public servant, as an employed person, regarding the policies and activities implemented by the public institution where he works; c) Whistleblowing by a public servant; d) Public statements of a political nature by a civil servant and implementation of actions supporting a political party; e) Public statements made by a civil servant while performing non-official activities, which may affect his official activities. The presentation will analyze the judicial practice in this direction and the existing legal framework in Georgia, based on which it will present recommendations for protecting a reasonable balance between the freedom of expression of a civil servant and his obligations.

Keywords: Public Servant, Freedom of Expression, Challenges, Analysis.

სამუშაო ადგილის ვიდეოთვალთვალი კერძო სექტორში

ნინო ნიქორიძე

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

n.tsigoridze@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: ტექნოლოგიების განვითარებამ შექმნა ახალი რეალობა მთელს მსოფლიოში. ყოველდღიურად მსოფლიო საზოგადოება უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ტექნოლოგიებზე, რადგან ის აქტიურად გამოიყენება ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ ვიდეოთვალთვალი იქცა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. ვიდეო-კამერები აკვირდება ჩვენს მოძრაობებს ყველგან: ქუჩაში, მაღაზიებში, სადგურებში და სამუშაო ადგილებზე. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებისა და მათი მრავალმხრივ გამოყენების გამო სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ ვიდეომონიტორინგი თანამედროვე რეალობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ვიდეოთვალთვალის სისტემა ტექნოლოგიური ინსტრუმენტია, რომელიც ადამიანებს გაფართოებული აღქმისა და მსჯელობის საშუალებას აძლევს. ეს უკანასკნელი საკმაოდ სწრაფად განვითარდა და მოიცვა ადამიანების საქმიანობის არაერთი სფერო. ამ მხრივ, გამონაკლისი არც შრომითი ურთიერთობები აღმოჩნდა. ეს ყოველივე გამომწვეულია იმით, რომ მისი საშუალებით ადამიანები თავს უფრო დაცულად გრძნობენ. სწორედ ამიტომ დამსაქმებულები აქტიურად იყენებენ ვიდეოთვალთვალს შრომით ურთიერთობებში, მათ შორის სამუშაო ადგილებზე. მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, საჯარო თუ კერძო სექტორი, აქტიურად იყენებს ვიდეო ან ვიდეო-აუდიო კამერებს შრომით ურთიერთობებში. ვიდეოთვალთვალის ასეთი სიხშირით გამოყენება, როგორც დღეს მას კერძო თუ საჯარო ორგანიზაციები იყენებენ, დიდ გავლენას ახდენს ადამიანების ქცევაზე. სწორედ ამიტომ, ტექნოლოგიები დიდ როლს თამაშობენ პერსონალური მონაცემების დამუშავებაში. დასაქმებულთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა მჭიდრო კავშირშია ისეთ ფუნდამენტურ უფლებასთან, როგორცაა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. სამუშაო ადგილებზე ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას კანონიერი მიზნის საფუძველზე ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რათა დაცულ იქნეს დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და სხვა უფლებებთან ერთად დამსაქმებლის ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა. მნიშვნელოვანია კერძო ორგანიზაციამ მხოლოდ ისეთი მიზნის მისაღწევად განახორციელოს სამუშაო ადგილებზე ვიდეომონიტორინგი, რომლის მიღწევაც სხვა საშუალებებით შეუძლებელი იქნებოდა, რათა მეტად იყოს დაცული დასაქმებულთა პირადი ცხოვრებისა ხელშეუხებლობისა და მათი კონფიდენციალურობის უფლება.

საკვანძო სიტყვები: ვიდეოთვალთვალი, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ტექნოლოგიები, ვიდეომონიტორინგი შრომით ურთიერთობებში.

Video Surveillance of the Workplace in the Private Sector

Nino Tsikoridze

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

n.tsikoridze@sabauni.edu.ge

Abstract: The development of technology has created a new reality around the world. The world society becomes more dependent on technology, as it is actively used in almost all areas of human activity. Video surveillance has become an integral part of modern life. Video cameras monitor our movements everywhere: on the street, in shops, stations and workplaces. Due to the development of computer technologies and their versatile use the issues related to personal data processing are gaining more and more importance. Video monitoring has become an integral part of modern reality. A video surveillance system is a technological tool that allows people to have enhanced perception of the events. The video monitoring system developed quite quickly and covered many areas of people's activities. All this is due to the fact that it makes people feel safer. That is why employers actively use video surveillance in labor relations, including in the workplace. All over the world, including in Georgia, the public and private sectors actively use video or video-audio monitoring systems in labor relations. The widespread use of video surveillance, as it is used today by private and public organizations, has a profound effect on people's behavior. Therefore, technologies play a major role in the processing of employees' personal data. The protection of employees' personal data is closely related to the fundamental right to respect for private life. During workplace video surveillance legal purpose based personal data processing has fundamental importance in order to protect the employee's right to inviolability of personal life which is vital and, among other rights, is one of the prerequisites for the implementation of the employer's interests. It is important for a private organization to implement video monitoring in the workplace only to achieve such a goal which would be impossible to achieve by other means, so that the right to privacy and confidentiality of employees is more protected.

Keywords: Video Surveillance, Personal Data Protection, Technologies, Video Monitoring in Labor Relations.

საჯარო სფეროში ზიანის ანაზღაურების თანამედროვე პრობლემები

ნუგზარ ფუტყარაძე

ასოცირებული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

gvbatumi@gmail.com

აბსტრაქტი: ნაშრომის ყურადღების ცენტრშია, საჯარო სფეროში ზიანის ანაზღაურების პრობლემა. საქართველოს და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ნაშრომის მიზანია როგორც თეორიული ასპექტების ასევე უმნიშვნელოვანესი სასამართლო განმარტებების წარმოჩენა. ნაშრომის ავტორის ძირითადი მიგნებებია: ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ სხვადასხვა სუბიექტს. არსებობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, სოლიდარული პასუხისმგებლობა და საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობა; პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი; განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს, საჯარო მოხელე, რომლის ქმედებამაც გამოიწვია ზიანი, სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში; ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: დამდგარი ზიანი, მართლწინააღმდეგობა - უკანონო ბრალდება/მსჯავრდება, მიზეზობრივი კავშირი უკანონო ბრალდებას/მსჯავრდებასა და დამდგარ ზიანს შორის, აგრეთვე, პირის მარეაბილიტრებული გარემოება ნაშრომი ხელს შეუწყობს პრაქტიკოს და თეორეტიკოს იურისტებსა და სტუდენტებს სამართლის სხვადასხვა ნორმებთან მიმართებით ერთგვაროვანი პრაქტიკის გააზრებასა და ნორმის პრაქტიკული რეალიზაციის აღქმაში

საკვანძო სიტყვები: ზიანის ანაზღაურება, საჯარო სფერო, ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა.

Contemporary Challenges in Addressing Compensation of Damages in Public Sector

Nugzar Phutkaradze

Associate professor, Batumi Shota Rustaveli State University

gvgatumi@gmail.com

Abstract: the focus of the paper is the problem of compensation for damages in the public sphere. According to the norms of Georgian and international law, the damages caused illegally by the state, autonomous republic and local self-government bodies are guaranteed to be fully compensated by the state, autonomous republic, and local self-government funds. The aim of the work is to present both theoretical aspects and the most important judicial definitions. The main conclusions of the author of the paper are: the responsibility for the damage caused by the action of the administrative body can be assigned to different entities. There is responsibility of the state, joint responsibility and responsibility of civil servants; Liability arises only if the damage was a direct and unavoidable result of the action of the person causing the damage; In case of intent or gross negligence, the public official whose action caused the damage shall be jointly and severally liable with the state; The action causing damage must be related to the exercise of public legal authority, and attention must be focused not on the person committing the action, but on the function, the performance of which can be served by the activity carried out by the state or civil servant, in each specific case; The existence of the following prerequisites is necessary for the origination of the obligation to compensate for damages: existing damage, violation of law - illegal accusation/conviction, causal connection between illegal accusation/conviction and pending damage, as well as an exculpatory circumstance of the person. in understanding and perceiving the practical realization of the norm

Keywords: Compensation for Damage, Public Sphere, Participation of Administrative Bodies.

უკრაინასა და საქართველოს შორის თანამშრომლობა ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის ქრილში

ოლენა ლეფტეროვა

დოქტორანტი, ოდესის მეჩნიკოვის ეროვნული უნივერსიტეტი

lenafterova@ukr.net

აბსტრაქტი: ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლი იცავს ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს თავისი იდენტობა, მათ შორის ეროვნება, კანონით განსაზღვრული სახელი და ოჯახური ურთიერთობები უკანონო ჩარევის გარეშე. კვლევის მთავარი მიზანია გამოიკვლიოს თანამშრომლობა უკრაინასა და საქართველოს შორის ბავშვის უფლების კონტექსტში, რათა შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა რთულ ვითარებაში, ამ ქვეყნების ისტორიული მისიის გათვალისწინებით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ქრილში. ამასთან, ბავშვები საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილია, როდესაც საქმე ეხება ოჯახური ურთიერთობების იდენტიფიცირებას, განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტებისა და ოკუპაციის დროს. კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობოდა კანონმდებლობის, საერთაშორისო კონვენციებისა და უკრაინასა და საქართველოს შორის ხელშეკრულებების ანალიზს. მეორე მხრივ, კვლევა ეფუძნება სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის კვლევას საჯარო წყაროებიდან, როგორცაა იუნისეფისა და გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ანგარიშები. ჩვენი დასკვნები მიუთითებს, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის კონსოლიდაციის ზრდა იწვევს მე-8 მუხლით გარანტირებული ბავშვის უფლებების რეალიზაციის გაუმჯობესებას. გავრცელებული მოსაზრებების საპირისპიროდ, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა გადასაჭრელი, უკრაინასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გზით, ბავშვის უფლებების დაცვის სისტემის განვითარებისთვის.

Keywords: ბავშვთა უფლებები, იდენტობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები.

Cooperation Between Ukraine and Georgia in the Child's Right Protection Under Article 8 of Convention on the Rights of the Child

Olena Lefterova

PhD Student, Odesa Mechnikov National University

lenalefterova@ukr.net

Abstract: Article 8 of Convention on the Rights of the Child declares protection of the child's right to preserve his or her identity, including nationality, name and family relations as recognized by law without unlawful interference. The main objective of research is to explore the cooperation between Ukraine and Georgia in the context of child's right to preserve their identity in difficult circumstances, considering historical mission of these countries in the field of struggle for freedom and independence. Moreover, children are the most vulnerable part of society when it comes to the identification of family relations, especially in the times of armed conflicts and occupation as well. Research has primarily relied on the analysis of legislation, international conventions and treaties between Ukraine and Georgia. On the other hand, research is based on investigation of statistical data and information from public sources, such as UNICEF's and UN Refugee Agency's reports. Our findings indicate that the rise of consolidation between Ukraine and Georgia leads to improvement of realisation of the child's rights guaranteed by Article 8. Contrary to what have already been assumed, there are still a lot of challenges to cope within order to develop the child's right protection system through the cooperation between Ukraine and Georgia.

Keywords: Rights of Child, Preservation of Identity, International Treaties, UNICEF.

შემოქმედების თავისუფლება და ინტელექტუალური საკუთრების უფლება: გამონვევები იდეალური ბალანსის ძიებაში

ოლიგო კობახიძე

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

o.kobakhidze@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: შემოქმედების თავისუფლებასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებას შორის ბალანსი წარმოადგენს ერთ-ერთ კომპლექსურ და რთულ სამართლებრივ საკითხს. ერთის მხრივ, ადამიანს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი თავი თავისუფლად, შემოქმედებითად და ეს თავისუფლება აუცილებელია კულტურისა და საზოგადოების განვითარებისთვის. თუმცა, მეორე მხრივ, საავტორო უფლებების მფლობელებს აქვთ უფლება დაიცვან თავიანთი ინტელექტუალური საკუთრება არაავტორიზებული გამოყენების, რეპროდუცირებისა თუ სხვაგვარი უნებართვო გამოყენებისაგან. ამ ორ დაპირისპირებულ ინტერესს შორის ბალანსის დასამყარებლად შემუშავდა სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩოები. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი საავტორო უფლებების მფლობელებს უქმნის საკანონმდებლო ბაზას, რათა დაიცვან თავიანთი შემოქმედება დარღვევისაგან. ამავდროულად, სამართლიანი გამოყენება და სხვა გამონაკლისები საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობით უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლების გარკვეულ შესაძლებლობას ხელოვანთათვის, მეცნიერთათვის და ა.შ. ამ უფლებების დაბალანსების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამონვევაა იმის დადგენა, თუ რას წარმოადგენს სამართლიანი გამოყენება. სამართლიანი გამოყენება არის იურიდიული დოქტრინა, რომელიც საშუალებას იძლევა საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების შეზღუდულ გამოყენებას ნებართვის გარეშე, როგორცაა მაგალითად კრიტიკის, კომენტარების, ახალი ამბების გაშუქების, სწავლების, სტიპენდიის ან კვლევის მიზნით გამოყენება. თუმცა, იმის დადგენა, თუ რას წარმოადგენს სამართლიანი გამოყენება, შეიძლება იყოს სუბიექტური და საკამათო საკითხი. ამ უფლებების დაბალანსების კიდევ ერთი გამონვევაა ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპი. ციფრული მედიისა და ინტერნეტის ზრდასთან ერთად, კიდევ უფრო მარტივი გახდა, საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების ნებართვის გარეშე რეპროდუცირება და გავრცელება. ამან გამოიწვია მეკობრეობის გავრცელება და არაავტორიზებული გამოყენება, რამაც სულ უფრო გაართულა საავტორო უფლებების მფლობელებისთვის მათი ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

Keywords: შემოქმედების თავისუფლება, ინტელექტუალური საკუთრება, სამართლიანი გამოყენება.

Freedom of Creativity and Intellectual Property Rights: Challenges in Search of an Ideal Balance

Oliko Kobakhidze

PhD Student, Sulkhani Saba Orbeliani University

o.kobakhidze@sabauni.edu.ge

Abstract: The balance between creative freedom and intellectual property rights is one of the most complex and difficult legal issues. On the one hand, a person has the right to express himself freely, creatively, and this freedom is necessary for the development of culture and society. However, on the other hand, copyright owners have the right to protect their intellectual property from unauthorized use, reproduction, or other prohibited utilization. Legal and ethical frameworks have been developed to strike a balance between these two competing interests. Intellectual property law provides copyright owners with a legal framework to protect their creations from infringement. At the same time, fair use and other exceptions to copyright law provide some scope for freedom of expression for artists, scientists, etc. One of the most important challenges in balancing these rights is determining what constitutes fair use. Fair use is a legal doctrine that allows limited use of a copyrighted work without permission, such as for criticism, commentary, news reporting, teaching, scholarship, or research. However, determining what constitutes fair use can be a subjective and controversial matter. Another challenge in balancing these rights is the rapid pace of technological change. With the growth of digital media and the internet, it has become even easier to reproduce and distribute copyrighted work without permission. This has led to the proliferation of piracy and unauthorized use, making it increasingly difficult for copyright owners to protect their intellectual property.

Keywords: Creative Freedom, Intellectual Property, Fair Use.

მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და გამოსწორება

ომარ ფარტენაძე

ასოცირებული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

omar.phartenadze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი: მსჯავრდებულის რესოციალიზაცია საქართველოს სისხლისა და სასჯელთაღსრულებითი სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულებაა. რესოციალიზაციის მიზანი დასრულებულია მაშინ, როდესაც მოხდება ადრე ნასამართლავი პირის სრული სამართლებრივი და სოციალური რეაბილიტაცია. სოციალურ რეაბილიტაციას გააჩნია საზოგადოებაში ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის გაუმჯობესების მიზანი, რა დროსაც მსჯავრდებულმა სოციალურად გამართლებული ურთიერთობა უნდა დაამყაროს თავის ოჯახთან, სკოლასთან (როდესაც საუბარია მოზარდზე), მეზობლებთან, მეგობრებთან, შრომით კოლექტივთან და იმ პიროვნებებთან, ვისთანაც ატარებდა თავის თავისუფალ დროს. აღნიშნული პროცესის განხორციელებაში მსჯავრდებულს დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფო შესაბამისი სტრუქტურის დახმარებით და საზოგადოებაც აღმოჩნდება ჩართული რესოციალიზაციის პროცესში. რესოციალიზაცია არ შეიძლება გაიგივდეს გამოსწორებასთან, რადგანაც გამოსწორების პროცესი გაცილებით ფართე ცნება და შრომატევადი საქმიანობაა, რაც გაცილებით მეტ დროს მოითხოვს ვიდრე რესოციალიზაცია. გამოსწორებაში იგულისხმება შესაბამისი ხასიათის ზემოქმედების კომპლექსური პროცესი, ხოლო სოციალური რეაბილიტაცია (რესოციალიზაცია) გულისხმობს მსჯავრდებულის ადაპტაციას (შეგუების პროცესს) გარესამყაროსთან. რაც შეეხება მიზნებს, უნდა გაიმიჯნოს სასჯელის და სასჯელთაღსრულებითი მიზნები ერთმანეთისაგან. რესოციალიზაცია ვერ იქნება სასჯელის მიზანი, რადგანაც სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილის განხორციელების პოლიტიკა არ მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელიც დაარეგულირებდა მსჯავრდებულის საზოგადოებაში ადაპტაციის ეტაპებსა და პირობებს. სასჯელთაღსრულებითი პოლიტიკისთვის კი საკვანძო მნიშვნელობისაა. სასჯელის აღსრულების ძირითადი მიზანი უნდა გახდეს მსჯავრდებულის გამოსწორება და მისი შემდგომი რესოციალიზაცია. თანამედროვე საზოგადოება იმყოფება სერიოზული ტრანსფორმაციის პროცესში, ამიტომაც აუცილებელია სწრაფვა დინამიკური სოციალიზაციისაკენ. დღეს არსებულ ცხოვრების პირობებზე და ქვეყნის წესებზე უბრალო გარეგნული შეგუება არაა საკმარისი. მსჯავრდებულის პიროვნების მსოფლმხედველობის შეცვლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის დარწმუნებას, შთაგონებას, რომ საჭიროა ცხოვრების ახალი, მისაღები და დასაშვები მიმართულებების ათვისება. შთაგონების თეორია, რომელიც შემოგვაქვს განხილვაში და დაიტვირთება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პროცესებით, სწორედ ამას გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები: მსჯავრდებული, სასჯელი, მიზანი, ადაპტაცია, რეაბილიტაცია.

Social Rehabilitation-resocialization and Correction of Convicts

Omar Phartenadze

Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

omar.phartenadze@bsu.edu.ge

Abstract: Resocialization of the convict is one of the main strategic directions of criminal and penal law policy of Georgia. The goal of resocialization will be completed when the previously convicted person is fully rehabilitated in legal and social terms. Social rehabilitation has the goal of improving the quality of human relationships in society, during which the convicted person should establish a socially justifiable relationship with his family, school (when talking about a teenager), neighbors, friends, work team and those individuals with whom he spent his free time. In implementing the said process, the state provides great assistance to the convicted person with the help of the relevant structure, and the society will also be involved in the process of resocialization. Resocialization cannot be equated with correction, because the process of correction is a much broader concept and time-consuming activity, which requires much more time than resocialization. Correction refers to a complex process of appropriate character impact, while social rehabilitation (resocialization) refers to the convict's adaptation (adjustment process) to the outside world. As for the goals, the goals of the punishment and the penal goals should be distinguished from each other. Resocialization cannot be the goal of punishment because the policy of implementing the material part of the criminal law does not include such issues that would regulate the stages and conditions of adaptation of the convict in society. It is of key importance for penal policy. The main goal of the execution of the sentence should be the correction of the convict and his further resocialization. Modern society is in the process of serious transformation, that is why it is necessary to strive for dynamic socialization. It is not enough to adapt to the living conditions and rules of behavior existing today. When changing the worldview of the convicted person, it is of particular importance to convince and inspire him that it is necessary to adopt new, acceptable, and permissible directions of life. The theory of inspiration, which we will introduce into the discussion and will be loaded with various important psychological processes, implies just this.

Keywords: Convict, Punishment, Goal, Adaptation, Rehabilitation.

ნორმის ნორმატიულ შინაარსზე კონტროლი და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციური ტრანსფორმაცია

პაატა ჯავახიშვილი

ასოცირებული პროფესორი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

paata.javakhishvili@tsu.ge

აბსტრაქტი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა. საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის, სტატუსი, თუმცა ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებით საკონსტიტუციო სასამართლომ გააფართოვა საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების დადგენილი ფარგლები და საკონსტიტუციო კონტროლის ახალი პრაქტიკა ჩამოაყალიბა. კერძოდ, ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენით საკონსტიტუციო სასამართლომ საფუძველი ჩაუყარა ფაქტობრივი რეალური კონტროლის განხორციელებას საქართველოში. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის გამოყენების შინაარსის დადგენას. ამ უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმის სხვადასხვა განმარტების მეთოდის გამოყენებით, ადგენს ნორმის ნორმატიულ ბუნებას, მის გრამატიკულ მნიშვნელობას, ითვალისწინებს ნორმის გამოყენების პრაქტიკას და ადგენს კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებების შინაარსთან მის თავსებადობას. ამ უფლებამოსილების ფარგლებში მოწმდება არა მხოლოდ ნორმატიული აქტის ტექსტუალური მხარე, არამედ, ასევე, საჯარო ხელისუფლების მიერ ნორმის შინაარსისა და მისი გამოყენების კონსტიტუციურობა. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შექმნა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. თუმცა ეს უფლებამოსილება სასამართლოს სუბსიდიურ კომპეტენციას მიეკუთვნება, რომელიც მას მიენიჭა არა კანონმდებლის მიერ, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციური შესაძლებლობების ინსტიტუციური გაძლიერებით, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ამ უფლებამოსილების განხორციელების ცალკე განსაზღვრული სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობაში. საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლოდროინდელი პრაქტიკით, დამატებითი საკანონმდებლო საფუძვლების შექმნის გარეშე, შეძლო საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლების გაზრდა, კომპეტენციური ტრანსფორმაცია და ფაქტობრივი რეალური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ ჩამოაყალიბდა. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენის უფლებით საკონსტიტუციო სასამართლომ საკონსტიტუციო კონტროლის ახალ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი. წინამდებარე მოხსენებაც სწორედ ნორმის ნორმატიული შინაარსის ნორმატიულ ბუნებას და მისი განვითარების პრაქტიკის ძირითად თავსებურებებს შეეხება.

საკვანძო სიტყვები: ნორმატიული შინაარსი, საკონსტიტუციო კონტროლი, ნეგატიური კანონმდებელი, პოზიტიური ნორმაშემოქმედი, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.

Control Over the Normative Content of the Norm and the Constitutional Court Competence Transformation

Paata Javakhishvili

Associate Professor, Sulkhani-Saba Orbeliani University

paata.javakhishvili@tsu.ge

Abstract: Constitutional Court of Georgia is an organ, that implements constitutional control. The status of Constitutional Court of Georgia, as negative legislator, is ensured by the Constitution, however, by the decisions of last period, Constitutional Court increased the borders of constitutional control and established new practice of constitutional control. Namely, by ascertaining constitutionality of normative contents of norm, Constitutional Court lay the foundation of using de facto real control in Georgia. The constitutional control on normative content of norm implies establishing the using of disputing norms, by the constitutional law. In the borders of this authority, Georgian Constitutional Court, by using the norms different definition states its normative nature and grammatical meaning, it takes into consideration using the norms in practice and states its suitability with the human rights that is defined by the Constitution. In the borders of this authority, not only text is checked, but also content of norms and the constitutional usage is checked by the public authority. On the base of ascertainment, the constitutionality of normative content of norm, Constitutional Court of Georgia created important institute to protect the human rights. However, this authority belongs to the subsidiary competency of the court, which was empowered to it not by the legislator, by institutional strengthening of the competent capacities of the Constitutional Court, but by the Constitutional Court's own decision. Accordingly, separate specified legal base ascertainment of this authority does not exist in legal system of Georgia. Constitutional Court to its last period practice, without creating additional legislative basis could increase its authority, transformation of own competence and formed as overseer of de facto real control organ. Constitutional Court via the right of estimation the constitutionality normative content of norm lay the foundation to a new way of constitutional control. The present report will also touch on the normative nature of the normative content of the norm and the main compatibility of its development practice.

Key words: Normative Content of the Norm, Constitutional Control; A Negative Legislator, A Positive Norm-maker, The Case Law of the Constitutional Court.

ბავშვის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების სამართლებრივი გარანტიები

დარეჯან სალდაძე

მინვეული ლექტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
dsaldadze@gyla.ge

აბსტრაქტი: მართლმსაჯულების სწორი და ეფექტიანი განხორციელება რჩება სახელმწიფოს მთავარ ამოცანად მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების ყველასთვის გარანტირებულობა მნიშვნელოვანია. მართალია, სასამართლო არის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ ის ხშირად წარმოადგენს ერთადერთ ეფექტიან სამართლებრივ მექანიზმს, რომლის მეშვეობით ადამიანი ახდენს თავისი ძირითადი უფლების რეალიზებას. ამ უფლების საყოველთაო აღიარების მიუხედავად, პრაქტიკაში სხვადასხვა გარემოება გამოორიცხავს ცალკეული ჯგუფების მიერ ამ უფლების განხორციელებას. ერთ-ერთი ასეთი მონყვლად კატეგორიას წარმოადგენენ ბავშვები, რომელთა მიერ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, საქართველოში „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიღებისა და შედეგად განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, სამართლებრივი რეგულირების განსხვავებულ სივრცეში მოექცა. აღნიშნული კოდექსის თანახმად ბავშვს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და ისარგებლოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემით, რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამომხატველი. ასევე, ბავშვის უფლებათა კოდექსის 74.3-ე, 79.1-ე და მე-80.3 მუხლების თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. ბავშვს აქვს ადვოკატის მონვევის უფლება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული რეგულირება სპეციალური კანონისგან განსხვავებულ რეგულაციებს განსაზღვრავს, რაც პრაქტიკაში წინააღმდეგობების მიზეზი ხდება. აღნიშნულმა თავის მხრივ გააჩინა საკითხის სისტემური და მრავალწახნაგოვანი გააზრების აუცილებლობა. რადგან მიუხედავად საკონონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებებისა, პრაქტიკაში ბავშვები ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობის მიღმა რჩებიან. შესაბამისად მნიშვნელოვანია, აღნიშნული კუთხით არსებული სამართლებრივი რეგულირების გააზრება და არსებული გამოწვევების დაიდენტიფიცირება საპასუხო გზების უკეთ განსაზღვრის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ბავშვის უფლებები, სასამართლოზე წვდომის უფლება, ადვოკატზე წვდომის უფლება.

Legal Guarantees for Child's Right to Access to Court

Darejan Saldadze

Visiting Lecturer, Akaki Tsereteli State University

dsaldadze@gyla.ge

Abstract: It is important to guarantee a right to access to court for everyone because an effective administration of justice is the core task of the state at any stage of its development. Although court is one of the remedies to protect one's rights, often it is the only viable tool for a person. Even though the right to access to court is internationally recognized, certain practical aspects still hinder some groups from realizing it. One of those vulnerable groups is children. In fact, after the adoption of Childrens' Rights Code right to address to court is regulated differently for children. According to the Code a child has a right to address the court or administrative body and participate in the proceedings directly or through a representative. Moreover, judiciary should be accessible to a child, respectful to his/her dignity and private life, coherent, fair, fast, and fully adapted to his/her needs. Similarly, the proceedings should be easily understandable for him/her. It is also important to note that in certain cases regulation established by the Civil Code of Georgia is different from that of Childrens' Rights Code which causes contradictions in practice. This necessitates a new and systemic approach to the issue because, despite the mentioned reforms, sometimes children are still unable to access the court. In fact, in certain cases they have no standing or procedural capacity and children are entirely dependent on others. Consequently, it is important to identify an array of challenges surrounding this issue and offer meaningful solutions.

Keywords: Children's Rights, Right to Access to Court, Right to Access to a Lawyer.

სასამართლოს მიხედულობა ქალთა უფლებათა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების (შემაკავებელი/დამცავი ორდერის) გამოცემისას და მისი აღსრულების პრობლემური ასპექტები

სალომე წიკლაური

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

sa.tsiklauri@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: ქალთა უფლებათა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების არსებობა სოციალური სიმშვიდის საწინდარია, რაც რეგულირდება შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემით. იმ პირობებში, როდესაც მოძალადე მოქმედებს მსხვერპლზე, მსხვერპლის დაცვის მიზნით, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი გამოსცემს შემაკავებელ ორდერს, რომელსაც მოძალადის მხრიდან გასაჩივრების შემთხვევაში, აუქმებს ან ძალაში ტოვებს სასამართლო. ამ მხრივ, პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიხედულობა, თუ რა კრიტერიუმით აფასებს იგი შედგენილი შემაკავებელი ორდერის სისწორეს და რამდენად გამართლებულია არსებული პრაქტიკა შემაკავებელი ორდერის ძალაში დატოვების ან მისი გაუქმების შემთხვევაში. რაც შეეხება დამცავ ორდერს, მისი გამოცემის კომპეტენცია სასამართლოს ეკუთვნის და შესაბამისად, ძალადობის ფაქტის დადგენის პასუხისმგებლობაც სასამართლოს ეკისრება. შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემა ფორმალურად გულისხმობს, რომ მსხვერპლი დაცულია მოძალადისგან, თუმცა მისი აღსრულების საკითხი შეკითხვებს ბადებს. სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია გადაამოწმოს შემაკავებელი/დამცავი ორდერით გათვალისწინებული პირობების შესრულება. პოლიციელი ვალდებულია, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მსხვერპლთან, პერიოდულად გამოცხადდეს მსხვერპლის მისამართზე და აკონტროლოს მოძალადის ქცევა. ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ ძალადობა, ყველა შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ცალსახად განჭვრეტადი. მითუმეტეს, როდესაც მოძალადე აცნობიერებს, რომ მის მიმართ გამოიყენება დასჯითი ღონისძიებები. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მხრიდან შემაკავებელი ორდერის გამოცემის მიუხედავად, ფატალური შედეგი დამდგარა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოლიციელს ეკისრება ვალდებულება, მსხვერპლთან გამოცხადების შემთხვევაში, თუ იქ იმყოფება მოძალადე (თუნდაც მსხვერპლის ნებით), მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და აღძრას სისხლის სამართლის საქმე მოძალადის მიმართ. ამდენად, ქალთა უფლებების დაცვისას მნიშვნელოვანია, როგორც სამართალდამცავი ორგანოს, ისე სასამართლოს მხრიდან სწორი მიხედულობა. სასამართლოს მიხედულობა შემაკავებელი/დამცავი ორდერის დამტკიცებისას არსებითია, ხოლო სამართალდამცავი ორგანოს როლი მისი აღსრულების მხრივ გადამწყვეტი, თუმცა არასწორი შედეგის მიღების შემთხვევაში აზიანებს მსხვერპლის ან ე.წ. მოძალადის ფუნდამენტურ უფლებებს.

საკვანძო სიტყვები: სასამართლოს მიხედულობა, დამცავი ორდერი, შემაკავებელი ორდერი, ქალთა უფლებები, ორდერების აღსრულება.

**Consideration of the Court When Issuing Legal Mechanisms
for Protecting Women's Rights (Restraining/Protective Order)
and Problematic Aspects of Its Execution**

Salome Tsiklauri

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

sa.tsiklauri@sabauni.edu.ge

Abstract: The existence of legal mechanisms for the protection of women's rights is a sign of social peace, which is regulated by issuing a restraining/protective order. In the conditions when the abuser acts on the victim, in order to protect the victim, the employee of the relevant law enforcement agency issues a restraining order, which, in the event of an appeal by the abuser, is canceled or left in force by the court. In this regard, from a practical point of view, it is important for the court to consider the criteria by which it evaluates the correctness of the drawn-up restraining order and to what extent the existing practice is justified in case of leaving the restraining order in force or canceling it. As for the protective order, the competence to issue it belongs to the court, and accordingly, the responsibility of establishing the fact of violence rests with the court. Issuing a restraining/protective order formally implies that the victim is protected from the abuser, but its enforcement raises questions. The law enforcement body is obliged to verify the fulfillment of the conditions stipulated by the restraining/protective order. The police officer is obliged to have constant communication with the victim, to periodically appear at the victim's address and to monitor the behavior of the aggressor. It should be noted that violence is not clearly foreseeable in all cases. Especially when the abuser realizes that punitive measures are being taken against him. In practice, there have been cases where, despite the court issuing a restraining order, death has occurred. It is also important that the police officer is obliged, if the victim is informed about the presence of the abuser (even with the victim's will), to react accordingly and initiate a criminal case against the abuser. Thus, the discretion of the court in approving the restraining/protective order is essential, and the role of the law enforcement agency is crucial in terms of its execution, however, in the case of wrong results, it damages the victim's or the so-called fundamental rights of the abuser.

Keywords: Consideration of the Court, Restraining Order, Protective Order, Women's Rights, Orders Execution.

სამოქალაქო უფლებები და „უხილავი“ დისკრიმინაცია ლგბტქ+ ადამიანების მიმართ

სანდრო-გიორგი სარუხანიშვილი

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

sandro-giorgi.sarukhanishvili@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: სამოქალაქო სამართალი თავისუფალ ნებაზე დამყარებულ სამართლებრივად თანასწორი სუბიექტების, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ურთიერთობებს აწესრიგებს. ეს ის სამართლის დარგია, რომელშიც შესაძლებელია ორ სუბიექტს შორის გარიგები სახელმწიფოს ჩაურევლად, თუმცა განსხვავდება სახელმწიფოს მიდგომა, როდესაც საქმე შეეხება ლგბტქ+ ადამიანებს. თითქოს არ ჩანს სახელმწიფოს დისკრიმინაციული მიდგომა, თუმცა პრაქტიკაში ეს ყველაზე მეტად შესამჩნევია. მოხსენებისას განხილული იქნება ლგბტქ+ წყვილების მიმართებით ეროვნული ბანკის მიერ დაკრედიტების მონესრიგება ფიზიკური პირებისათვის და განსხვავებული მოპყრობა თანამსესხებლობით სესხისასევე განხილული იქნება საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის დევნის პერსპექტივები სხვა საერთაშორისო/ჰიბრიდული ტრიბუნალებისა და შიდა სასამართლოების მიერ. აღებისას. ასევე განხილული იქნება საოჯახო სამართლიდან გამომდინარე დისკრიმინაციული მიდგომები. განხილული იქნება სამოქალაქო კავშირის მნიშვნელობა ლგბტქ+ წყვილებისთვის, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათი ინტერპრეტაცია საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. ეროვნული ბანკის დაკრედიტების ინსტრუქციის თანახმად, თანამსესხებლობის შემთხვევაში თუ მსესხებლები ერთმანეთთან ოჯახურ კავშირში იმყოფებიან, მაშინ მათი შემოსავლები დაითვლება ჯამურად, ხოლო თუ მსესხებლები არ არიან ოჯახურ კავშირში ან არ ეწვიან საერთო მეურნეობას, მაშინ მათი შემოსავლები დაითვლება ცალ-ცალკე. ეროვნულ ბანკს აქვს დამატებითი რეგულაცია თუ როგორ უნდა მოხდეს პირის დაკრედიტება, კერძოდ, ერთ-ერთი კრიტერიუმია პირის შემოსავლების შესაბამისობა ყოველთვიური შენატანთან მიმართებით. შესაბამისად, როდესაც ლგბტქ+ წყვილი მიმართავს ბანკებს, ისინი ვალდებული არიან ცალ-ცალკე ჰქონდეთ იმდენი შემოსავალი, რომელიც საკმარისი იქნება სესხის აღებისთვის, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საოჯახო მეურნეობაში მყოფი მსესხებლებისთვის. ამასთანავე, ეროვნული ბანკი საოჯახო მეურნეობის განმარტებისას ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც არ აღიარებს ლგბტქ+ წყვილებს, შესაბამისად, მათი უფლებრივი მდგომარეობა განსხვავდება სხვა მსესხებლებისგან, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ოფიციალურ ქორწინებაში, მაგრამ ჩაითვალოს საერთო საოჯახო მეურნეობაში ჩართულ პირებად. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან აღიარებულ იქნეს ლგბტქ+ წყვილები კანონის დონეზე, რომლის ერთ-ერთი მექანიზმი სამოქალაქო კავშირის დაკანონებაა.

საკვანძო სიტყვები: ლგბტქ+ პირთა უფლებები, თანასწორობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, სამოქალაქო პარტნიორობა.

Civil Rights and “Invisible” Discrimination Against LGBTQ+ Community

Sandro-Giorgi Sarukhanishvili

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

sandro-giorgi.sarukhanishvili@sabauni.edu.ge

Abstract: Civil Law regulates relationships based on the free will of equal people whether they are legal persons or natural persons. This is a field of law in which a transaction between two persons is possible without the intervention of the state, although the approach of the states differs when it comes to LGBTQ+ people. It seems that the discriminatory approach of the state is not visible, although in practice it is most noticeable. The conference paper discusses the regulation of Bank Crediting of individuals by the National Bank of Georgia, which has different treatment regarding taking loans from the banks when co-borrowers are LGBTQ+ couples. Discriminatory approaches from family law are also discussed, in particular, the importance of civil union for LGBTQ+ couples, the decisions of the European Court and their interpretation considering the reality of Georgia. According to the Bank Crediting Instruction of the National Bank, in the case of coborrowing, if the borrowers are in a family relationship with each other, then their incomes will be counted as a total. If the borrowers are not in a family relationship or do not engage in a joint household, then their incomes will be counted separately. The National Bank has an additional regulation on how to credit a person, in particular, one of the criteria is the compliance of the person's income with regard to the monthly payment. Therefore, when LGBTQ+ couples apply to banks, they are required to have enough income separately to qualify for a loan that is provided for household borrowers. In addition, the National Bank's definition of household relies on the legislation of Georgia, which does not recognize LGBTQ+ couples, therefore, their legal status differs from other borrowers, who may not be in an official marriage but are considered as persons involved in a joint household. In order to solve the mentioned problem, it is necessary for the state to recognize LGBTQ+ couples at the level of the law, one of the mechanisms of which is the legalization of civil unions.

Keywords: LGBT+ Rights, Equality, Non-Discrimination, Civil Partnership.

სახელმწიფო შესყიდვები შესახებ სისხლის სამართალში: სატენდერო თაღლითობის დანაშაული თურქულ სამართალში

სელმან დურსუნი

პროფესორი, სტამბოლის უნივერსიტეტი

selmandursun@yahoo.com

აბსტრაქტი: სატენდერო პროცესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის, აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას საქონელისა და მომსახურების შეძენა განხორციელდეს უფრო დაბალ ფასად ან უკეთესი ხარისხით. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ტენდერის მონაწილეებს შორის ქეშმარიტი კონკურენციის არსებობის შემთხვევაში. სატენდერო თაღლითობა (რაც ასევე ცნობილი, როგორც სატენდერო გაყალბება ან შეთანხმებული ტენდერი) ხელს უშლის აღნიშნული მიზნის მიღწევას, თაღლითობა ან იძულება ამახინჯებს კონკურენციას. შეთანხმებული ვაჭრობის დროს პოტენციური პრეტენდენტები კონსპირაციულად ახორციელებენ ფასების გაზრდას ან ხარისხის შემცირებას საქონელსა თუ სერვისზე. სატენდერო თაღლითობა განსაკუთრებით საზიანოა სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში. ასეთი შეთქმულებები, თაღლითური ან იძულებითი ქცევები აზიანებს საჯარო რესურსებს, ამცირებს საზოგადოების ნდობას კონკურენტული პროცესის მიმართ და ძირს უთხრის კონკურენტული ტენდერის სარგებელს. ტენდერის გაყალბება უკანონო ქმედებაა ბევრ ქვეყანაში. ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული ქმედება კვალიფიცირდება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. თურქეთში სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება სპეციალური კანონებით. 2005 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლით კრიმინალიზირებულია თაღლითობა სახელმწიფო შესყიდვებში (რასაც შეიძლება ეწოდოს სატენდერო თაღლითობის დანაშაული). წინამდებარე ნაშრომში ძირითადად გაანალიზებული იქნება აღნიშნული სისხლის სამართლის დებულება, საჭიროებისამებრ, სხვა სამართლებრივ აქტებზე მითითებით.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, სახელმწიფო, ტენდერი, კონკურენცია, თაღლითობა.

Public Procurement Penal Law: Tender Fraud Crime in Turkish Law**Selman Dursun**

Professor, Istanbul University, Turkey

selmandursun@yahoo.com

Abstract: In general, it is possible to say that a competitive bidding or tendering process is vital for the public and private institutions to procure goods or services at lower prices or better quality. This goal can only be achieved if the tenderers genuinely compete, i.e., set their terms and conditions honestly and independently. However, tender (procurement) fraud (also known as bid rigging or collusive tendering) hinders the achievement of this goal. In this context, the fraudulent or coercive behaviors distort the competition. A collusive bidding takes place, especially when potential bidders conspire to raise prices or lower the quality of goods or services. Tender fraud can be particularly harmful if it affects public procurement. Such conspiracies, fraudulent or coercive behaviors harm public resources, diminish public confidence in the competitive process, and undermine the benefits of a competitive tendering. Bid rigging is an unlawful act in many countries and can be investigated and sanctioned under the competition law. Some countries also penalize these behaviors as a criminal offence. In Turkey, the tendering of public procurement regulated by special laws. These regulations include many administrative rules, principles, also prohibitions about tendering process. Article 235 of the Turkish Penal Code of 2005 criminalizes fraud in public procurement (can be called as tender fraud crime). In this paper, mainly this criminal provision will be analyzed and be referred to the related administrative regulations when appropriate.

Keywords: Turkey, State, Tender, Competition, Fraud.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირთა - დევნილთა საკუთრების უფლების ტრანსფორმაცია

სოფიო ბარნაბიშვილი

დოქტორანტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

sopio.barnabishvili20@gruni.edu.ge

აბსტრაქტი: მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის საკანონმდებლო განმარტებაზე და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ტერმინის სამართლებრივ შეფასებაზე. ყურადღება ეთმობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ცნების განსაზღვრებასა და იძულებით გადაადგილებული პირის-დევნილის უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობას. ამასთან, განხილულია გრძელვადიანი სახელმწიფო განსახლების ძირითადი პროგრამები, კომპაქტური დასახლებების ტიპოლოგია, საცხოვრებელი ფართების ტექნიკური პირობები და საცხოვრისი, როგორც დევნილთა დისკრიმინაციის არაპირდაპირი საფუძველი. გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება დევნილი პირებისათვის პრივატიზირებული ქონების მართვა და განკარგვა. დევნილთა საცხოვრისით დამკაცოფილების წესი იყო პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელმაც სათანადო საცხოვრისის სტანდარტს ჩაუყარა საფუძველი ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი სამართლის ყველა დონეზე აღიარებულია იძულებით გადაადგილებული პირების-დევნილების რესტიტუციის უფლება და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. მსჯელობის საკითხია დევნილთა თავშესაფრის უფლებისა და საკუთრების უფლების დაპირისპირების შემთხვევაში საკუთრების უფლების მეორეხარისხოვნება. საინტერესო შეფასებებია გაკეთებული საქართველოს სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებებში. ხაზგასმულია ჯონ ლოკის მოძღვრება საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, მასზედ რომ: „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შესაძლებელია ცალკეული პიროვნებისაგან მოთხოვნილ იქნას უარის თქმა სიცოცხლის უფლებაზე, მაგრამ მას ვერასდროს მოვთხოვთ უარის თქმას საკუთრების უფლებაზე“. მოხსენების ფარგლებში აღწერილია საქართველოს საზღვრისპირა სოფლებში საკუთრების უფლების წარმოშობის თავისებურებანი, გერმანული სამართლის ნორმის გაზიარების აუცილებელობა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ქონების რეგისტრაციის წესი. მოხსენებაში საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის სახელმწიფო პროგრამის თაობაზე და განხილულია განსახლების პროცესის მუნიციპალური პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: დევნილთა საკუთრების უფლება, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ცნება, რესტიტუციის უფლება, უძრავი ქონების დეკლარირება და აღრიცხვა.

Transformation of the Property Rights of the Displaced Persons Forcibly Displaced From the Occupied Territories of Georgia

Sopio Barnabishvili

PhD Student, Grigol Robakidze University

sopio.barnabishvili20@gruni.edu.ge

Abstract: The paper focuses on the legal definition of a forcibly displaced person and the legal evaluation of the said term by the Constitutional Court of Georgia. Attention is paid to the definition of the concept of a permanent place of residence and the possibility of the succession of rights of a forcibly displaced person-displaced person. In addition, the main programs of long-term state resettlement, the typology of compact settlements, and the technical conditions of living spaces and housing, as the indirect basis of discrimination against IDPs, are discussed. Management and disposal of privatized property for displaced persons are characterized by certain peculiarities. The rule on housing for IDPs was the first legal document that laid the foundation for the standard of proper housing in the Georgian legislative space. At all levels of international, regional, and local law, the right to restitution of displaced persons-displaced persons and the responsibility of the state is recognized. The issue of reasoning is the secondary nature of the right to property in the case of conflict between the right to asylum and the property right. Interesting assessments have been made in the decisions of Georgia's appeal and supreme courts. John Locke's struggle with property rights is emphasized: "It is possible for the public to require individuals to give up their right to life, but they can never be asked to give up their right to property." Within the framework of the paper, the features of the origin of property rights in the border villages of Georgia, the necessity of sharing the norm of German law, and the rules of property registration in the territory of Abkhazia are described. The paper analyzes the state program for declaring and registering real estate in the occupied territories of Georgia and the municipal policy of the resettlement process is discussed.

Keywords: Property Rights of the Displaced Persons, the Concept of a Permanent Place of Residence, the Right to Restitution, Declaring and Registering Real Estate.

ბიკამერალური პარლამენტი საქართველოს პერსპექტივაში

სოფიო დემეტრაშვილი

სამართლის დოქტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი
 ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
demetrashvili.sophio@gmail.com

ავთანდილ დემეტრაშვილი

პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
avtandil.demetrashvili@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მსოფლიოს ქვეყნებმა განიცადეს ტრანსფორმაცია და ჩამოყალიბდნენ როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია მაღალი სამართლებრივი კულტურა და იმართება კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე. მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულად და არცთუ იშვიათად წარუმატებლად მიმდინარეობს და ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად კვლავ რჩება ზოგადად სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობა, სახელდობრ კი, ორპალატიანი პარლამენტის ჩამოყალიბების იდეა საქართველოში. 1995 წელს საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მონყობისა და ორპალატიანი პარლამენტის ფორმირების შესაძლებლობა სამომავლოდ გადაიდო და იგი „ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის“ საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსის იურიდიულ ფაქტს დაუკავშირა. 30 წელი გავიდა, რაც საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ პარლამენტის ორპალატიანი სისტემის საჭიროება ივარაუდა. მაგრამ ამ იდეის რეალიზაცია ვერც 1995 წელს და ვერც კონსტიტუციის შემდგომი გადასინჯვების დროს სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ვერ მოხერხდა. ქვეყნის ძირითადი კანონი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“. სამწუხაროდ, დღემდე, ამ კონსტიტუციური ჩანაწერის სრულყოფაში მოყვანა შეუძლებელი აღმოჩნდა და საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანი სტრუქტურით ფუნქციონირებს. გარდა საქართველოს კონსტიტუციაში ცხადად ასახული ნებისა და ამ უკანასკნელის თაობაზე გარკვეული ხასიათის ზოგადი მინიშნებებისა, საკითხი სრულად ღიად არის დატოვებული და არსებოს დათქმა, რომლის მიხედვითაც, საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ორგანულ კანონზე, რომელსაც საქართველოს პარლამენტი მიიღებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. აღნიშნული კი თავისთავად დაკავშირებულია კვლავ კონსტიტუციურ ცვლილებებთან. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციამ განსაზღვრა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი: პარლამენტის ორპალატიანობა, შექმნის დრო, პალატების სახელწოდება, უფრო დეტალური რეგულირება კი, ორგანულ კანონს მიანდო.

საკვანძო სიტყვები: ბიკამერალური პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონი.

Bicameral Parliament in the Perspective of Georgia

Sophio Demetrashvili

Doctor of Law, PhD Student in Political Sciences
Associate Professor, Georgian Technical University,
demetrashvili.sophio@gmail.com

Avtandil Demetrashvili

Professor, Sulkhvan-Saba Orbeliani University
avtandil.demetrashvili@sabauni.edu.ge

Abstract: After the collapse of the Soviet Union, the countries of the world underwent a transformation and emerged as a legal state with a high legal culture and governed on the basis of the principle of the rule of law. Despite some progress, this process is quite painful and not infrequently unsuccessful, and one of the unsolved problems is still the territorial organization of the state in general, namely, the idea of establishing a bicameral parliament in Georgia. In 1995, the possibility of the territorial state organization of Georgia and the formation of a bicameral parliament was postponed to the future, and it was linked to the rather vague legal fact of "full restoration of Georgian jurisdiction over the entire territory of the country". 30 years have passed since the Constitution of Georgia on August 24, 1995 assumed the need for a bicameral system of the Parliament. But this idea could not be realized either in 1995 or during subsequent revisions of the constitution due to different opinions. The basic law of the country unequivocally establishes that "after the full restoration of Georgian jurisdiction over the entire territory of Georgia, the parliament will consist of two chambers: the Council of the Republic and the Senate." Unfortunately, until today, it was impossible to complete this constitutional record, and the Parliament of Georgia functions with a unicameral structure. Apart from the will clearly expressed in the Constitution of Georgia and some general hints about the latter, the issue is left completely open and the reservation of existence, according to which the resolution of the issue depends on the organic law, which the Parliament of Georgia will adopt after the full restoration of jurisdiction over the entire territory of Georgia. The above is related to the constitutional changes. Thus, the Constitution of Georgia defined several important issues: the bicameral nature of the Parliament, the time of its creation, the names of the chambers, and entrusted more detailed regulation to the organic law.

Keywords: Bicameral Parliament, Constitution of Georgia, Organic law.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობისა და მისი შედეგების შეუცვლელობის საკანონმდებლო გარანტიები

სოფიო ორმოცაძე

დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მინვეული ლექტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ormocadzesofia@gmail.com

აბსტრაქტი: ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების ქართული ფენომენისა და გადაწყვეტილების შეუცვლელობის უზრუნველყოფის შესახებ მნიშვნელოვანი ასპექტების წარმოჩენას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლს კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციით განმტკიცებულ ღირებულებათა დაცვა წარმოადგენს. კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცება მრავალმხრივი პროცესია და ხელისუფლების თითოეული შტოს ქმედით ჩართულობას საჭიროებს. ამგვარი ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებებით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტირების საკითხების წარმოშობის პროცესში. სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაცია მოიცავს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში, ხელისუფლების სხვა შტოების მიერ განხორციელებულ მოქმედებებს. კერძოდ, ახორციელებს თუ არა ანდა რა დრო სჭირდება პარლამენტს კანონმდებლობაში სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების ასახვისათვის. ასევე, როგორ იყენებს საერთო სასამართლოები ამ სტანდარტებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. შესაბამისად, ნაშრომში გაანალიზებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობის, კანონმდებლობაზე მისი გავლენისა და მიღწეული შედეგების შეუცვლელობის საკანონმდებლო გარანტიები. კერძოდ, ხორციელდება თუ არა დადგენილი კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების გონივრულ ვადაში რეალიზაცია, არსებული საკანონმდებლო გარანტიები საკმარისი არის თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და სასამართლოს საქმიანობის დინამიკაში შენარჩუნებისათვის. ასევე, პასუხისმგებლობის რა მექანიზმები მოქმედებს გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში და აკმაყოფილებს თუ არა ეფექტურობის სტანდარტს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, ნაშრომი ასახავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების იმპლემენტირების მნიშვნელობასა და გამოწვევებს და წარმოაჩენს გადაწყვეტილებათა გავლენას საქართველოს კანონმდებლობასა და სახელმწიფო ორგანოებზე.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილების შეუცვლელობა და საბოლოობა, სტანდარტების იმპლემენტირება, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემატიკა.

Legal Guarantees of the Finality of the Decision of the Constitutional Court of Georgia and the Immutability of Its Results

Sopio Ormocadze

PhD Student, Caucasus International University

Visiting Lecturer, Akaki Tsereteli State University

ormocadzesofia@gmail.com

Abstract: The paper aims at the Georgian phenomenon of the declaration of the normative content of the norm as invalid by the Constitutional Court of Georgia and presents the important aspects of ensuring the irreversibility of the decision. The role of the Constitutional Court of Georgia is to protect the supremacy of the Constitution and the values confirmed by the Constitution. Strengthening constitutional legality is a multifaceted process and requires the active involvement of each branch of government. This kind of involvement is especially important in the process of raising issues of implementation of the standards established by the decisions of the Constitutional Court. The implementation of the standards established by the court includes, in the process of execution of decisions made by the Constitutional Court, the actions carried out by other branches of the government. In particular, whether or not or how much time does the Parliament need to reflect the standards set by the court in the legislation. Also, how the common courts apply these standards in the process of administering justice. Accordingly, the paper analyzes the legal guarantees of the finality of the decision of the Constitutional Court, its influence on the legislation, and the immutability of the achieved results. In particular, whether the established constitutional and legal standards are implemented within a reasonable period of time, are the existing legal guarantees sufficient for the execution of court decisions, and for keeping the court's activity dynamic. Also, what mechanisms of responsibility apply in case of non-compliance with decisions and whether they meet the standard of efficiency. Based on the analysis of the practice of the Constitutional Court, the paper reflects the importance of implementing the constitutional standards established by the decisions of the Constitutional Court and presents the impact of decisions on Georgian legislation and state bodies, which in turn determines the place of the Constitutional Court in the system of division of power.

Keywords: The Constitutional Court, Irreversibility and Finality of the Decision, Standards Implementation, the Problem of Enforcement of Judgments.

საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები

ქეთევან ჩოკოშვილი

სამართლის მაგისტრი, კავკასიის უნივერსიტეტი
qetchokoshvili@gmail.com

გალინა დავლაშერიძე

სამართლის მაგისტრი, კავკასიის უნივერსიტეტი
galinadavlasheridze1996@gmail.com

აბსტრაქტი: ბოლო პერიოდის პანდემიური მდგომარეობის დაძლევის პრევენციისთვის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით უამრავმა ქვეყანამ ისარგებლა. სახელმწიფოში კრიზისის დაძლევისათვის განხორციელებული ქმედებებისას საჭიროა დაცულ იქნას საერთაშორისო კანონმდებლობით განმტკიცებული პრინციპები. საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს ძირითად უფლებათა დაცვის საკითხი ქართული რეალობისთვისაც აქტუალურია და მნიშვნელოვანია. ნაშრომი შეეხება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ბერკეტის სამართლებრივ შეფასებასა და ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოთათვის მინიჭებულ კომპეტენციათა შესაბამისობის დადგენას, ქვეყანაში დამკვიდრებულ კონსტიტუციურ წესრიგთან. ნაშრომში აღწერილია საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს ძირითად უფლებებზე ზემოქმედების ეროვნულ დონეზე დადგენილი სტანდარტების სამართლებრივი ბუნება და შესაბამისობა საერთაშორისო კანონმდებლობასთან, ასევე განსაზღვრულია მათი ხარვეზები და არაკონსტიტუციური ნიშან-თვისებები, რომლებმაც შესაძლოა სახელმწიფო სტაბილურობასა და დემოკრატიულობის ხარისხს საფრთხე შეუქმნას. ნაშრომში ასევე განხილულია ხელისუფლების განმახორციელებელ უმაღლეს ორგანოთა როლი და შეფასებულია მათი კომპეტენციის ფარგლები. დასკვნით ნაწილში მოცემულია განხორციელებული კვლევის შემაჯამებელი ანალიზი და მის საფუძველზე შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციები ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა კომპეტენციებზე. საქართველოს კონსტიტუციაში საგანგებო და საომარი მდგომარეობის მარეგულირებელი ნორმის დახვეწისა და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შემოთავაზებულია სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმისათვის მიზანშეწონილი ცვლილებები.

საკვანძო სიტყვები: საომარი და საგანგებო მდგომარეობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეროვნული სტანდარტები, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები, რეკომენდაციები.

Constitutional Grounds for Limiting Basic Rights and Freedoms During the State of Emergency and War

Ketevan Chokoshvili

Master of Laws (LLM), Caucasus University

qetchokoshvili@gmail.com

Galina Davlasheridze

Master of Laws (LLM), Caucasus University

galinadavlasheridze1996@gmail.com

Abstract: Many countries took advantage of the declaration of a state of emergency to prevent the recent pandemic situation. During the actions taken to overcome the crisis in the state, it is necessary to observe the principles established by international treaties. The issue of protection of basic rights during the state of emergency and war is also relevant and important for the Georgian reality. The paper deals with the legal evaluation of the level of restriction of basic human rights and freedoms during the state of emergency and war, as established by the Constitution of Georgia, and the determination of the compliance of the competences granted to the implementing bodies of the government with the established constitutional order in the country. The paper describes the legal nature of the standards established at the national level affecting basic rights during the state of emergency and war and their compliance with international law, as well as their shortcomings and unconstitutional features that may threaten state stability and the level of democracy. The paper also discusses the role of the higher bodies implementing the government and evaluates the scope of their competence. The final part of the presentation deals with the implementation issue. Summary analysis of the research and specific recommendations developed on the basis of it on the competencies of the highest government bodies. In order to improve the regulation norm of state of emergency and martial law in the Constitution of Georgia and to eliminate the legal gap, appropriate changes are proposed for the legal regime in force in the state.

Keywords: War and State of Emergency, Protection of Human Rights, National Standards, International Legal Standards, Recommendations.

სპორტული ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი და დაფინანსების სისტემები საქართველოში

შოთა გოგიტაური

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

gogitaurishota@gmail.com

აბსტრაქტი: საქართველოში ფეხბურთი ყველაზე პოპულარული და მასობრივი სპორტის სახეობაა. 2016 წლიდან სულ უფრო და უფრო იზრდება სპორტული ორგანიზაციების და მასობრიობის როლი, ჩვენს თემაში საუბარი იქნება მის სამართლებრივ როლზე, რა როლს თამაშობს სახელმწიფო დაფინანსების ჩართულობაში, საიდან ფინანსდება ქართული კლუბების უმეტესობა, რა როლს ასრულებს კერძო სექტორი ქართულ სპორტში, როგორი სამართლებრივი სტატუსი აქვს კლუბებს და ფედერაციებს, რა არის მათი ძირითადი პრიორიტეტი. 2011 წელს საქართველოს სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა სპორტის დოკუმენტი, სადაც პრიორიტეტად განისაზღვრა სპორტში განათლება და მასობრიობა. განათლებას სპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ქვეყნის პრიორიტეტია ყავდეს კარგი მენეჯერები, რომლებიც სპორტს აიყვანენ ახალ საფეხურზე. თანამედროვე სპორტში სამართალს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. სპორტი დღეს არის ბიზნესი. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო და უფრო წინა პლანზე მოდის კონტრაქტები და უფლებების დაცვა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც მენეჯერისთვის, ისე სპორტსმენისთვის. მნიშვნელოვანია განისაზღვროს სპორტული ორგანიზაციის სამართლებრივი როლი, მისი სტრუქტურა, ჩარჩო, მომუშავე პერსონალი, სტრატეგია.

საკვანძო სიტყვები: სპორტის სამართალი, უფლებები, სპორტული ორგანიზაციები, დაფინანსების სისტემები, განათლება, მასობრიობა, საქართველო.

Legal Status of Sports Organizations and Funding Systems in Georgia

Shota Gogitauri

Associate Professor, Georgian State Teaching
University of Physical Education and Sport
gogitaurishota@gmail.com

Abstract: The Football is the most popular and widespread sport in Georgia. Since 2016, the role of sports organizations and the masses has been increasing, in our topic we will talk about its legal role, what role it plays in attracting government funding, where most Georgian clubs are financed from, what role the private sector plays in Georgian sports, what is the legal status of clubs and federations, what is their main priority? In 2011, the Ministry of Sports of Georgia developed a sports document, where education and mass participation in sports were defined as priorities. Education plays an important role in the development of sports. The country's priority is to have good managers who will take sports to a new level. Law plays an important role in modern sport. Sport is now a business. Contracts and rights protection are becoming increasingly important in the modern world, which is vital for both the manager and the sportsman. It is important to determine the legal role of the sports organization, its structure, frame, staff, strategy.

Keywords: Sport Law, Rights, Sports Organizations, Funding Systems, Education, Mass, Georgia.

პრაქტიკული სამართალი (Street Law)- განათლების ინსტრუმენტი და უნივერსიტეტის სოციალური მისია

ცირა კომახიძე

დოქტორანტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი,
მინვეული ლექტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ckomaxidze@gmail.com

აბსტრაქტი: მოხსენებაში განხილულია იურიდიულ კლინიკაში პრაქტიკული სამართლის (Street Law) სწავლების მიზნები, კლინიკური სწავლების ფორმატი და სასწავლო კომპონენტის სწავლების შედეგები სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტისა და საზოგადოებისთვის. თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემის უმთავრესი გამოწვევაა სტუდენტმა შეიძინოს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით გამყარებული თეორიული ცოდნა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრა არის უმთავრესი მიზანი, რომელსაც პრაქტიკული სამართლის (Street Law) კლინიკური სწავლება ემსახურება. კურსით დაგეგმილი აქტივობებიდან გამომდინარე, პრაქტიკული სამართლის სწავლება (Street Law) ასრულებს ორმაგ ფუნქციას, პირველი, რაც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებაა, ხოლო მეორე ეს არის საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სწავლების ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების სამართლებრივ განათლებაში, რომლის სამიზნე ჯგუფები საჯარო სკოლის მოსწავლეებია. კლინიკური სწავლების მიზნები პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტის სოციალურ მისიასთან, მოგეხსენებათ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის როლი საზოგადოებაში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრების თვალსაზრისით. მოხსენებისას მიმოვიხილე პრაქტიკული სამართლის (Street Law) კლინიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გავაანალიზე პრაქტიკული სამართლის კლინიკური სწავლების არსებული გამოცდილება, ვისაუბრეთ გამოწვევებზე და პერსპექტივებზე.

საკვანძო სიტყვები: პრაქტიკული სამართალი, კლინიკური სწავლება, სტუდენტების ჩართულობა, სამართლებრივ განათლება, უნივერსიტეტის სოციალური მისია.

Street Law - The tool of Education and the Social Mission of the University

Tsira komakhidze

PhD Student, East European University

Visiting Lecturer, Batumi Shota Rustaveli State University

ckomaxidze@gmail.com

Abstract: The report discusses the goals of teaching Street Law in the legal clinic, the format of clinical teaching, and the results of teaching the educational component for students, the university, and society. The main challenge of the modern higher education system is for students to acquire theoretical knowledge supported by practical skills. Solving this problem is the main goal served by the clinical training in Street Law. Based on the activities planned by the syllabus, the teaching of Street Law fulfills a double function, the first, which we have already mentioned above, is the practical application of theoretical knowledge for the student, and the second is the raising of public awareness regarding legal issues. Within the framework of education, students are allowed to participate in the legal education of society, the target groups of which are public school students. The goals of clinical teaching are directly related to the social mission of the university, as you know, the role of the university is important in terms of establishing civic values in society. During the report, I reviewed the activities planned within the framework of the Street Law Clinic, analyzed the existing experience of clinical teaching of Street Law, and talked about challenges and perspectives.

Keywords: Clinical Teaching, Practical Law, Public Awareness, Social Mission of the University.

დისკრიმინაციის აკრძალვის ეროვნული და ევროპული სამართლებრივი მექანიზმები

ცისია ოქროპირიძე

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
tsisia.okropiridze@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: დისკრიმინაციასთან ბრძოლა ადამიანის უფლებათა სამართლის უმთავრესი ქვაკუდებია. ადამიანებს ყოველდღე უწევთ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მათ პირად ცხოვრებასთან, პიროვნულ განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თანასწორობის უზრუნველყოფა მთავარია იმისკენ, რომ თითოეულ ადამიანს მისცეს საშუალება თანასწორად მიუწვდებოდეს ხელი საზოგადოებაში არსებულ შესაძლებლობებზე მიუხედავად სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, რელიგიისა თუ სხვა “დაცული” საფუძვლისა. მართალია, დისკრიმინაციის აკრძალვის ერთიანი წესები სხვადასხვა ისტორიულ საწყისებზეა დაშენებული, თუმცა მათი შექმნის მიზანი საერთოა. ეს აკრძალვა ემსახურება არა მხოლოდ თანასწორობის უფლების, არამედ თანასწორობის პრინციპის რეალიზებას, რომელიც უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ უფლებებით თანასწორად სარგებლობა. დღემდე, თანასწორობის პრაქტიკული უზრუნველყოფა სერიოზულ გამოწვევად რჩება მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე თანასწორობის უზრუნველსაყოფად არაერთი სამართლებრივი მექანიზმი და ინსტრუმენტი შექმნილი. არსებული საერთაშორისო მექანიზმების პარალელურად სახელწმიფოთა ეროვნული კანონმდებლობა დამატებით სპეციალურ ანტიდისკრიმინაციული აქტების მიღებაც იმის მანიშნებელია, რომ თანასწორობის უფლების სრულყოფილი რეალიზაციისთვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მათ შორის, საქართველოში. გარდა იმისა, რომ დისკრიმინაციის ფორმები არასაკმარისად არის მოკვლეული, დროდადრო, პრაქტიკაში, მისი ახალი ფორმებიც ვლინდება. ეს, რა თქმა უნდა, დაბრკოლებებს ქმნის დისკრიმინაციული ქმედებების სწორედ იდენტიფიცირების პროცესში და საჭიროებს სახელწმიფოთა მხრიდან ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების ეფექტურ იმპლემენტაციას.

საკვანძო სიტყვები: თანასწორობა, დისკრიმინაცია, დისკრიმინაციის აკრძალვა, დისკრიმინაციის ფორმები.

National and European Legal Mechanisms for the Prohibition of Discrimination

Tisia Okropiridze

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

tisia.okropiridze@sabauni.edu.ge

Abstract: The fight against discrimination is a cornerstone of human rights law. Individuals make decisions concerning their personal development and life choices daily. Upholding equality empowers everyone with equitable access to societal opportunities, regardless of gender, sexual orientation, religion, or any other 'protected' ground. While regulations against discrimination have diverse historical roots, their overarching goal remains the same. This prohibition functions to actualize the right to equality and embodies the broader principle of equality, extending beyond mere equal rights enjoyment. To date, the practical provision of equality remains a significant challenge, despite the existence of numerous legal mechanisms and instruments created to ensure equality at the national, regional, and international levels. Despite the presence of international frameworks and existing national legislation, the challenges in enforcing specialized anti-discrimination laws highlight the ongoing effort needed to achieve comprehensive equality. This is the case in the context of Georgia. In addition to the fact that the forms of discrimination are insufficiently researched, occasionally, new forms of discrimination are revealed in practice. This complexity presents challenges in identifying discriminatory actions, necessitating the effective implementation of anti-discrimination mechanisms by the state.

Keywords: Equality, Discrimination, Prohibition of Discrimination, Forms of Discrimination.

ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიული ასპექტები

ხათუნა ლორია

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილი
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
khatuna.loria@tsu.ge

აბსტრაქტი: საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულბელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.“ სამწუხაროდ, ასეთ ქცევას არ აქვს ერთჯერადი ხასიათი, იგი განგრძობადი და სისტემატიურია. როგორც წესი, ძალადობისთვის დამახასიათებელია ორი მხარე-მოდალადე და მსხვერპლი. ისინი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა სქესის და ასაკის ადამიანები, როგორც სრულწლოვნები, ასევე არასრულწლოვნები. კანონის თავდაპირველი რედაქცია არ განიხილავდა ცალკე ქალთა მიმართ ძალადობას. ეს უკანასკნელი ექცეოდა ოჯახში ძალადობის ფარგლებში. 2017 წლის ცვლილებების შედეგად, ქალზე ძალადობა ცალკე დემატა მე-31 მუხლის საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს მოძალადის მიმართ დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემას, რაც მოძალადეს განუსაზღვრავს გარკვეულ ვალდებულებებს მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით. საქართველოში 2022 წლის მანძილზე გამოცემულია 94 დამცავი და 8784 შემაკავებელი ორდერი, რაც დიდად არ განსხვავდება წინა წლის მაჩვენებლისგან. თუმცა, ცხადია, ამგვარი მაჩვენებელი ოჯახური ძალადობის შემთხვევების ზუსტ რაოდენობას ვერ ასახავს. სამწუხაროდ, ხშირად მსხვერპლი იჩენს ერთგვარ „შემგუებლობას“ ამგვარი ფქტების მიმართ სხვადასხვა სტერეოტიპული შეფასებების გამო. გარდა ამისა, სხვა გარემოებებიც შეიძლება განაპირობებდეს მოძალადის „შებრალებას“ - ოჯახის წევრების, მეგობრების, ახლობლების თხოვნა, მუქარა, ქცევის გამოსწორების იმედი და სხვ. სამწუხაროდ, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩაურევლობა ხშირად არასასურველ შედეგამდე მიდის. აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად, ყოველი მეოთხე ქალი და ყოველი მეცხრე მამაკაცი თავს მიიჩნევს ძალადობის რომელიმე ფორმის მსხვერპლად. „ძალადობის ციკლი“ ხშირად გრძელდება ადამიანის ბავშვობიდან ზრდასრული ცხოვრების მანძილზე. გერმანული წყაროების მიხედვით, 16 დან 85 წლამდე ქალების 25% განიცდის ძალადობას მეუღლის/ყოფილი მეუღლის, პარტნიორის/ყოფილი პარტნიორის მხრიდან. მოხსენებაში საუბარია ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამონწვევებზე, რაც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებასთან.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, საკანონმდებლო რეგულირება, ადმინისტრაციული სამართალწარმოება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები, კანონმდებლობის გამონწვევები.

Legal Regulation of Domestic Violence and Practical Aspects

Khatuna Loria

Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

khatuna.loria@tsu.ge

Abstract: According to the Georgian legislation, “violence within the family” is defined as the infringement upon the constitutional rights and freedoms of another family member, manifesting through acts of negligence, physical, psychological, economic, sexual violence, or coercion. Regrettably, such behavior is not characterized by isolated incidents; it exhibits a persistent and systematic nature. Typically, violence involves two parties—the aggressor and the victim—spanning various gender and age groups, encompassing both adults and minors. In the initial version of the law, there was no distinct consideration for violence against women; it was addressed within the broader category of domestic violence. Subsequent to the amendments made in 2017, violence against women was acknowledged as a separate and distinct category, outlined under Article 3. The administrative legislation of Georgia envisages the issuance of protective and restraining orders against the perpetrator, which imposes certain obligations on the perpetrator in order to protect the safety of the victim. In 2022, 94 protective and 8784 feeding orders were issued in Georgia, which is not much different from the previous year's figure. However, it is clear that such an indicator cannot reflect the exact number of cases of domestic violence. Unfortunately, often the victim shows a kind of "accommodation" to such facts due to various stereotypical evaluations, in addition, other circumstances can lead to the "pity" of the abuser - requests from family members, friends, relatives, threats, hope to correct the behavior, etc. Unfortunately, non-interference in personal and family life often leads to undesirable results. According to a study conducted in the USA, every fourth woman and every ninth man consider themselves victims of some form of violence. Unfortunately, the "cycle of abuse" often continues from childhood into adulthood. According to German sources, 25% of women between the ages of 16 and 85 experience violence from their spouse/ex-spouse, partner/ex-partner. The report discusses the challenges of administrative legislation related to the use of administrative-legal mechanisms for domestic violence.

Keywords: Domestic Violence, Legal Regulation, Administrative Proceedings, Administrative-legal Mechanisms, Legislative Challenges.

საჯარო პირების მიერ დისკრიმინაციის წახალისება და მასზე რეაგირება

ხატია ცეცხლაძე

სამართლის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

khatia.tsetskhladze.1@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი: საჯარო პირების მიერ დისკრიმინაციის წახალისებისა და მასზე რეაგირების პრაქტიკის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ვიმსჯელოთ, თუ როგორია მათ მიერ გამოხატვის თავისუფლების უფლების ფარგლები და როგორი მექანიზმი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ საჯარო პირები დისკრიმინაციის წამახალისებელ განაცხადებს გააკეთებენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფაქტის არსებობისას ან შესაბამისი პირების მიერ სტერეოტიპებისა და სტიგმის გაძლიერების ხელშეწყობისას სახალხო დამცველი იწყებს საქმის მოკვლევას, რის შემდეგაც გამოსცემს ზოგად წინადადებას და მოუწოდებს შესაბამის პირებს დემოკრატიულ საზოგადოებაში თანასწორობის უფლების დაცვისკენ. მომხსენებელი განიხილავს საჯარო პირების მიერ დისკრიმინაციის წახალისების საკითხს და მათი გამოხატვის თავისუფლების უფლების ფარგლებს. აგრეთვე, ის ისაუბრებს დისკრიმინაციის წახალისების სამართლებრივი რეაგირების გზებზე და შეაფასებს ამ ინსტრუმენტების ეფექტურობას. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებთან მიმართებით, დამატებით მოქმედებს „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი“. კოდექსის მე-2 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად საქართველოს პარლამენტის წევრისთვის დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება. საგულისხმოა, რომ იგი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად დისკრიმინაციის წახალისების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებადაც გვევლინება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვიმსჯელებთ პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ არსებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების პრაქტიკაზე და მათ ეფექტურობაზე.

საკვანძო სიტყვები: საჯარო პირები, დისკრიმინაცია, გამოხატვის თავისუფლება, სამართლებრივი მექანიზმები.

Encouraging and Responding to Discrimination by Public Figures

Khatia Tsetskhladze

Master of Laws, Ilia State University

khatia.tsetskhladze.1@iliauni.edu.ge

Abstract: Assessing public figures' practices of encouraging and responding to discrimination is critical in order to assess the limits of their right to free expression and the processes in place if public figures make assertions that encourage discrimination. It should be noted that in the presence of such a fact, or in the case of the relevant persons' promotion of stereotypes and stigma, the public defender begins an investigation, after which he issues a general proposal and calls on the relevant persons to protect the right to equality in a democratic society. The speaker explores the topic of public figures inciting discrimination and the scope of their right to free expression. It will also address legal solutions to discrimination incentives and assess the effectiveness of these instruments. It is noteworthy that the "Code of Ethics of the Member of the Parliament of Georgia" also applies to members of the Georgian Parliament. A member of Georgia's Parliament is not permitted to make insulting, obscene, sexist, discriminating speech, appeal, action, or other use of hate speech, according to Article 2, Clause "O" of the Code. It is essential that, in conjunction with Georgia's "Law on the Elimination of All Forms of Discrimination," it is also a means of combating the fostering of discrimination. In this context, we will address the practice of employing current legal processes against political authorities, as well as the efficiency of those mechanisms.

Keywords: Public Figures, Discrimination, Freedom of Expression, Legal Measures.

**სახელმწიფო ორგანოთა შორის საკონსტიტუციო დავის
პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები**

ჯამლათ გვიდიანი

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

j.gvidiani@sabauni.edu.ge

აბსტრაქტი: მოხსენება ფოკუსირებულია პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლების გამიჯვნაზე, მეტწილად კი პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებზე საქართველოს ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელების დანიშვნის საკითხთან მიმართებით, რამაც სამეცნიერო წრეებში არგუმენტირებული დისკუსიის სტიმულირებას უნდა შეუწყოს ხელი. ხაზგასმულია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ნაწილობრივ გადაფარვა საგარეო პოლიტიკის განხორციელების ნაწილში და მისი ობიექტური სამართლებრივი შეფასების მნიშვნელობა; მართალია ქვეყნის საგარეო პოლიტიკას საქართველოს მთავრობა ახორციელებს, თუმცა, საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი არჩეულია უშუალოდ ხალხის მიერ, ის საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენს საქართველოს და კონსტიტუციით მინიჭებული აქვს [მთავრობის წარდგინებით] საქართველოს ელჩების და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელების დანიშვნის უფლებამოსილება (მისი ხელმოწერის არ არსებობა კი ვერ გადაილახება მთავრობის მიერ), რაც გარკვეული დოზით საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში პრეზიდენტის უფლებამოსილებას ადასტურებს; ამავდროულად, პრეზიდენტი შეზღუდულია კონსტიტუციური, მათ შორის ხელისუფლების დანაწილების პრინციპით და მას არ გააჩნია მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით საფუძველზე ელჩების არ/დანიშვნის გადანაცვების მიღების ფართო დისკრეცია, ხოლო მისი უმოქმედობა კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით მხოლოდ იშვიათ და გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იქნეს გამართლებული.

საკვანძო სიტყვები: პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლები, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლები, საგარეო პოლიტიკის განხორციელება, საქართველოს კონსტიტუცია, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

Political and Legal Aspects of the Constitutional Dispute Between State Bodies

Jamlat Gvidiani

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

j.gvidiani@sabauni.edu.ge

Abstract: The report focuses on the separation of the powers of the president and the executive power, and to a large extent on the powers of the president in relation to the appointment of ambassadors and heads of diplomatic missions of Georgia, which should stimulate argumentative discussion in scientific circles. The partial overlapping of powers of the executive power and the president in the implementation of foreign policy and the importance of its objective legal assessment are emphasized; Although the foreign policy of the country is carried out by the government of Georgia, however, the current president of Georgia is elected directly by the people, he represents Georgia in foreign relations and is granted by the constitution the authority to appoint ambassadors and heads of diplomatic missions of Georgia [on the recommendation of the government] (the absence of his signature cannot be overcome by the government). , which to a certain extent confirms the authority of the president in the implementation of foreign policy; At the same time, the president is limited by the constitutional principle, including the separation of powers, and he does not have a wide discretion to make a decision not to/appoint ambassadors based on political expediency, and his inaction can be justified from a constitutional and legal point of view only in rare and exceptional cases.

Key words: Scope of Powers of the President, Scope of Powers of the Executive Power, Implementation of Foreign Policy, Constitution of Georgia, Principle of Separation of Powers.

ევროკავშირის ხანგძლივი მწვანე პოლიტიკის სამართლიანი პროცედურის მნიშვნელობა და მიზნები

ჯანოს ვარგა, დოქტორი

ასოცირებული პროფესორი, ობუდას უნივერსიტეტი, უნგრეთი
varga.janos@uni-obuda.hu

აგნეს სიზარიკ-კოცირ

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ობუდას უნივერსიტეტი, უნგრეთი
kocsir.agnes@uni-obuda.hu

აბსტრაქტი: სამართლიანი პროცედურა იურისპრუდენციაში ნაცნობი ტერმინია. აღნიშნული განმარტავს, თუ რატომ ემორჩილებიან და იცავენ ნებაყოფლობით იურიდიული პირები კანონის დებულებებსა და წესებს. რთული არ არის იმის განსაზღვრა, რომ კანონმდებლობისა და წესების გარეშე საზოგადოებაში ქაოსი დაისადგურებს. წესრიგის გარანტი არის კანონი. თუ წესები სრული საზოგადოებისთვის არის მისაღები, ისინი ემორჩილებიან მათ, რაც ქმნის სისტემის გამართულად ფუნქციონირების შესაძლებლობას. კანონი გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე, არეგულირებს სამოქალაქო ურთიერთობებს, აყალიბებს ბიზნეს გარემოს და საერთაშორისო თანამშრომლობასაც კი. ეს უკანასკნელი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ძალიან განსხვავებული სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციაა საჭირო. ევროკავშირმა 2050 წლისთვის საკმაოდ ამბიციური მიზნები დაისახა, რასაც მწვანე გადასვლას და ხელშეკრულებათა სერიას ვუნოდებთ, რაც ევროპის მწვანე შეთანხმებას ახლავს თან. შეთანხმება ნახშირბადის ნეიტრალური ეკონომიკის მისაღწევად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებისაგან იმაზე მეტის გაკეთებას მოითხოვს ვიდრე ოდესმე. საჭირო ხდება ახალი სტანდარტების, ვალდებულებების, რეგულაციების და სხვა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. ევროკავშირის დირექტივები მწვანე გადასვლის შესახებ, წევრმა სახელმწიფოებმა ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა გაატარონ. კვლევა ეხება საკითხს, თუ რამდენად განხორციელდება აღნიშნული დირექტივები პრაქტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობას უპირატესი ძალა აქვს ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით, ზოგიერთ შემთხვევაში ევროკავშირის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაცია არც თუ ისე მარტივად განხორციელდება, მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სამართალში, არამედ საზოგადოებასა და ეკონომიკაში. კვლევა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ეკონომიკურმა განსხვავებებმა შეიძლება გამოიწვიოს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები მწვანე გადასვლასთან დაკავშირებული. უაზროა უფრო ეკოლოგიური გადაწყვეტილებების ან წიაღისეული სანვავის გამოყენებაზე დაჯარიმების დაწესება, თუ ბევრი ეკონომიკური აქტორი ამ პირობებს ვერ აკმაყოფილებს. სამართლიანი პროცედურის დროს, წევრი სახელმწიფოები აღიარებენ „მწვანე შეთანხმების“ მიზნების მნიშვნელობას და დაიცავენ შესაბამის დებულებებს, თუმცა საკითხავია თუ რამდენად ხელმისაწვდომია არსებული პირობები. ეს კვლევა ფოკუსირებულია ამ საკითხებზე და განიხილავს რამდენად შესაძლებელია ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორც სამართლებრივი, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: პროცედურა, ევროკავშირი, მწვანე გადასვლა, შეთანხმება, გამონწვევები.

The Importance of a Fair Procedure in the Long-term Delivery of the European Union Green Policies and Targets

János Varga

Ph.D. Associate Professor, The Óbuda University, Hungary
varga.janos@uni-obuda.hu

Ágnes Csiszárík-Kocsir

Ph.D. Associate Professor, The Óbuda University, Hungary
kocsir.agnes@uni-obuda.hu

Abstract: Fair procedure is a familiar term in jurisprudence. It seeks to express and explain why legal entities voluntarily submit to the provisions of the law and why they also voluntarily comply with rules or laws. It is not difficult to see that without rules and law society would be a disorderly system in which, in the absence of principles of order, chaos would prevail. Law is the guarantor of order and order in society. If the members of society submit to these rules, the system of rules, which is accepted by all, creates the principles of order on the basis of which society as a system can function properly. Law affects almost every aspect of our lives. It regulates our civil relations, shapes our business environment and even our international cooperation. The latter is even more important, as in many cases very different legal systems have to be harmonised. The European Union has set very ambitious targets for 2050, which we call the green transition, and the series of treaties that go with it the European Green Deal. This agreement requires EU Member States to do more than ever to achieve a carbon neutral economy. This will require standards, obligations, new regulations and other legislative changes from member states. EU directives on the green switchover should be transposed into national law by the Member States. The study addresses the question of the extent to which these directives will be transposed into practice by EU countries. While it is said that EU law takes precedence over national law, in some cases the guidelines adopted by the EU may not be so easy to implement in a Member State. And there may be reasons for this not only in law, but also in society and, even more so, in the economy. The study also focuses on the fact that economic differences and lags can cause very significant problems in transposing EU directives related to the green switchover into practice. It is pointless to impose more environmentally friendly solutions or to legislate to penalise the use of fossil fuels if many economic actors cannot meet these conditions on their own. In a fair procedure, operators would recognise the importance of green objectives and would comply with the relevant provisions, but the question is to what extent the conditions are available. This study focuses on these issues and examines the extent to which it is possible to meet EU requirements, both from a legal and economic perspective.

Keywords: Fair Procedure, European Union, Green Transition, Agreement, Challenges.

**სპეციალური შვებულების დებულებები დასაქმებული ქალებისთვის:
გენდერული თანასწორობის მისაღწევად**

ვერმა ვაჰინი

პროფესორი, ბენეტის უნივერსიტეტი, ინდოეთი
vervahini@gmail.com

სანია იადავი

ასისტენტ პროფესორი, ბენეტის უნივერსიტეტი, ინდოეთი
sanya.yadav@bennett.edu.in

აბსტრაქტი: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლი შგვახსენებს, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი ღირსებითა და უფლებებით“. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ გენდერული განსხვავებები არის სოციალური კონსტრუქცია. ვინაიდან ისტორიულად ძალზე ანდოცენტრული მიდგომა იყო გამოყენებული კანონებისა და პოლიტიკის შექმნისას, კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, სხვათა შორის, კონკრეტულად ცნობს მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობას მათი შვილების აღზრდასა და განვითარებაში, ხოლო მე-5 მუხლში აღიარებს მშობიარობას, როგორც სოციალურ ფუნქციას. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ გაეფანტა მითი, რომ ქალის როლი ძირითადად შემოიფარგლება ბავშვებზე ზრუნვითა და აღზრდით, რითაც აგრძელებს კერძო-საჯარო სფეროს დიქტომიას. სწორედ ამ კონტექსტშია, რომ ეს ნაშრომი განიხილავს დეკრეტული შვებულების და ბავშვის მოვლის შვებულების როლს, რომელიც მიცემულია მდედრობითი სქესის თანამშრომლებისთვის დეკრეტულ შეღავათების შესახებ ინდოეთის 1961 წლის აქტის და 2011 წლის ცენტრალური სამსახურის წესების შესაბამისად და როგორ აისახება ეს მათ დასაქმების შესაძლებლობებზე, განსაკუთრებით აკადემიურ დაწესებულებებში. ნაშრომი ამტკიცებს, რომ ეს მოჩვენებითი სასარგებლო დებულებები რეალურად ითვალისწინებს ქალებისთვის მინიჭებული დედობის გენდერულ როლს და არახელსაყრელია ქალებისთვის ბაზარზე სამუშაო ადგილების უზრუნველსაყოფასა და შენარჩუნებაში. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთმა მოახდინა CEDAW-ის რატიფიცირება, შტატმა დააწესა, რომ ბავშვის მოვლის შვებულება მხოლოდ ქალებმა უნდა ისარგებლონ, რათა ბავშვის აღზრდა კვლავაც ყოფილიყო „ქალების ფუნქცია“. ეს არის ორმაგი უბედურება, როდესაც ქალი არა მხოლოდ გენდერული როლის ხაფანგშია, არამედ კარგავს დასაქმების შესაძლებლობას. დასაქმების საბჭო, სადაც უფრო ხშირად არის მამაკაცების დომინირება, თვლის, რომ მათი დასაქმება ტვირთია რესურსებზე, რადგან ეს არის ანაზღაურებადი შვებულება. ეს ფაქტი პოპულარული დისკურსის მიღმა რჩება, რადგან ეს პრაქტიკა არ არის დოკუმენტირებული, ხილული მტკიცებულებით. მისი დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მამაკაც-ქალის თანაფარდობის ემპირიული ანალიზით სხვადასხვა სამუშაო სექტორში, მათ შორის აკადემიურ ინსტიტუტებში, განსაკუთრებით ისეთ პოზიციებზე, როგორცაა კვლევის ხელმძღვანელები, ვიცე-კანცლერები და ადმინისტრაციული ინსტიტუტები. ეს ნაშრომი აანალიზებს ქალთა სპეციალურ შვებულებებს, მათ გენებს და იმ შედეგებს, რაც მათ აქვთ ინდოეთში ქალთა დასაქმებისა და ხელშეწყობის შესაძლებლობებზე.

საკვანძო სიტყვები: შვებულება; დასაქმება; გენდერული თანასწორობა; ბავშვის მოვლა.

Special Leave Provisions for Working Women: Bane or Boon in Achieving Gender Equity

Versha Vahini

Professor, Bennett University, India

vervahini@gmail.com

Sanya Yadav

Assistant Professor, Bennett University, India

sanya.yadav@bennett.edu.in

Abstract: Article 1 of the Universal Declaration of Human Rights reminds us that “All human beings are born free and equal in dignity and rights”. This clearly indicates that gender differences are a societal constructs. Since historically a very andocentric approach was taken in framing of laws and policies the Convention on Elimination of Discrimination against Women inter alia specifically recognizes common responsibility of men and women in the upbringing and development of their children while recognizing in Article 5, maternity as a social function. This was done to dispel the myth that the role of women is majorly confined to caring and rearing of children thereby perpetuating the private-public sphere dichotomy. It is in this context that this paper examines the role of maternity leave and child care leave given to female employees under the Maternity Benefits Act 1961 and Central Service Rules 2011 respectively in India, and how does this impact their employment opportunities especially in academic institutions. The paper argues that these ostensible beneficial provisions actually cater to gender role of motherhood assigned to women and are disadvantageous to women in securing and sustaining jobs in the market. In spite of the fact that India ratified CEDAW, the state legislated for child care leave to be availed only by women so that child rearing continued to be a “women function”. This acts a double whammy where woman is not only trapped in a gender role but also loses out on employability. The appointing board, which is more often than not, is male dominated, sees their employment as burden on the resources as these are paid leaves. This fact remains hidden from the popular discourse, as this practice goes undocumented with no visible proof. It can only be discerned by an empirical analysis of the male-female ratio in different job sectors, including academic institutions, especially in positions of responsibilities like, research heads, vice chancellors and administrative heard in institutions. This paper analyses the special leaves for women, their genesis and the implications that these have on the employment and promotional opportunities for women in India.

Keywords: Special Leave for Women; Gender Equity; Baby-care.

ICON•S საქართველოს პირველი ყოველწლიური კონფერენციის პროგრამა

24-25 ივნისი, 2023 - ბათუმი, საქართველო

24 ივნისი 2023 - ICON•S საქართველოს პირველი ყოველწლიური კონფერენცია

09:00-09:30 - კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია
 09:30-10:00 - კონფერენციის გახსნა
 10:00-11:30 - მონვეული სპიკერი/პლენარული სესია I
 11:30-12:00 - ყავის შესვენება
 12:00-13:30 - პარალელური პანელური სესიები I
 13:30-14:30 - სადილი
 14:30-15:30 - მონვეული სპიკერები/პლენარული სესია II
 15:30-16:00 - ყავის შესვენება
 16:00-17:30 - პარალელური პანელური სესიები II
 19:00-21:00 - ვახშამი

25 ივნისი 2023 - ICON•S საქართველოს პირველი ყოველწლიური კონფერენცია

09:30-11:00 - მონვეული სპიკერი/პლენარული სესია III
 11:00-12:30 - პარალელური პანელური სესიები III
 12:30-13:00 - ყავის შესვენება
 13:00-13:40 - პლენარული სესია IV
 13:40-14:00 - კონფერენციის დახურვა
 14:00-15:00 - სადილი
 15:00-19:00 - კულტურული ღონისძიება

24 ივნისი 2023 - 09:30-10:00 - კონფერენციის გახსნა (აუდიტორია #55)

მალხაზ ნაკაშიძე, ICON•S საქართველოს თანათავმჯდომარე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ევროკავშირის საკონსტიტუციო სამართლის ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი

მაია კოპალეიშვილი, ICON•S საქართველოს თანათავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე

მერაბ ხალვაში, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაია ხაჭიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრი

ლევან ჯაყელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ჩხეიძე, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი

24 ივნისი 2023 - 10:00-11:30 - პლენარული სესია I. (აუდიტორია #55)

დემოკრატიის გამოწვევები თანამედროვე ეპოქაში

მონვეული სპიკერი:

ბრიჯიტ არიმონდი, სამართლის კლინიკური პროფესორი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროგრამის დირექტორი, სამართლის კლინიკური პროფესორი, ნორთვესტერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, აშშ - დემოკრატიის გამოწვევები თანამედროვე ეპოქაში: რა როლი აქვს საჯარო სამართალს?

მოდერატორი: მალხაზ ნაკაშიძე, პროფესორი, ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 ივნისი 2023 - 11:30 – 12:00 - ყავის შესვენება

24 ივნისი 2023 - 12:00 – 13:30 - პარალელური პანელური სესიები I.

პანელი I. ქართულ კონსტიტუციონალიზმის გამოწვევები (აუდიტორია #32)

პანელის თავმჯდომარე: გიორგი კვერენჩილაძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ეკა კაველიძე, ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი - მთავრობის ანგარიშვალდებულების საპარლამენტო მექანიზმები კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მიხედვით
2. გვანცა გოგვაძე, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - სამართლისა და პოლიტიკის კონფლიქტი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, სასამართლო ხელისუფლების მაგალითზე
3. გიორგი კვერენჩილაძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ქართული საკონსტიტუციო პროცესი: ტექნოლოგია, გაკვეთილები, სისტემური პრობლემები
4. სოფიო დემეტრაშვილი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ბიკამერალური პარლამენტი საქართველოს პერსპექტივაში
5. თეა კაველიძე, დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის საგარეო ურთიერთობათა ფარგლები

პანელი II. ფუნდამენტური საკონსტიტუციო ცვლილებები ძირითად უფლებებში და მათი სახალხო ლეგიტიმაციის საკითხები საქართველოში (აუდიტორია #34)

პანელის თავმჯდომარე: გიორგი ალავერდაშვილი, დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. გულიკო მაჭარაშვილი, დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თამარ ონიანი, დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - კონსტიტუციური მესხიერება: დაივიწყა თუ არა კანონმდებელმა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლით გაკვალიანი გზა ადამიანის უფლებებისთვის?!
